ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი
Quarterly Refereed and Reviewed International Scientific Journal

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

2024 / 1

ჟურნალი გამოდის 2024 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ
The magazine has been published four times a year since 2024









საქართველო, თბილისი 2024
GEORGIA, TBILISI 2024

მეცნიერება და ინოვაცია
Science and Innovation

მთავარი რედაქტორი: ვალერი მოსიაშვილი
სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე: ნინო სამჭკუაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: მედეა ჭელიძე
ტექნიკური რედაქტორი: დიმიტრი მასხარაშვილი

სარედაქციო კოლეგია:

აბრალავა ა. (საქართველო), ალადაშვილი მ. (საქართველო), ანთაძე ლ. (საქართველო), ბერიძე თ. (საქართველო),ბიელსკა ტ. (უკრაინა), ბიენ ტანგ (აშშ),ბურდიაშვილი რ. (საქართველო), გრიგოლაია ნ. (საქართველო), დუდაური თ. (საქართველო),მასხარაშვილი დ. (საქართველო), მოსიაშვილი ვ. (საქართველო), რუსაძე ნ. (საქართველო),სამჭკუაშვილი ნ. (საქართველო), სუჰაილი მ. (ლიეტუვა), ქუთათელაძე რ. (საქართველო), ყურაშვილი გ. (საქართველო), ცაავა გ. (საქართველო), ციმინტია კ. (საქართველო), ჭელიძე მ. (საქართველო), ხოხობაშვილი დ. (აშშ).

Editor-in-Chief: Valeri Mosiashvili
Head of the editorial board: Nino Samchkuashvili
Deputy Editor-in-Chief: Medea Chelidze
Technical Editor: Dimitri Maskharashvili

Editorial Board:

Abralava A. (Georgia), Aladashvili M. (Georgia), Antadze L. (Georgia), Bielska T. (Ukraine), Biyan Tang (USA), Beridze T. (Georgia), Burdiashvili R. (Georgia), Grigolaia N. (Georgia), Dudauri T. (Georgia), Maskharashvili D. (Georgia), Mosiashvili V. (Georgia), Rusadze N. (Georgia), Samchkuashvili N. (Georgia), Sohail M. (Lietuva), Kutateladze R. (Georgia), Kurashvili G. (Georgia), Chelidze M. (Georgia), Tsimintia K. (Georgia), Tsaava G. (Georgia), Khokhobashvili D. (USA).

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.
The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article.

https://doi.org/10.52340/sai
E - ISSN –2449-2779 (Online)
UDC (უაკ) 001+001.895
მ-621

© მეცნიერება და ინოვაცია

https://issmsai.wordpress.com
გამომცემლობა: „მ&ი“
metsnierebainovacia@gmail.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

ვალერი მოსიაშვილი - სავალუტო გარიგებებზე ახალი გადასახადის შემოღების შესახებ ……..……... 7

მედეა ჭელიძე, გოჩა აბუთიძე - დანაზოგები, როგორც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის რესურსი …….…… 17

დიმიტრი მასხარაშვილი - მომსახურების ინოვაციური ტექნოლოგიები საქართველოს საბანკო სისტემაში …….. 24

ნინო სამჭკუაშვილი - მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები ……..…… 33

Natia Akhalkatsi - The Ways to improve credit risks assessment methods 54

კახაბერ ციმინტია - ჩრდილოვანი ეკონომიკა და მსოფლიო: არსებული მაჩვენებლები და ტენდენციები ……..... 72

თამარ დუდაური - ციფრული მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლები ……..……..…… 83

ნიკოლოზ დარჩიაშვილი - სადაზღვევო ბაზარზე და მისი განვითარების პერსპექტივები ……. 93

ლია პიტიურიშვილი, ნელი სესაძე, ნინელი თევდორაშვილი - კრიპტოვალუტა - ციფრული აქტივები საქართველოში ……..…….. 105

შორენა ცაავა - ეკონომიკური კეთილდღეობა და თანამედროვე გამოწვევები ბიზნესში ……..……. 116

თამარ მარგიანი - აგროდაკრედიტების სრულყოფა, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი 125

ანი ბიბილური, გიორგი ცაავა, ვალერი მოსიაშვილი - თანამედროვე ეტაპზე კომერციული ბანკის საქმიანობის არსი და რისკები ……..…….. 135

ლია ანთაძე - სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები უსდ-ში 147

თამარი ბერიძე, მედეა ჭელიძე, გუგული ყურაშვილი, ლიკა ბერიძე - პრაქტიკული გამოცდილება სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში

..... 152

გოჩა აბუთიძე,სოფიო ბერიძე, გოგა გელიტაშვილი,საბა ბურჯალიანი - საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე 161

Contents

Valeri Mosiashvili - About the introduction of a new tax on foreign exchange transactions ……..……. 7
Medea Chelidze, Gocha Abutidze - Savings as a resource for ensuring economic growth ……..... 17
Dimitri Maskharashvili - Innovative service technologies in the Georgian banking system ……. 24
Nino Samchkuashvili - Contemporary challenges and perspectives of small and medium-sized businesses 33
Natia Akhalkatsi – The Ways to improve credit risks assessment methods 54
Kakhaber Tsimintia - Shadow Economy and the World: Current Indicators and Trends ……..…….. 72
Tamar Dudauri - Methodological Foundations of Digital Management ... 83
Nikoloz Darchiashvili - The insurance market and its development prospects 93
Lia Pitiurishvili, Neli Sesadze, **Nineli Tevdorashvili** - Cryptocurrency - digital assets in Georgia ……..……...……..……. 105
Shorena Tsaava - Economic prosperity and modern challenges in business 116
Tamar Margiani - Perfection of agro-credit as a prerequisite for sustainable economic development ……..…… 125
Ani Bibiluri, Giorgi Tsaava, Valeri Mosiashvili - The essence and risks of commercial bank activities at a modern stage ……..... 135
Lia Antadze - Diverse methods of teaching and learning in higher education …..... 147
Tamari Beridze, Medea Chelidze, Guguli Kurashvili, Lika Beridze - Practical experience in research activities 152
Gocha Abutidze, Sophio Beridze, Goga Gelitashvili, Saba Burjaliani - Georgia on the path to European integration 161

სავალუტო გარიგებებზე ახალი გადასახადის შემოღების შესახებ
About the introduction of a new tax on foreign exchange transactions

მოსიაშვილი ვალერი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი
vmosiashvili@seu.edu.ge
Mosiashvili Valeri – Georgian National University SEU
Doctor of Economics. Professor

ანოტაცია: ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანწილად სახელმწიფოების მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. არნიშნულია, რომ ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არსებული გადასახადების განაკვეთების ზრდის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ საერთაშორისო ფინანსურ ტრანზაქციებზე ახალი გადასახადების შემოღება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების აღრიცხვიანების დარეგულირების როლს შეასრულებდა. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, „რეპო“ გარიგებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი აუცილებელი გადასახადის დადგენის მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ქვეყნის ბიუჯეტში რეალური დამატებიტი რესურსების წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების წინაპირობა იქნება.

საკვანძო სიტყვები: ვალუტა, სავალუტო პოლიტიკა, ტრანზაქცია, საგადასახადო განაკვეთი, სავალუტო პოლიტიკა.

Annotation. the success of economic reforms and the formation of a new type of economy, including the elimination of structural disproportions, will largely depend on the perfection of the monetary and fiscal policies of the states, on synchronous and harmonious changes, and their compliance with the echoes of time. It is obvious that the solution to the problem of chronic budget deficit is not to cut expenses automatically, to increase existing tax rates, but rather to optimize budget revenues and expenses. In particular, the introduction of new taxes on international financial transactions would, on the one hand, increase the available resources of the state, and on the other hand, regulate the accounting of speculative operations on the currency and financial markets. In relation to financial transactions - shares, bonds, securities of investment funds, money market instruments, "repo" transactions, securities loan agreements, derivatives transactions, the expediency of establishing a new necessary tax is proposed, the reasonable use of which is a source of real additional resources in the country's budget and a powerful health booster for the economy. It will be a prerequisite for the implementation of the effect.

Key words: Currency, foreign exchange policy, transaction, tax rate, foreign exchange policy.

ეკონომიკურ რეფორმების წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. უდიდესი დეპრესიის დროს კრიზისის დაძლევაზე მიმართული ეფექტური და მუქარების ადექვატური ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის არარსებობამ, სიტუაცია მნიშვნელოვნად გაართულა, კერძოდ, საბანკო სისტემის პრაქტიკული კოლაფსი გამოიწვია. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და ფინანსური სექტორისა და მთლიანობაში ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, მონეტარული ხელისუფლებები ბოლო დროს აქტიურად იყენებდნენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორიცაა: სავალდებულო სარეზერვო განაკვეთის გარკვეული პერიოდით მნიშვნელოვნად შემცირება, რეფინანსირების განაკვეთის უპროცენტოდ დაბალი

განაკვეთები, აქტივების გამოსყიდვის მასშტაბური პროგრამები, ცენტრალიზებული კრედიტების სხვადასხვა ფორმების ჩართვა (Mosiashvili, Banking, 2020).

ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარულ) და საბიუჯეტი-საგადასახადო (ფისკალურ) პოლიტიკაში სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე იქნება დამოკიდებული. ფინანსური (ფისკალური) პოლიტიკის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო წლებში ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღებაზე მიმართული კურსი იქნეს გაგრძელებული. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირება, განსაკუთრებით აღნიშნული მოვლენის მასშტაბების გათვალისწინებით, მეტად აქტუალურ ამოცანად რჩება. ასე, მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე მიმოქცევადი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 43 ტრილიონი დოლარი შეადგინა და 2007 წლიდან იგი 80%-ითაა გაზრდილი.

ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. თუ საუბარია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილისა და საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, მაშინ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გადამანაწილებელი როლი იქნეს შენარჩუნებული, ხოლო რიგი მიმართულების მიხედვით კი - გაძლიერებულიც, რაც ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის საკმარისი რესურსების არსებობის შესაძლებლობას იძლევა, როგორიცაა მოსახლეობის შემოსავლებისა და რეალური მყიდველობითი მოთხოვნის შემცირება, რომელიც ბოლო ათწლეულში რეგიონებისა და ქვეყნების განვითარების დონეში შემოსავლების განსხვავებები უფრო გაძლიერდა (Valeri, 2022).

რეზერვები სახელმწიფო შემოსავლების გადიდებისათვის, უეჭველად, არსებობს, რამდენადაც, მაგალითად, აშშ-ში 1950-იან და 1960-იან წლებში მაღალ შემოსავლებზე გადასახადებმა 91% მიაღწია, ხოლო დღეისათვის იგი 35% არ აჭარბებს (3, გვ. 58). გარდა ამისა, ფინანსური სექტორისათვის, **კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის,** რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, **სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების,** მეორე მხრივ, **სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების დარეგულირების** როლს შეასრულებდა.

პირველად **ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის იდეა** ჯ.მ. კეინსის მიერ იყო შეთავაზებული, ხოლო 1972 წელს იგი ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატმა ჯ. ტობინმა კვლავ წამოწია, და ყველა **ტრანსმოსაზღვრე ოპერაციების ბრუნვიდან აღნიშნულ გადასახადს 0,05-დან - 1%-მდე სიდიდით დადგენას თავაზობდა.** გლობალური კრიზისის დროს აღნიშნულმა იდეამ პოლიტიკოსების დონეზეც საკმაოდ ფართე მხარდაჭერა მიიღო. 2011 წლიდან ასეთი გადასახადის შემოღება ევროპული კავშირის ქვეყნების პრაქტიკულ სიბრტყეშიც განიხილება, ამასთან აღნიშნული ღონისძიების მომხრეებია საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნ. სარკოზი და გერმანიის ფედერალური კანცლერი ა. მერკელი. ევროპის პარლამენტის პრეზიდენტმა მ. შულცმა ასევე საკმაოდ გარკვევით გამოთქვა მხარდაჭერა ასეთი გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით: „მე ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის დადგენის დაბეჯითებითი მომხრე ვარ. მისი შემოღება დარგში, სადაც მოგება შეიძლება უზომოდ მაღალი აღმოჩნდება, მისცემს საშუალებას უფრო წონადი შენატანი გააკეთოს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში, მრავალ ქვეყანაში ფინანსური სიტუაციის გაუმჯობესებაში,

ასევე მისცემს შესაძლებლობას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე სახსრების მოძიებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ტობინის გადასახადი ფინანსური სპეკულაციების თავიდან აცილებაშიც დაეხმარება, რომლებიც თანამედროვე კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს... იდეალურად ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადი მთელ მსოფლიოში უნდა იქნეს შემოღებული. ევროპის კავშირმა აღნიშნულზე G20-ის სხდომებზე უნდა იბრძოლოს (Mosiashvili & Bibiluri, https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95, 2022)".

ევროპული კომისიის გაანგარიშების მიხედვით, ასეთი გადასახადის განაკვეთის 0,01%-ის ოდენობით შემოღება ევროპული კავშირის ქვეყნების 57 მლრდი ევროთი უზრუნველყოფას მოახდენდა. ევროპული კომისია 2012 წელს ოფიციალური წინადადებით გამოვიდა **ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის შემოღების შესახებ. გადასახადის განაკვეთი უნდა დადგენილიყო 0,1% - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების გარიგებებთან მიმართებაში და 0,01% - დერივატების გარიგებებთან მიმართებაში.** ამასთან, ევროპული კავშირის ცალკეულ ქვეყნებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის უფრო მარალი განაკვეთები დაედგინათ. დაგეგმილი იყი, რომ აღნიშნული გადასახადი 2014 წელს იქნებოდა შემოღებული, მაგრამ შემდგომში მისი შემოღება უფრო გვიან ვადაზე გადაიდო.

სახელმწიფო ფინანსების გაუმჯობესებას ასევე, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრძოლასთან მიმართებაში პოლიტიკის შემდგომი გამკაცრებაც შეუწყობდა ხელს. ასე, მაგალითად, მხოლოდ ევროპულ კავშირში, ევროკომისიის ექსპერტების შეფასების მიხედვით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, ბუიჯეტის დანაკარგები ერთი ტრილიონი ევროთი ფასდება. სწორედ ამიტომ ევროპის კავშირში, ბოლო პერიოდში, ანაბრების შესახებ ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის გადაწყვეტილება იქნა მიღებული, საბანკო ანაბრებითან მიმართებაში პროცენტებიდან გადასახადის გადახდევინების შესახებ კანონმდებლობა გამკაცრდა. გარდა ამისა, მიიღება ძალისხმევა მსხვილი კონცერნების პრაქტიკაში ფართედ გავრცელებული, ეროვნულ კანონმდებლობაში პრობლემების გამოყენებით, მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავის აცილების შესაძლებლობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ასევე უნდა იქნას შექმნილი იმ ქვეყნების ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების კლიენტურის მონაცემების ავტომატური გაცვლის სისტემა, რომლებიც ჯერჯერობით საგადასახადო „ნავსაყუდებად" ითვლებიან. ასეთი ღონისძიება გახდება, გერმანიის ფედერალური კანცლერი ა. მერკელის მოსაზრებით, „საგადასახადო თაღლითობისა და დღემდე ჯერ კიდევ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ლეგალური ხერხების წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი მაგალითი". ასევე, როგორც ა. მერკელი აღნიშნავს, „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფირმებმა გადასახადები გადაიხადონ იქ, სადაც რეალურად მუშაობენ (და არა სადაც იურიდიულად დარეგისტრირებულები არიან). აღნიშნული საგადასახადო < ნავსაყუდებთან > ბრძოლას ითვალისწინებს" (EUROPEAN COMMISSION, 2011).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წლიდან **ლუქსემბურგმა** საბანკო ინფორმაციების ავტომატურად გაცვლის სისტემაში პრაქტიკულად მიერთების თავისი მზადყოფნის შესახებ განაცხადა. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრძოლასთან მიმართებაში ღონისძიებებს **ავსტრიამაც** დაუჭირა მხარი. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მრავალი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთ ღონისძიებებს **შვეიცარიამ**, აგრეთვე **ევროპული კავშირის**

საზღვრებს გარეთ განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმიანმა ქვეყნებმაც დაუჭირონ მხარი (Mosiashvili, 2020).

საგადასახადო მოსაკრებლების ამაღლების გარდა, ასევე სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც გულისხმობს მათგან ისეთების შემცირებას, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენენ. თუმცა ამავე დროს, ხარჯები ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მხარდაჭერასთან მიმართებაში, საჭირო დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამასთან, პირდაპირ სახელმწიფო ხარჯებთან ერთად, მიზანშეწონილია სახელმწიფო გარანტიები და ფინანსური სტიმულირების სხვადასხვა ინსტრუმენტები, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები იქნეს გამოყენებული. ამასთან ერთად, საჭიროა სწორად იქნეს გაგებული, რომ „ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის ღონისძიებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერ შეიძლება იმავდროულად, ამომრჩევების მხრიდან ზეწოლის გადალახვეს საჭიროების გარეშე იქნეს რეალიზებული, ფისკალური (საბიუჯეტო-საგადასახადო) ღონისძიებების გადალახვა, რესურსების არაეფექტურად გახარჯვის გარდა, არაფრამდე მიმყვან დანახარჯებიან პროექტებზე უარის თქმა, გარკვეულ დროსა და გონიერებას მოითხოვს. სტიმულიბის სრულყოფილ პაკეტს გაცვეთილი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ეფექტური დაბანდებებისაკენ მივყავართ და რასაც სამომავლოდ ეკონომიკურ ზრდაში საკუთარი წვლილი შეაქვს“(2).

ამრიგად, როგორც ისტორიული, მათ შორის ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის ინსტრუმენტების გონივრული გამოყენება, ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების შემძლეა. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტრუმენტების, დამანგრეველი კრიზისების წარმოქმნის არ დაშვებით, პრევენტიულ ჭრილში გამოყენება ვისწავლოთ. კრიზისების დაძლევის სფეროში ჯერჯერობით საკმაოდ დიდი გამოცდილება არ არის დაგროვებული, მაგრამ რეალურად აღნიშნულ საკითხში ზომიერი ოპტიმიზმისათვის ყველა საფუძველი არსებობს (Mosiashvili, https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf, 2022).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის **დასკვნის** გაკეთება არის შესაძლებელი:

1. **აღნიშნულია,** რომ ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული.
2. **მითითებულია,** რომ ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ **ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების** ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის, რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების დარეგულირების როლს შეასრულებდა.

3. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო და ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების საწინდარი იქნება.

ბიბლიოგრაფია

1. EUROPEAN COMMISSION. (2011, 9 28). *https://taxation-customs.ec.europa.eu/system/files/2018-04/history-proposal-financial-transaction-tax_en.pdf*. Retrieved from https://taxation-customs.ec.europa.eu/system/files/2018-04/history-proposal-financial-transaction-tax_en.pdf: https://taxation-customs.ec.europa.eu/system/files/2018-04/history-proposal-financial-transaction-tax_en.pdf

2. Mosiashvili , V., & Bibiluri, A. (2022, 4 2022). *https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95*. Retrieved from https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95: https://www.turiba.lv/storage/files/konference-xxiii-2022_1.pdf#page=95

3. Mosiashvili, V. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.

4. Mosiashvili, V. (2022, 9). *https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf*. Retrieved from https://ijsser.org/index.php: https://ijsser.org/index.php

5. Valeri, M. (2022). https://ijsser.org/2022files/ijsser_07__203.pdf. *International Journal of Social Science and Economic Research*, 8.

6. https://www.britannica.com/topic/Keynesian-economics [უკანასკნელად გადამოწმდა 15.10.2023].

7. https://dic.academic.ru/dic.nsf/ruwiki/1572939 [უკანასკნელად გადამოწმდა 08.11.2023].

8. https://www.imf.org/en/Home [უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2023].

9. https://www.worldbank.org/en/home [უკანასკნელად გადამოწმდა 14.12.2023].

10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3

11. https://analytics.nbg.gov.ge/views/Forex_Market_GE/_?iframeSizedToWindow=true&%3Aembed=y&%3AshowAppBanner=false&%3Adisplay_count=no&%3AshowVizHome=no [უკანასკნელად გადამოწმდა 21.10.2023].

12. https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data#sagareoseqtori [უკანასკნელად გადამოწმდა 15.09.2023].

13. https://www.mof.ge/5397 15.07.2022 [უკანასკნელად გადამოწმდა 15.07.20232].

14. https://bit.ly/3IKhVpy [უკანასკნელად გადამოწმდა 15.07.2022].

15. https://www.ceeol.com/search/article-detail?id=813287 [უკანასკნელად გადამოწმდა 15.07.2022].

16. https://taxation-customs.ec.europa.eu/system/files/2018-04/history-proposal-financial-transaction-tax_en.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 15.07.2032].

17.https://www.wallstreetmojo.com/tobin-tax/ [უკანასკნელად გადამოწმდა 14.11.2023].

დანაზოგები, როგორც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის რესურსი
Savings as a resource for ensuring economic growth

მედეა ჭელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
m.chelidze@gtu.ge
Medea Chelidze
Georgian Technical University. Professor
გოჩა აბუთიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ასისტენტ-პროფესორი
g.abutidze@gtu.ge
Gocha Abutidze
Georgian Technical University. Assistant professor

ანოტაცია. დანაზოგები წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების სისტემის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს. დანაზოგების არსებობა საზოგადოებისთვის ნიშნავს მომავალში განვითარების შესაძლებლობას. ის, თუ დანაზოგების განხორციელების რომელ სახეს ირჩევს საზოგადოება, ახასიათებს მის ეკონომიკურ აზროვნებას.

დღეს ბაზარზე დანაზოგების განსათავსებლად ფართო არჩევანი არსებობს, ვინაიდან მაღალი კონკურენციისა და ფულადი რესურსებისათვის ბრძოლის პირობებში ფინანსური კომპანიები სულ უფრო მრავალფეროვან და დიფერენცირებულ წინადადებებს სთავაზობენ დანაზოგის მფლობელებს.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დანაზოგები გამოიყენება, როგორც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის რესურსი. დანაზოგები, როგორც ფინანსური რესურსების პოტენციური წყარო, შესაძლოა გახდეს ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების რეალური ალტერნატივა და ხელშემწყობი ფაქტორი. შესაბამისად, აუცილებელია დანაზოგების აკუმულირების და გამოყენების ეფექტური მექანიზმის შექმნა რეალურ ეკონომიკაში ინვესტირების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: დანაზოგები, სადეპოზიტო პოლიტიკა, სახსრების განთავსება, დანაზოგების ბაზარი.

Aannotation. Savings are one of the necessary elements of the system of economic relations. Having savings for society means the possibility of development in the future. The type of savings that a society chooses characterizes its economic thinking.

Today there is a wide choice of savings in the market, since in conditions of high competition and the struggle for financial resources, financial companies offer savings owners more and more diverse and differentiated offers.

In countries with market economies, savings are used as a resource to ensure economic growth. Savings as a potential source of financial resources can become a real alternative and contributing factor to foreign investment in the country's economy. Therefore, it is necessary to create an effective mechanism for accumulating and using savings for investment in the real economy.

Key words: Savings, deposit policy, placement of funds, savings market.

დანაზოგი წარმოადგენს სხვაობას მიღებულ შემოსავალსა და საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე დახარჯულ სახსრებს შორის. თანაბარ პირობებში, რაც მეტი დაიზოგება, მით მეტი თანხა დარჩება ინვესტირებისთვის, ანუ ახალი საწარმოების

შექმნისა და მოქმედი საწარმოების გაფართოებისთვის, ვინაიდან მწარმოებლური მიზნით გამოყენების პირობებში დანაზოგები გვევლინება ეკონომიკის დაკრედიტებისა და ინვესტირების უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერ სუბიექტს დანაზოგის განთავსების ფართო არჩევანი გააჩნია, რაც განპირობებულია დანაზოგების მნიშვნელობის განუხრელი ზრდით. შესაბამისად, მაღალი კონკურენციისა და ფულადი რესურსებისათვის ბრძოლის პირობებში ფინანსური კომპანიები სულ უფრო მრავალფეროვან და მიმზიდველ წინადადებებს სთავაზობენ დანაზოგის მფლობელებს.

დანაზოგებს მნიშვნელოვანი როლი გააჩნიათ კვლავწარმოებით პროცესში. შემოსავლების ნაწილი, რომლის დახარჯვა გარკვეული პერიოდით გადაიდო, წარმოადგენს ფულადი სახსრების წყაროს წარმოების გაფართოებისთვის. მაგრამ დანაზოგები რომ რეალურ ინვესტიციებად იქცეს, კომპანიებმა უნდა შეძლონ მათი რეალურად ათვისება და დაბანდებული სახსრების რენტაბელობის აუცილებელი დონის უზრუნველყოფა.

დანაზოგების მოზიდვის მიმართულებით ფინანსური ინსტრუმენტების ყველაზე მრავალფეროვანი და დიფერენცირებული ნაკრები კომერციულ ბანკებს გააჩნიათ, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა სახის ანაბრები და ფასიანი ქაღალდების ემისია. აღნიშნული, როგორც წესი, სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან შედარებით დანაზოგების ბაზარზე კომერციული ბანკების მდგომარეობას საგრძნობლად ამყარებს. (მოსიაშვილი, ჭელიძე, & აბუთიძე, 2020).

დანაზოგების მოზიდვისას სადაზღვევო კომპანიების უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ მიუხედავად ინსტრუმენტების შედარებითი სიმწირისა, მათ მიერ გამოყენებული ინსტრუმენტებით სხვა ფინანსური ინსტიტუტი ვერ ისარგებლებს. ხაზგასასმელია, რომ უკანასკნელ წლებში სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ უფრო მრავალფეროვანი გახადონ დაზღვევის სახეები და პირობები, აგრეთვე სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის სქემები.

ფულადი რესურსების მოზიდვის საკმაოდ ფართო შესაძლებლობები გააჩნიათ არაფინანსურ ორგანიზაციებსაც. ისინი სულ უფრო აქტიურად იყენებენ როგორც ტრადიციულ (მაგ., ფასიანი ქაღალდები), ისე არატრადიციულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

კომერციული ბანკების ინსტრუმენტების ფართო სპექტრი განისაზღვრება საფინანსო ბაზარზე მათი, როგორც სპეციალიზებული საკრედიტო დაწესებულებების და ფინანსური ბაზრის სრულფასოვანი მონაწილის, როლით. რაც შეეხება სხვა მონაწილეებს, მათთვის დამახასიათებელი მეთოდების სიმრავლე უფრო მეტად განპირობებულია სწრაფვით, გვერდი აუარონ არსებულ შეზღუდვებს და საქმიანობისთვის ლეგალური სახის მისაცემად იყენებენ ყველა საშუალებას, რომელსაც მათ აძლევს საკანონმდებლო ბაზა.

საფინანსო ბაზრის პროფესიონალი მონაწილეების მართვაში არსებული დანაზოგები, რომლებსაც ისინი განათავსებენ სხვადასხვა სახის აქტივებში, მფლობელებს უკან უბრუნდებათ გარკვეული სარგებლით. სახსრების განთავსების პროცესში ლიცენზირებული ინსტიტუტების მიერ ხდება პროექტებისა და მსესხებლების სათანადო მონიტორინგი. თაღლითობისა და გაკოტრების რისკის მინიმუმამდე დასაყვანად მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოების მხრიდან ხორციელდება ლიცენზირებული ინსტიტუტების საქმიანობაზე უწყვეტი და მკაცრი კონტროლი.

დანაზოგების აქტიურად მოსაზიდად სტრატეგიული მიმართულებების შემუშავების პროცესში ბანკი უნდა ეფუძნებოდეს საერთო კორპორაციულ სტრატეგიას. თუ ბანკმა აირჩია ექსპანსიის სტრატეგია, მისი რეალიზება უნდა მოხდეს ხარჯების შემცირებით, ან სახსრების

განთავსების უნიკალური ხერხების შეთავაზებით. თუ ბანკი ცდილობს დაიკავოს გარკვეული ნიშა ბაზარზე, უნდა განისაზღვროს სამომხმარებლო ჯგუფი, ვის მოთხოვნილებებსაც ის დააკმაყოფილებს ყველაზე კარგად.

საბანკო მომსახურების მომხმარებლების ბაზარი საკმაოდ მოცულობითია, რაც ბანკისგან მოითხოვს ინფორმაციის უზარმაზარი ნაკადების შეგროვებას და გადამუშავებას. თუ ბანკი ორიენტირებულია მომხმარებლების ყველა კატეგორიაზე, ეს ართულებს მომსახურების ისეთი სახეების შემუშავების პროცესს, რომლებიც მოთხოვნადი იქნება ყველა კატეგორიის მომხმარებლებისთვის. მიუხედავად იმისა, დანაზოგების ბაზარზე საქმიანობის რა სტრატეგიას აირჩევს ბანკი, მის სადეპოზიტო პოლიტიკაში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი საკითხები: საბანკო რესურსების სტრუქტურაში დანაზოგების წილი (ძირითადი ან მეორეხარისხოვანი რესურსი), ბაზრის მოცვის ხარისხი, შემოსავლიანობა (სტანდარტული, იაფი ან უფრო ძვირი, უნიკალური საბანკო პროდუქტების და მომსახურების შეთავაზება, რაც ქმნის გარკვეულ კონკურენტულ უპირატესობას) და სხვა.

ბანკის სადეპოზიტო პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უკავია დანაზოგების ბაზრის კვლევას. პოლიტიკის შემუშავება, რეალიზება და კორექტირება შეუძლებელია დანაზოგების ბაზრის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და დინამიკის ყოველმხრივი შესწავლის გარეშე. საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და სათანადო გადამუშავებისთვის, და აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა შერჩეული სეგმენტისთვის ახალი საბანკო მომსახურებისა და პროდუქტების წარმატებით მიწოდების მიზნით, ბანკებში უნდა არსებობდეს მარკეტინგული კვლევების მკაფიო და ჩამოყალიბებული სისტემა. აღნიშნული სისტემა, როგორც წესი, ითვალისწინებს რიგი ეტაპების არსებობას: პრობლემების გამოვლენა და კვლევის მიზნების ფორმულირება; ინფორმაციის წყაროების შერჩევა; ინფორმაციის შეგროვება; ინფორმაციის ანალიზი; კვლევის შედეგების გაცნობა და სხვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინფორმაციის წყაროების შერჩევა. შესაბამისად, განსაზღვრავენ ინფორმაციის შეგროვების ხერხებს, კვლევისას გამოყენებულ ინსტრუმენტებს, მიზნობრივ აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარების გზებს და ა.შ. ამის შემდეგ ხდება ბაზრის შესწავლისას მიღებული შედეგების განვრცობა და ბაზრის მდგომარეობის შესახებ ანგარიშში ჩართვა. ბაზრის მხრიდან ყველაზე საინტერესო პერსპექტიული მიმართულებების გამოვლენა ხორციელდება სეგმენტირების მეშვეობით.

რაც შეეხება მთლიან ეროვნულ დანაზოგს, იგი წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგს, რომელშიც შედის პერსონალური დანაზოგები, კომპანიების დანაზოგები და მთავრობის დანაზოგები.

ვინაიდან მთლიანი ეროვნული დანაზოგი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს განსაზღვრავს, იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ მაჩვენებლად გვევლინება. ქვემოთ მოტანილი გვაქვს მონაცემები - საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება დანაზოგის დონის შესახებ საქართველოში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

დანაზოგის დონე (ეროვნული დანაზოგი/მთლიან ეროვნულ განკარგვად შემოსავალთან) 2015-2022 წწ.

წელი	დანაზოგის დონე (%)
2015	13.8

2016	17.2
2017	18.7
2018	20.6
2019	19.1
2020	10.7
2021	8.1
2022	15.6

გამოყენებული ლიტერატურა

1. Chelidze, M., Khidirbegishvili, N., & Abutidze, G. (2021). Features of Activities of Commercial Banks of Georgia in Modern Conditions. *Reviewed Scientific and Methodical Journal «Problems of Modern Science and Education». N3 (160)*, 16-23.

2. *Forbes Georgia.* (2023, November). Retrieved from https://forbes.ge/ra-aris-mthliani-erovnuli-danazogi/

3. მენქიუ, გ. (2008). ეკონომიკის პრინციპები, მეორე ქართული გამოცემა (ელექტრონული ვერსია). თბილისი, საქართველო. 835 გვ.

4. მოსიაშვილი, ვ., ჭელიძე, მ., & აბუთიძე, გ. (2020). *საბანკო საქმე. სახელმძღვანელო.* თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 458გვ.

5. *საქართველოს ეროვნული ბანკი. ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები.* (2023, November). Retrieved from https://nbg.gov.ge/statistics/international-rating

6. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* (2023, November). Retrieved from https://www.geostat.ge/ka/modules/categories/560/shinameurneobebze-dakvirveba

მომსახურების ინოვაციური ტექნოლოგიები საქართველოს საბანკო სისტემაში

Innovative service technologies in the Georgian banking system

მასხარაშვილი დიმიტრი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.
ეკონომიკის დოქტორი. პროფესორი

d.maskharashvili@seu.edu.ge
Maskharashvili Dimitri – Georgian National University SEU
Doctor of Economics. Professor

ანოტაცია. წინამდებარე სტატიაში აღნიშნულია, რომ თანამედროვე პირობებში საბანკო ინოვაცია გაიგივებულია პროცესთან, რომელიც მიზნად ისახავს საბანკო საქმიანობის მოდერნიზებას, ოპერაციების, პროდუქტების, ბიზნეს პროცესების, სერვისების გაუმჯობესებას, რაც მოიცავს კლიენტების არსებული საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას ან ახლის შექმნას, მოწოდებული სერვისებისა და პროდუქტების სპექტრის გაფართოებას და მოგების მაქსიმიზაციას. საბანკო ინოვაციების სხვადასხვა კონცეფციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა მათთვის საბანკო სერვისების მიკუთვნება, რომელიც მოიცავს ახალ და ადრე შემოთავაზებულს, კლიენტების მიერ მათი შეთავაზების გზების ცვლილების შემთხვევაში, რაც იწვევს მათი ხარისხის გაუმჯობესებას. ინოვაციური აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკის ჯილდოდ ბანკი იღებს, რა თქმა უნდა, მოგებას.

არსებული მეორადი ინფორმაციის საფუძველზე, ანალიზური და სინთეზური კვლევის მეთოდების გამოყენებით ვეცადეთ არგუმენტირებულად მოგვცეა საქართველოს საბანკო სფეროს წინაშე არსებული გამოწვევების კვლევის ავტორისეული ხედვები, რათა გვეჩვენებინა, რამდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე საბანკო სისტემაში თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა, რომლის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესებით, არამედ მასზე დიდადაა დამოკიდებული მზარდი კონკურენციის პირობებში წარმატების მიღწევა.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური გლობალიზაცია, კომერციული ბანკი, ციფრული ტექნოლოგია, საბანკო სერვისი, API ტექნოლოგია.

Annotation. This article mentions that in modern conditions, banking innovation is equated with a process aimed at modernizing banking activities, improving operations, products, business processes, services, which includes better meeting the existing needs of clients or creating new ones, expanding the range of services and products provided, and maximizing profits. The analysis of different concepts of banking innovations made it possible to attribute to them banking services, which include new and previously offered ones, in the case of changes in the ways of offering them to customers, which leads to an improvement in their quality. As a reward for the risk associated with the implementation of innovative activities, the bank receives, of course, profit.

Based on the available secondary information, using analytical and synthetic research methods, we tried to provide the author's views of the research on the challenges facing the banking sector of Georgia in an argumentative manner, in order to show how important it is to introduce modern advanced technologies in the modern banking system, the importance of which is not limited to the improvement of financial indicators, but is highly dependent on it. Achieving success in the face of growing competition.

Keywords: financial globalization, commercial bank, digital technology, banking service, API technology.

ფინანსური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ბანკების მიერ თავიანთ საქმიანობაში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დანერგვა გადაუდებელი აუცილებლობაა, რადგან ეს მათ კონკურენციაში გამორჩევის საშუალებას მისცემს. უცხოური ბანკების გამოცდილებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ადგილობრივი საკრედიტო ინსტიტუტები ინოვაციური სტრატეგიის შემუშავებისას, რათა ეფექტურად იმუშაონ და საინოვაციო პროცესის მართვა, ბანკის საბანკო გარემოს მონიტორინგი მის საქმიანობაში ცვლილების აუცილებლობის დასადგენად; შეიმუშავებს სტრატეგიებს და აყალიბებს პროგრამებს ბანკის საქმიანობაში ცვლილებებისათვის, როგორც მიმდინარე კოლექტიური მოქმედებების სისტემა, რომელიც მიმართულია საერთო მიზნის მისაღწევად: პერსონალის ინოვაციური იდეებისა და ვალდებულებების მხარდაჭერა. ბანკებსა და კლიენტებს შორის ურთიერთობა ეფუძნება პარტნიორობის პრინციპებს. ეს, კერძოდ, ნიშნავს, რომ ბანკები მუდმივად ზრუნავენ არა მხოლოდ მათი კლიენტების კაპიტალის შენარჩუნებით, არამედ გაზრდით, სთავაზობენ მათ ახალ სერვისებს, რომლებიც ხელს უწყობს ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის გაფართოებას, ხარჯების შემცირებას, ბიზნეს აქტივობის განვითარებას და მის გაზრდას (Mosiashvili & Bibiluri, 2023).

ახალი ტიპის საბანკო სერვისების გაჩენის კიდევ ერთი მიზეზი არის კონკურენცია საბანკო და საფინანსო ინსტიტუტებს შორის მონეტარული და ფინანსური ბაზრის დერეგულირების პირობებში. ბანკის მენეჯერების მიზანია ბანკის საქმიანობის დივერსიფიკაცია და ბანკის საფინანსო საწარმო, ანუ დივიდენდების ბანკად გადაქცევა.

ციფრულ ეკონომიკაში დღეს ყველაზე გავრცელებული საბანკო ინოვაცია არის დისტანციური სერვისების დანერგვა ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს საშუალებას გაძლევთ განახორციელოთ ონლაინ საინფორმაციო კონსულტაცია, განახორციელოთ საინვესტიციო და სავალუტო ოპერაციები. შედეგად მცირდება ბანკის ზედნადები და მომსახურების ღირებულება.

ცხრილი 1. წმინდა მოგების სტატისტიკა საქართველოს კომერციულ ბანკებში (2019-2022 წელი)[1]

წელი / ბანკი	2019	2020	2021	2022 (I -კვ.)
საქართველოს ბანკი	390 114 132	57 108 800	658 175 300	157 900 000
თიბისი ბანკი	392 114 132	123 180 649	735 565 005	206 300 00
ლიბერთი ბანკი	26 832 117		36 311 329	16 200 000
ბაზისბანკი	24 830 002	5 972 349	33 319 645	21 200 000
პროკრედიტ ბანკი	23 131 243	3 534 386	48 046 498	10 000 000

გლობალურად, 2019 წლის მდგომარეობით, ონლაინ მომსახურე მომხმარებელთა რაოდენობა შეადგენდა მომხმარებელთა მთლიანი ბაზის 28%-ს. მოსალოდნელია, რომ 2021 წლისთვის უნაღდო ანგარიშსწორების მოცულობა გაორმაგდება და 420 მილიარდ ტრანზაქციას შეადგენს. ნათელია, რომ ციფრულიზაციის დინამიკა ბანკების მომგებიანობაზეც დადებითად მოქმედებს საბანკო ინოვაციების განვითარებამ და მთლიანობაში ციფრულმა ეკონომიკამ ხელი შეუწყო ვირტუალური ბანკების გაჩენას, რომლებსაც არ აქვთ ფილიალები და ფიზიკური ოფისები (Kovzanadze & Kontridze, 2022). ციფრული ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ ხელი შეუწყო კლასიკური პროდუქტების ცალკეულ ოპერაციებში გაშლას, შემდგომში გაერთიანებით ახალი სტრუქტურებისა და ფორმების სახით.

თანამედროვე ბანკს არ შეიძლება ეწოდოს კონკურენტუნარიანი, თუ ის არ დანერგავს ციფრული გაყიდვების არხებს თავის ბიზნეს სტრატეგიაში, არ დანერგავს ახალ ტექნოლოგიებს და არ გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს ინოვაციებით. გავაანალიზოთ საბანკო ინოვაციების ყველაზე წარმატებული მაგალითები ციფრულ ეკონომიკაში (Mosiashvili, file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf, 2023):

ბანკები აქტიურად განიხილავენ სუპერ-აპლიკაციების მშენებლობას: ყოველწლიურ ანგარიშებში მათი ხსენებების რაოდენობა 2020 წლიდან 2022 წლამდე გაიზარდა. 640%-ით. სუპერ-აპი აერთიანებს კლიენტისთვის ბევრ ღირებულ ფუნქციას ერთ ინტერფეისში. საბანკო აპლიკაციებს აქვს რთული სტრუქტურა, მაგრამ კლიენტის ყოველდღიური ყურადღება იყენებს

[1] https://nbg.gov.ge [გადამოწმებულია 14.11.2023].

რამდენიმე ძირითად ფუნქციას: ბალანსის შემოწმება, გადასახადების გადახდა,ტრანზაქციების ნახვა. ამ მიზეზით, მობილური ბანკინგს მხოლოდ API[2] აშორებს ნებისმიერ სხვა პლატფორმაში ინტეგრირებას.

ამავდროულად, რეალური სუპერ-აპლიკაციების სია ჯერ კიდევ მოკლეა: მასში შედის, მაგალითად, AliPay, Amazon, PayTM (ინდოეთი), Kakao (სამხრეთ კორეა) და სხვა. წელს ბანკებს მოუწევთ რთული არჩევანის გაკეთება: იბრძოლონ თუ არა საკუთარი სუპერაპლიკაციის პოპულარიზაციისთვის, დაამყარონ პარტნიორობა სხვებთან, თუ დარჩნენ ამ რბოლაში.

ESG[3] დღის წესრიგის სწრაფი განვითარება აიძულებს ბანკებს სასწრაფოდ შექმნან მონაცემთა მოპოვებისა და საკუთარი პროგრესის გაზომვის მექანიზმები მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად. ამერიკის ბანკის შეფასებით, დაახლოებით 150 ტრილიონი დოლარის მთლიანი ინვესტიციაა საჭირო ნახშირბადის ნეიტრალიტეტის მისაღწევად. საფინანსო ინსტიტუტებს მოუწევთ პლანეტის მფარველების ახალი როლის შესრულება, რაც მათთვის მნიშვნელოვან ფასად იქნება. თუმცა, ამ ინვესტიციებს შეუძლია გრძელვადიან პერსპექტივაში ანაზღაურება თანამშრომლების მოტივაციის, მომხმარებლის ნდობის, ინვესტორების ინტერესისა და მარეგულირებელი ლოიალობის სახით (Mosiashvili & Bibiluri, 2023).

ინოვაცია ისევ დღის წესრიგშია - ტრადიციული ბანკები კარგავენ წონას ეკონომიკაში: 2009 წლიდან 2021 წლამდე მათი წილი აშშ-ს მშპ-ში 4,6%-დან 3,85%-მდე დაეცა. ამავდროულად, ფინტექ კომპანიები და ალტერნატიული ფინანსური მოთამაშეები აგრძელებენ კაპიტალიზაციის გაზრდას. დიჯიტალიზაცია აუცილებლობად იქცა, მაგრამ მხოლოდ პროცესების დიჯიტალიზაცია ვერ უზრუნველყოფს საბანკო სერვისების დიფერენციაციას და ხელს შეუწყობს შემოსავლების ზრდას. ამის გამო, ბანკებს მოუწევთ შემოქმედებითად გადახედონ, თუ რომელი კონკრეტული ოპერაციები და შეთავაზებები შექმნიან ინოვაციას ყველაზე მეტ ღირებულებას მომხმარებლებისთვის (Mosiashvili, https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf, 2023). ბანკები არა მხოლოდ ათვალიერებენ ტრადიციულ შეხედულებებს სერვისებისა და კლიენტების სეგმენტების შესახებ, არამედ ხსნიან ახალ თანამშრომლობით ბიზნეს მოდელებს. ისინი სულ უფრო მეტად ხედავენ საკუთარ ტექნოლოგიას, როგორც ახალ პროდუქტს და შემოსავლის პოტენციურ ახალ წყაროს.

ბანკის საკომისიოები - ბანკების პოლიტიკა მომსახურების საკომისიოების გაანგარიშებასთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიცვალა. უფასო სერვისის ყოვლისმომცველ შეთავაზებასთან კონკურენციის პირობებში, ბანკები იძულებულნი გახდნენ გადასულიყვნენ შედარებით გამჭვირვალე განაკვეთებიდან დამალვის საკომისიოებზე - დაგვიანებით გადახდის საკომისიოების, ოვერდრაფტის და ა.შ. 2022 წლისთვის მზარდი კონკურენცია და ციფრული გამჭვირვალობა უბიძგებს ბანკებს და ფინტექ კომპანიებს გადახედონ თავიანთი მიდგომებს. ახალი კლიენტების შეთავაზებები სულ უფრო მეტად იქნება ფოკუსირებული ხარჯების ოპტიმიზაციაზე და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე მომხმარებლების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

---

[2] **API (Application Programming Interface)** - აპლიკაციების პროგრამული ინტერფეისი,რომლის გამოყენებით ფინანსურ ინსტიტუტებს შესაძლებლობა ექმნებათ სხვადასხვა აპლიკაციები დაუკავშირონ ერთმანეთს, ინფორმაციის მიმოცვლის მიზნით.

[3] **ESG** - (Environmental, Social, Government) - გარემოსდაცვითი, სოციალური და სამთავრობო ფაქტორების გავლენის მნიშვნელობას ფინანსური ინვესტიციის განხორციელებისას

2018 წლიდან 2020 წლამდე კლიენტების ნდობა ბანკების მიმართ შემცირდა: რესპონდენტთა მხოლოდ 29% (ორი წლის წინანდელი 43%-ის წინააღმდეგ) სრულად ენდობოდა ბანკს გრძელვადიანი ფინანსური კეთილდღეობის საკითხებში. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ბანკებმა კლიენტთან პირისპირ საუბარი შეწყვიტეს. 2022 წელს ბანკები ეძებენ გზებს, რომ დაუბრუნდნენ ამ საკითხს. მათი ამოცანაა კლიენტთან კომუნიკაციაში თანაგრძნობის აღდგენა და ფინანსური და ემოციური გარემოებების უფრო ღრმად გააზრება ლოიალობის აღდგენის მიზნით.

ციფრული ვალუტები[4] - 2021 წლის ბოლოსთვის მსოფლიოს 78 ქვეყანა აწარმოებს კვლევას CBDC-ის[5] სფეროში: მათგან ექვსმა უკვე გამოუშვა საკუთარი ციფრული ვალუტა და მინიმუმ 17 არის მათი პილოტირების პროცესში. მაგალითად, შვეიცარიასა და სინგაპურში CBSS უკვე პილოტირდება ტრანსსასაზღვრო გადახდებისთვის, მაშინ როცა საცალო CBSS პროექტმა ჩინეთში უკვე მიაღწია 140 მილიონზე მეტ მომხმარებელს ტრანზაქციის მოცულობამ 9,5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი. ციფრული ვალუტების განვითარების შემდგომი აქცენტი არის კონკრეტული განაცხადის სცენარების იდენტიფიცირება, სადაც მათ შეუძლიათ მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიცემა.

ბანკები მივიდნენ იმ ხაზთან, სადაც ადამიანის მონაწილეობა ოპერაციებში აუცილებელი არ არის. მაგალითად, მეტყველებისა და ტექსტის ანალიზის ტექნოლოგიები უკვე გვეხმარება სამუშაოს მრავალჯერ უფრო სწრაფად და ზუსტად შესრულებაში. სესხის გაცემისას საოპერაციო ამოცანების 60-დან 70%-მდე უკვე შეიძლება შემცირდეს შემოსავლის ანგარიშების და სხვა დოკუმენტების ერთიან ფორმაში გადაყვანით.

გადახდები ხდება უნივერსალური - Accenture-ის გლობალური ანალიტიკოსების აზრით, შემდეგი რევოლუცია გადახდებში იქნება გამოწვეული ღია ქსელებით. მომხმარებლები უკვე თვლიან, რომ მათ შეუძლიათ გადაიხადონ და მიიღონ ფული ყველგან, ნებისმიერ დროს. ინდუსტრია უკვე არის ზღვარზე, რომ მისცეს მათ შესაძლებლობა გადაიხადონ ნებისმიერი ფორმით. მარეგულირებლები უბიძგებენ ბაზარს მოხსნას შეზღუდვები მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომ გადახდის მეთოდებზე, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, და გამოიყენოს ერთიანი სტანდარტები. ღია გადახდის ინფრასტრუქტურის განვითარება ქვეყნის ან თუნდაც რეგიონულ დონეზე, როგორც ევროპაში, იქნება ცვლილების კატალიზატორი და უზრუნველყოფს ინვესტიციებსა და ინოვაციებს შორის უკეთეს კავშირს.

ბანკები კვლავ ეძებენ ზრდის შესაძლებლობებს - ბოლო 11 წლის განმავლობაში, ბანკების შერწყმისა და შესყიდვების წლიური რაოდენობა შემცირდა 43%-ით, 2010-დან 800-მდე. 2022 წელს, როდესაც ბევრი კლიენტი უკვე დაიღალა პანდემიის შეზღუდვებით, ბანკები კვლავ იწყებენ პერსპექტივის ძიებას.

2020 წელი საბანკო ინდუსტრიის მასიური ციფრულიზაციის წლად იქცა. ბანკები, რომლებმაც მოახერხეს საკუთარი ციფრული პლატფორმების შექმნა ეპიდემიის დასაწყისში, მყისიერად აღმოჩნდნენ ლიდერებს შორის. მათ შემდეგ მომხმარებლებმა ციფრულზე მიისწრაფოდნენ და ახლა უკვე ნორმად იქცა ციფრული და არა „ტრადიციული“ სერვისები. ბანკებთან ურთიერთობა ოფისში ვიზიტს აღარ გულისხმობს. ფინანსური სერვისებით სარგებლობისთვის საკმარისია აიღოთ სმარტფონი. ახლა კი ბანკები, რომლებმაც დადეს ფსონი

---

[4] **ციფრული (ელექტრონული) ვალუტა** — ნებისმიერი ვალუტა, ფული ან ფულის მსგავსი აქტივი, რომელიც ინახება, იმართება და იცვლება ციფრულ კომპიუტერულ სისტემებში ინტერნეტით.

[5] **CBDC:** ცენტრალური ბანკის ციფრული ვალუტა.

დიჯიტალიზაციაზე, იღებენ თავიანთი შორსმჭვრეტელობის სარგებელს და გეგმავენ ზოგიერთი ოფისის დახურვას 2021 წელს. ასეთ ფინანსურ ინსტიტუტებს აქვთ კლიენტების ფართო ბაზა, რომლებიც დისტანციურად სარგებლობენ მათი მომსახურებით.

საბანკო ბიზნესს საფრთხე ემუქრება IT გიგანტებისაგან, რომლებიც ემზადებიან უშუალოდ ბანკებთან კონკურენციის დასაწყებად (Mosiashvili, Chelidze , & Abutidze, Banking, 2020). Google Plex banking-ის ამოქმედება მომავალ წელს იგეგმება და Apple აშკარა ინტერესს გამოხატავს საბანკო სექტორში ყოფნის გაფართოებით. ეს კომპანიები აღარ არიან მზად, შეეგუონ ბანკის პარტნიორების პოზიციას, რომელთა როლი შეზღუდულია მარეგულირებლების მიერ. ისინი აერთიანებენ საბანკო ოპერაციებს საკუთარ სერვისებში, უბიძგებენ საბანკო აპლიკაციებს კლიენტის ინსტრუმენტთა ნაკრებიდან.

ბანკებისთვის სხვა პოტენციური და ძალიან საშიში კონკურენტები მოიცავს ტექნოლოგიების მოთამაშეებს, როგორიცაა Stripe Treasury, Facebook, Shopify და Amazon – პლატფორმები, რომლებიც შესანიშნავად ახდენენ მონაცემთა ინტეგრაციასა და მართვას. სავარაუდოა, რომ საბანკო აპლიკაციების მნიშვნელობა ახლა გახდება მათი განვითარების ყველაზე მაღალი წერტილი, რის შემდეგაც მომხმარებლების (არა მხოლოდ საცალო, არამედ კორპორატიული) ინტერესი მათ მიმართ სტაბილურად დაიწყებს კლებას.

ბანკებს მოუწევთ კონკურენცია გაუწიონ არა მხოლოდ ფინტექ კომპანიებს და IT გიგანტებს. კიდევ ერთი საფრთხე იქნება მარჟების შემცირება, საკრედიტო რისკები და დაბალი აქტივობა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში (Mosiashvili, Chelidze , & Abutidze, Banking, 2020). ბოლო წლების ყველაზე წარმატებული საბანკო მომსახურებაა კერძო ინვესტიციების მართვის სისტემები, ფულის გადარიცხვის სერვისები და ქეშბექი ბარათები, რომლებიც „თამაშობენ“ დაზოგვის ტრადიციულ ადამიანურ სურვილზე. მაგრამ ისინი ყველა განსხვავდება სხვა საბანკო პროდუქტებისგან გამჭვირვალობის მაღალი დონით. პირობები გასაგებია თითოეული მომხმარებლისთვის: საბანკო საკომისიოს ოდენობა, ტრანზაქციის ღირებულება თუ ფასდაკლების პროცენტი. ისინი წარმოადგენენ ბანკებთან ურთიერთქმედების ახალ მნიშვნელობას და ახლა მომხმარებლები სხვა პროდუქტებისგან იგივე გამჭვირვალობას მოელიან.

ბიბლიოგრაფია

1. Kovzanadze, I., & Kontridze, G. (2022). *Tanamedrove sabanko saqme: Teoria da praqtika.* Tbilisi: Tsu.

2. Mosiashvili, V. (2023, 10 20). *file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf.* Retrieved from file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf: file:///C:/Users/User/Downloads/69.pdf

3. Mosiashvili, V. (2023, 3 21). *https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf.* Retrieved from https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf: https://iverieli.nplg.gov.ge/bitstream/1234/442682/1/Ekomomika_Da_Finansebi_2023_N1.pdf

4. Mosiashvili, V., & Bibiluri, A. (2023, 4 9). *https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139.* Retrieved from https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139: https://www.turiba.lv/storage/files/konference-2023_1.pdf#page=139

5. Mosiashvili, V., & Samchkuashvili, N. (2021, 8 21). *https://www.researchgate.net/profile/Shapan-Majumder/publi*h.pdf#page=179

6. Mosiashvili, V., Chelidze , M., & Abutidze, G. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.

7. https://forbes.ge/saqarthvelo-inovatsiebis-qveqhana/ [გადამოწმებულია 11.12.2023].

8. https://nbg.gov.ge/ [გადამოწმებულია 10.10.2023
9. https://bankofgeorgia.ge/ka/business/digital-bank/open-banking [გადამოწმებულია 10.10.2022

მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები და პერსპექტივები
Contemporary challenges and perspectives of small and medium-sized businesses

ნინო სამჭკუაშვილი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Nino Samchkuashvili - Doctor of Economics, Georgia
Associate Professor of the National University

აბსტრაქტი. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია: ის ხელს უწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, ამაღლებს დასაქმების დონეს, ქმნის ჯანსაღ კონკურენციას, ხელს უწყობს ინოვაციების განვითარებას და მრავალი სოციალური პრობლემის გადაჭრას. მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ბევრად უფრო დინამიურად რეაგირებს ეკონომიკის ცვლილებებზე. მისი საწარმოები ასტიმულირებენ შიდა მოთხოვნას, ზრდიან კონკურენციას და ახდენენ ინოვაციების გენერირებას უფრო სწრაფად, ვიდრე მსხვილი კომპანიები. მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ნაკლებად კაპიტალტევადია და შეუძლია უფრო ეფექტურად გამოიყენოს შრომითი რესურსები და არსებული ინფრასტრუქტურა. საქართველოში სიღარიბისა და ეკონომიკური უთანასწორობის მაღალი დონის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ხელს შეუწყობს სოციალური პრობლემების გადაჭრას სამუშაო ადგილების შექმნით და დამატებითი შემოსავლის წყაროების წარმოშობით.
საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო ბიზნესი, კონკურენცია, გამოწვევები

Abstract. The role of small and medium-sized business in the economic life of society is very important: it contributes to economic growth in the country, raises the level of employment, creates healthy competition, promotes the development of innovations and solves many social problems. The SME sector reacts much more dynamically to changes in the economy. Its enterprises stimulate domestic demand, increase competition and generate innovation faster than large companies. The SME sector is less capital intensive and can use labor resources and existing infrastructure more efficiently. Given the high level of poverty and economic inequality in Georgia, the development of small and medium-sized businesses will contribute to solving social problems by creating jobs and generating additional sources of income.
Key words: small and medium business, competition, challenges

შესავალი. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევა შეუძლებელია მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის გარეშე, რომლებიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის ერთ-ერთ მასობრივ სექტორს წარმოადგენენ და ხელს უწყობენ სამუშაო ადგილების მნიშვნელოვანი რაოდენობის შექმნას. მცირე და საშუალო ბიზნესი დღევანდელი გაურკვევლობის მაღალი დონისა და გარე გარემოს ტურბულენტობის პირობებში სწრაფად რეაგირებს საბაზრო პირობების ცვლილებებზე, რაც ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის სწრაფ ადაპტაციას და რესტრუქტურიზაციას კრიზისის პირობებში. მცირე ბიზნესის სექტორის განვითარება და კონკურენციის მაღალი დონის შენარჩუნება არის მთავარი ნაბიჯი ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და პროგნოზირებადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მცირე და საშუალო საწარმოების უნიკალური მახასიათებელი და უპირატესობა არის მათი მობილურობა და რეაგირების მაღალი სიჩქარე ცვალებად საბაზრო პირობებზე. თუმცა, მცირე და საშუალო ბიზნესის ეს მახასიათებლები ასევე შეიძლება იყოს კომპანიების სისუსტე ეკონომიკური კრიზისის პერიოდში, რაც იწვევს სამომხმარებლო მოთხოვნის მკვეთრ ვარდნას.

Лаврушин О.И., Валенцева Н. И., Красавина Л.Н., (2020). Банковские риски. Москва.

https://www.sabanko.com/wigni [Last seen 04.10.2023];

https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/legal_regulation/regulations.pdf [Last seen 22.10.2023];

https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/likvidobis_gadafarva.pdf [Last seen 23.10.2023];

კახაბერ ციმინტია. ეკონომიკის დოქტორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
kakhatsimintia@gmail.com
Kakhaber Tsimintia. Doctor of Economics,
Associate Professor of Sokhumi State University

აბსტრაქტი. ჩრდილოვანი ეკონომიკა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს როგორც მსოფლიოს, ისევე ცალკეული ქვეყნების განვითარებაზე. იგი ამახინჯებს ეკონომიკური ზრდის, ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, შემოსავლების განაწილების მაჩვენებლებს. ამასთან, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მიუხედავად მისი განვითარების დონისა და ხარისხისა. ცალკეული ქვეყნების მიხედვით ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოქმედ ფაქტორებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნები გააჩნიათ, რამდენადაც მათი საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში ჩრდილოვანი სექტორის სიდიდეზე და ამ მაჩვენებლის მიხედვით შევუდაროთ ქვეყნები ერთმანეთს, არამედ მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება გავაანალიზოთ და წარმოდგენა შევიქმნათ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე, ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობაზე, საგადასახადო სისტემაზე, კორუფციის დონეზე, ბიუჯეტის ფორმირების მექანიზმებზე, ინვესტიციების (განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციების) განხორციელების პირობებზე, არაფორმალური დასაქმების დონეზე და ა.შ. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ჩრდილოვანი ეკონომიკის მაშტაბები და ფაქტორები განსხვავებული შემოსავლების ქვეყნებსა და რეგიონულ პრიზმაში.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილოვანი ეკონომიკა, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი, ჩრდილოვანი ეკონომიკა მსოფლიოში

Abstract: The shadow economy has a significant impact on the development of both the world and individual countries. It distorts indicators of economic growth, formation of national wealth, income distribution. In addition, the shadow sector of the economy is characteristic of any country, regardless of its level and quality of development. According to individual countries, the factors affecting the shadow economy have certain specific characteristics, as they allow us to judge not only the size of the shadow sector in individual countries and compare countries according to this indicator, but also through them it becomes possible to analyze and create an idea of a particular country's economic, political and social stability, economic security, efficiency of state management, tax system, level of corruption, mechanisms of budget formation, conditions of implementation of investments (especially foreign investments), level of informal employment, etc. The scope and factors of the shadow economy in countries with different incomes and in the regional prism are discussed in the presented work.

Keywords: Shadow economy, scale of shadow economy, shadow Economy in the world.

შესავალი. ყველაზე ფართო გაგებით ჩრდილოვან ეკონომიკას მიეკუთვნება როგორც კანონით განსაზღვრული აქტივობა, რომელიც გარკვეული მიზეზის გამო ვერ ხვდება დაბეგვრის ქვეშ, ისევე უკანონო ეკონომიკური აქტივობა. გაეროსა და ევროსტატის მეთოდოლოგიით ჩრდილოვანი ეკონომიკა შემდეგ მიმართულებებს მოიცავს: - ,,ფარული ეკონომიკა", იგი გულისხმობს კანონით დაშვებულ, მაგრამ გადასახადებისგან დამალულ ეკონომიკურ საქმიანობათა სახეებს (გადასახადების დამალვა); - ,,არაფორმალური ეკონომიკა" დაკავშირებულია საოჯახო მეურნეობების თუ სხვა ფიზიკური პირებისა და ბაზრის სხვა ინდივიდუალური სუბიექტების მიერ კანონის საფუძველზე განხორციელებულ საქმიანობასთან, რომელიც ასევე არ ხვდება დაბეგვრის არეალში (შემოსავლები საკუთარი ლეგალური წარმოებიდან და პირდაპირი გაცვლიდან); - ,,არალეგალური ეკონომიკა", საქონლისა და მომსახურების უკანონო წარმოება და გასაღება [4].

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩრდილოვანი ეკონომიკის თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების შესწავლას საკმარისი ყურადღება არ ეთმობოდა. ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის საკითხები უფრო სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობდნენ, თუმცა ეკონომიკური პროცესების განვითარებამ, ტექნოლოგიურმა და ინფორმაციულმა ცვლილებებმა ნათელად წარმოაჩინეს ჩრდილოვანი ეკონომიკის ადგილი თანამედროვე მსოფლიოში, მისი ზეგავლენა ეკონომიკური განვითარების მიმართულებებსა და პირობებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ჩრდილოვანი ეკონომიკის ნეგატიურ შედეგებთან ერთად პოზიტიურ მხარესაც წარმოაჩენენ, ცხადია რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა მთლიანობაში ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ მთლიანად მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეზე. იგი ამახინჯებს ეკონომიკური ზრდის, ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, შემოსავლების განაწილების მაჩვენებლებს. ამასთან, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი დამახასიათებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მიუხედავად მისი განვითარების დონისა და ხარისხისა.

კვლევის შედეგები. ცალკეული ქვეყნების მიხედვით ჩრდილოვან ეკონომიკაზე მოქმედ ფაქტორებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნები გააჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის გამოთვლის მრავალფეროვანი მეთოდებია ცნობილი, დღეისთვის მაინცაა შესაძლებელი გარკვეული ერთიანი მეთოდოლოგიის საშუალებით წარმოდგენილ იქნას ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მაჩვენებლები, როგორც საშუალოდ მსოფლიოსთვის, ისევე ცალკეული ქვეყნების მიხედვით. ამასთან, რადგანაც ჩრდილოვანი ეკონომიკის განმსაზღვრელი ფაქტორები ძალზე ფართო, ხოლო ცალკეული კვლევების დროს ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის გამოთვლისთვის გამოყენებული ფაქტორები და მეთოდები განსხვავებულია, ხშირად მიღებული შედეგები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამჟამად არ არსებობს მეთოდოლოგია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ზუსტად წარმოადგენდა ჩრდილოვანი ეკონომიკის დონეს. ამასთან, მიღებული შეფარდებითი მაჩვენებლები მნიშვნელოვანია, რამდენადაც მათი საშუალებით შეიძლება ვიმსჯელოთ არა მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში ჩრდილოვანი სექტორის სიდიდეზე და ამ მაჩვენებლის მიხედვით შევუდაროთ ქვეყნები ერთმანეთს, არამედ მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება გავაანალიზოთ და წარმოდგენა შევიქმნათ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე, ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობაზე, საგადასახადო სისტემაზე, კორუფციის დონეზე, ბიუჯეტის ფორმირების მექანიზმებზე, ინვესტიციების (განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციების) განხორციელების პირობებზე, არაფორმალური დასაქმების დონეზე და ა.შ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის კვლევასთან დაკავშირებულ შრომებში ყველაზე ხშირად გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები და კვლევები. მიმდინარე პერიოდისთვის (2023 წელი) ყველაზე უახლეს კვლევად აღიარებულია ლეანდრო მედინასა და ფრიდრიხ შნეიდერის მიერ განხორციელებული კვლევა ჩრდილოვანი ეკონომიკა მთელს მსოფლიოში: რა ვისწავლეთ ბოლო 20 წლის განმავლობაში? (Leandro Medina, Friedrich Schneider. Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years? IMF Working Paper. 2018). სადაც მრავალი ინდიკატორი, მრავალი მიზეზი (Multiple Indicators Multiple Causes (MIMIC)) მეთოდის გამოყენებით ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები წარმოდგენილია როგორც საშუალოდ მსოფლიოსთვის, ისევე მსოფლიოს 158 ქვეყნისთვის. კვლევაში მიზეზებად წარმოდგენილია ვაჭრობის ღიაობა, მშპ ერთ სულზე, უმუშევრობის დონე, მთავრობის ზომა, ფისკალური თავისუფლება, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი, მთავრობის

სტაბილურობა, ხოლო ინდიკატორებად - ვალუტა, სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი, მშპ-ს ზრდა ერთ სულ მოსახლეზე [3].

აღნიშნული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებლების დინამიკის, მისი ტენდენციებისა და თავისებურებების ანალიზი ქვეყნების შემდეგ პრიზმაში: ეკონომიკური განვითარების (ერთ სულზე შემოსავლის დონე), ცალკეული რეგიონების, ცალკეული ეკონომიკური ორგანიზაციების და ა.შ. მიხედვით.

ცხრილი 1.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი 1991-2015 წწ
(საშუალოდ მსოფლიოში % მშპ-ს მიმართ)

[3, 61-76]

წელი	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
(%)	34,51	34,82	35,22	34,89	34,5	34,14	33,81	33,83	33,78	33,26	33,16	33,14	32,73
წელი	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	1991-2015 საშუალო
(%)	31,79	31,24	30,41	29,69	28,98	30,56	29,42	28,77	28,33	28,05	27,44	27,78	31,77

როგორც არსებული მონაცემებიდან ჩანს (ცხრილი 1.) ბოლო 25 წლის განმავლობაში საშუალოდ მსოფლიოში ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე შემცირდა 1991 წელს არსებული 34,5 %-დან 2015 წელს - 27,8%-მდე. 2015 წლისთვის ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე მაღალი მასშტაბებით გამოირჩევა ზიმბაბვე (მშპ-ის 67%), ჰაიტი (56,38%), საქართველო (53,07%). ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე დაბალი მასშტაბის მქონე ქვეყნების სამეული ასეთია: შვეიცარია (6,94%), აშშ (7%), გერმანია (7,75%).

ცხრილი 2.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები განსხვავებული შემოსავლების ქვეყნებში

[3, 61-76]

		1991	1995	2000	2005	2010	2015
1	მაღალი შემოსავლების მქონე ეკონომიკა (High-income economies)	21.75	21.68	19.79	18.71	18.31	16.99
2	საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ეკონომიკა (Upper middle-income economies)	38.75	38.83	37.67	34.66	32.27	29.94
3	საშუალოზე დაბალი შემოსავლების	40.83	40.53	38.91	36.91	34.45	32.81

	მქონე ეკონომიკა (Lower middle-income economies)						
4	დაბალი შემოსავლების მქონე ეკონომიკა (Low-income economies)	42.87	43.56	43.63	41.81	39.51	38.10

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებს შემცირების მიმართულება ქონდა როგორც განვითარებული, ისევე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში. საანალიზო პერიოდის განმავლობაში, ცხადია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები შემოსავლების უკუპროპორციული იყო. მაღალი შემოსავლების ქვეყნები როგორც წესი, ჩრდილოვანი ეკონომიკის დაბალი მასშტაბებით ხასიათდებიან, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებს კი პირიქით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე ახასიათებთ. მაღალი შემოსავლების ქვეყნებში საშუალოდ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები 2-ჯერ ნაკლებია დაბალი შემოსავლების ქვეყნებთან შედარებით. კერძოდ, 2015 წლისთვის მაღალი შემოსავლების ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის დონემ საშუალოდ 16,99 % შეადგინა, საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებში - 29,94 %, საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნებში - 32,81 %, ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში კი - 38,1 %.

მაღალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფში გაერთიანებული 57 ქვეყნიდან საშუალოდ, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი 1991 წელს არსებული 21,7%-დან 2015 წლისთვის 17 %-მდე შემცირდა. როგორც წესი, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები ამ ქვეყნებში 20 %-ზე დაბალია, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ ჯგუფში 38,2 %-ს შეადგენს (ბაჰამის კუნძულები), ასევე შედარებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან არგენტინა (35,96%), კვიპროსი (32,2 %) და ბრუნეი (30,44 %).

საშუალოზე მაღალი შემოსავლების ჯგუფში შემავალი 55 ქვეყნიდან ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები გათვლილია 37 ქვეყანაში. საანალიზო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 38,75%-დან 29,94 5-მდე შემცირდა. ყველაზე დაბალი ჩრდილოვანი ეკონომიკა ამ ჯგუფში აქვს ჩინეთს (12,11 %). მაღალი ჩრდილოვანი სექტორით, ჯგუფში არსებული ზოგადი სპეციფიკიდან გამონაკლისად წარმოგვიდგება საქართველო (53,07%) და გაბონი (52,01%).

საანალიზო პერიოდში საშუალოზე დაბალი შემოსავლების 49 ქვეყნიდან ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გათვლა მოხდა 39 ქვეყანაში. ამ ქვეყნებში საშუალოდ, აღნიშნული მაჩვენებელი 40,83%-დან 32,81 %-მდე შემცირდა. დაბალი ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბით ხასიათდება მონღოლეთი (13,2%), ვიეტნამი (14,78%), იორდანია (15,6%), ხოლო მაღალია ჩრდილოვანი სექტორის წილი ნიგერიასა (52,49 %) და მიანმარამში (50,99%).

რაც შეეხება დაბალი შემოსავლების ქვეყნებს, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაჩვენებელი საშუალოდ 1991 წელს არსებული 42,87 %-დან 2015 წლისთვის 38,1%-მდე შემცირდა. ამ ქვეყნების ჯგუფში ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე დაბალი დონით ხასიათდება ეთიოპია (25,1%), მაღალით კი - ჰაიტი (56,38 %) და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (50,7%).

ცხრილი 3.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები რეგიონების მიხედვით

[3, 61-76]

	რეგიონი	1991	1995	2000	2005	2010	2015

1	ევროპა	26.08	27.47	25.03	23.29	22.35	20.31
2	აზია	31.75	31.55	30.47	27.3	26.09	24.74
3	აფრიკა	41.87	41.98	41.04	39.37	36.69	35.76
4	სამხრეთ ამერიკა	39.4	38.81	40.0	37.58	34.06	31.27
5	ჩრდილოეთ ამერიკა	39.31	38.57	35.42	34.22	35.25	32.28
6	ავსტრალია	28.42	24.26	25.54	25.24	23.03	21.7
7	საშუალოდ ყველა ქვეყანა	34.51	34.50	33.26	31,24	29,42	27,78

რაც შეეხება რეგიონების პრიზმას, 1991 წლისთვის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები ყველაზე დაბალი იყო ევროპაში (მშპ-ის 26,08%), ხოლო ყველაზე მაღალი - აფრიკაში (41,87 %). ჩრდილოვანი ეკონომიკის შედარებით დაბალი მასშტაბით ხასიათდებოდა ასევე ავსტრალია (28,42 %), მაშინ როცა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში იგი შედარებით მაღალი იყო (შესაბამისად 39,31 % და 39,4 %). აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნებულია 2015 წლისთვისაც და ჩრდილოვანი ეკონომიკის მსოფლიო-საშუალო მასშტაბთან (27,8%) უფრო დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება ევროპა (20,31%), ავსტრალია (21,7%), აზია (24,74%), ხოლო უფრო მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება აფრიკა (35,76%), ჩრდილოეთ ამერიკა (32,28 %), სამხრეთ ამერიკა (31,27%). ამასთან, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების საერთო ტენდენცია შეიმჩნევა ყველა რეგიონში. ევროპის რეგიონში საერთო ტენდენციიდან გამონაკლის წარმოადგენს საქართველო (რიგ გათვლებში იგი აზიის რეგიონშია წარმოდგენილი), 2015 წლისთვის 53,07 % ჩრდილოვანი ეკონომიკით, მაშინ როცა ამ რეგიონის ქვეყნებში ყველაზე მაღალი ჩრდილოვანი ეკონომიკა (უკრაინა) 42,9 %-ს შეადგენს, ხოლო რეგიონის განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20 %-ზე დაბალია (აქაც გამონაკლისად წარმოგვიდგება იტალია (22,97%) და ესპანეთი (22,01%)). 2015 წლისთვის აზიის რეგიონში ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე დაბალი დონით ხასიათდება იაპონია (8,19 %), სინგაპური (9,2%), ჩინეთი (12,11%). ყველაზე მაღალით - მიანმარამი (50,99%), აზერბაიჯანი (43,66%), ტაილანდი (43,12%). აფრიკის ქვეყნებიდან ჩრდილოვანი ეკონომიკის განსაკუთრებულად მაღალი დონე გააჩნიათ ზიმბაბვეს (67%), ნიგერიას (52,5%), გაბონს (52,01%). ამ რეგიონში ყველაზე დაბალი მაჩვენებლით კი მავრიკი გამოირჩევა (19,23 %). ჩრდილოეთ ამერიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი მასშტაბით გამოირჩევიან ჰაიტი (56,38%) და გვატემალა (46,88%), ყველაზე დაბალით - აშშ (7%) და კანადა (9,42%). სამხრეთ ამერიკისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა რეგიონის ყველა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის 20%-ზე მაღალი დონე, მაგრამ არცერთ ქვეყანაში იგი არ აჭარბებს 50%-ს. ამ რეგიონში არსებული ტენდენციიდან გამონაკლისს წარმოადგენს ჩილე (13,16%), ყველაზე მაღალი მასშტაბით კი ხასიათდება ბოლივია (46 %). ავსტრალიის კონტინენტის ყველა ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები დაბალია. ამასთან, ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ ავსტრალიასა (8,1%) და ახალ ზელანდიას (8,97%), ყველაზე მაღალი კი - პაპუა ახალ გვინეას (35,16%).

ACCA-ს (დიპლომირებულ და სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია) ექსპერტებმა 28 ქვეყნის მიხედვით წარმოადგინეს 2025 წლამდე პერიოდისთვის ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების პროგნოზი [1]. ამ პროგნოზის მიხედვით მთლიანობაში ამ ქვეყნებში 2011-2025 წწ პერიოდში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი შემცირდება 23,1%-დან 21,39 5-მდე. ამასთან, მათ ჩამოაყალიბეს ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ როგორც ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების, ისევე მის ზრდის ხელშეწყობას. კერძოდ, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირების მნიშვნელოვან ფაქტორადაა წარმოდგენილი ეკონომიკაში ნაღდი ფულის როლის შემცირება და ტრანსაქციების ავტომატიზაცია, რაც მნიშვნელოვნად აიოლებს ფულადი ნაკადების კონტროლს. მეორეს მხრივ, ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდისთვის ხელშემწყობ გარემოს ქმნის კრიპტოვალუტის გავრცელება, რომელიც ცენტრალური ბანკისა და ხელისუფლების კონტროლს გარეთ ტრანსაქციების განხორციელების საშუალებას იძლევა. ასევე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც საშუალებას იძლევა მთელი რიგი საქონელი წარმოებულ იქნას სახლში და არ მოექცეს საგადასახადო სისტემის კონტროლში. ქვეყნებში სადაც პროგნოზით არ მცირდება ჩრდილოვანი ეკონომიკა, სასურველია შეცვალონ სახელმწიფო პოლიტიკისა და მართვის არსებული მექანიზმები, განახორციელონ კორუფციის შემცირებისა და ერთ სულზე მშპ-ის ზრდის ეფექტიანი ღონისძიებები.

დასკვნა. ამგვარად, რიგი გამონაკლისების არსებობით, მაღალი შემოსავლების ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი როგორც წესი, მშპ-ის 20%-მდე შეადგენს, საშუალოზე მაღალი შემოსავლების ქვეყნებში - 30 %-მდე , საშუალოზე დაბალი შემოსავლების ქვეყნებში -35 %-მდე , ხოლო დაბალი შემოსავლების ქვეყნებში - 40 % და მეტს შეადგენს. რეგიონულ ჭრილში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონით გამოირჩევიან: აფრიკა, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკა, ხოლო დაბალით - ევროპა, ავსტრალია, აზია. განვითარებულ ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის დაბალი დონის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორებად წარმოგვიდგება ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა და ჩრდილოვანი ეკონომიკის პრევენციისა და შეზღუდვის ეფექტიანი მექანიზმებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების არსებობა, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის ზრდის ფაქტორებად გვევლინება მაღალი საგადასახადო ტვირთი და რეგულაციები. შესაბამისად, განვითარებად ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე განპირობებულია ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობით, ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვის ეფექტიანი მექანიზმის არ არსებობით (სახელმწიფო სტრუქტურების სისუსტე, თანამედროვე ტექნოლოგიების არ არსებობა და ა.შ.).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Emerging from the shadows The shadow economy to 2025. ACCA. https://www.accaglobal.com/gb/en/technical-activities/technical-resources-search/2017/june/emerging-from-the-shadows-the-shadow-economy-to-2025.html
2. Hassan M., Schneider F. Size and Development of the Shadow Economies of 157 Countries Worldwide: Updated and New Measures from 1999 to 2013. October 2016.
3. Medina L., Schneider F. Shadow Economies Around the World: What Did We Learn Over the Last 20 Years? IMF Working Paper. 2018.
4. Schneider F. The shadow economy: an international survey / F. Schneider. — Cambridge: Cambridge University press, 2003.
5. https://www.theglobaleconomy.com/rankings/shadow_economy/

ციფრული მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლები
Methodological Foundations of Digital Management

თამარ დუდაური - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
Tamar Dudauri-Academic Doctor of Economy
Associate Professor of Caucasus International University

აბსტრაქტი. სტატიაში განხილულია ტერმინ „ციფრული მენეჯმენტის“ მიმართ არსებული კონცეფციები და მიდგომები, შემოთავაზებულია კონცეფციის ავტორისეული ინტერპრეტაცია. ნაშრომში წარმოდგენილია ციფრული მართვის მეთოდოლოგიის ძირითადი კომპონენტები: ციფრული მენეჯმენტის წყაროები, ციფრული მართვის განხორციელების პროცესის სასიცოცხლო ციკლი, სტრატეგიები, მეთოდები და განხორციელების მოდელები. ნაშრომის ჰიპოთეზა მდგომარეობს ორგანიზაციების საქმიანობაში ტერმინ „ციფრული მენეჯმენტის“ მიმართ ინტეგრირებული მეცნიერული მიდგომის შექმნის აუცილებლობაში და მისი დანერგვის პროცესის აღწერაში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული მენეჯმენტი, ციფრული მენეჯმენტის სასიცოცხლო ციკლი, ციფრული მენეჯმენტის დანერგვის სტრატეგიები, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული ტრანსფორმაცია.

Abstract. The article examines existing concepts and approaches to the term “digital management” and proposes the author’s interpretation of the concept. The paper presents the main components of the digital management methodology: sources of digital management, life cycle of the digital management implementation process, strategies, methods and models of implementation. The author's hypothesis is the need to create an integrated scientific approach to the definition of the term “digital management” and the effective process of digital transformation in general.

Key Words: digital management, digital management life cycle, digital management implementation strategies, digital technologies, digital transformation.

შესავალი. მმართველობითი მეცნიერება თანამედროვე რეალობაში წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ფუნდამენტურ ფენას. მენეჯმენტის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბება დაიწყო მეოცე საუკუნის დასაწყისში და მსოფლიო საზოგადოებაში სოციალურად მნიშვნელოვანი მოვლენების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. დღეისათვის, უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერების კვლევისა და ახალი შემუშავებების წყალობით, მენეჯმენტის პროცესის, ფუნქციური და საპროექტო მიდგომების დამკვიდრებული კონცეფციები ფართოდ არის ცნობილი პრაქტიკოსი მენეჯერებისთვის, ხელმძღვანელებისა და აღმასრულებლებისთვის.

ბიზნესის ფუნქციონირების ახალ პირობებში, მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, ევოლუცია შეიძლება მოხდეს დისციპლინის ფუნდამენტური საფუძვლების კონსოლიდაციის და მენეჯმენტის პრობლემების გადაჭრის ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენების საშუალებით. მენეჯმენტის პრაქტიკული ინსტრუმენტები ისეთი ტემპით ვითარდება, რომ სამეცნიერო და მეთოდოლოგიურ ბაზას უბრალოდ სრულად ვერ ასწრებს ათვისებას სამეცნიერო საზოგადოების მიერ. დღეს პოპულარული ხდება ახალი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მენეჯმენტის მეცნიერების განვითარების ვექტორებს - ესაა ციფრული მენეჯმენტი. მაგრამ აქ აღსანიშნავია, რომ მენეჯმენტის პარადიგმისა და მენეჯერის აზროვნების ცვლილება უკვე დიდი ხანია განიხილება სამეცნიერო საზოგადოებაში.


მმართველობითი ბიზნეს მოდელების ცვლილება თანამედროვე ორგანიზაციების არსებობის ცვალებადი პირობების შესაბამისად მოყვანილია მრავალი მეცნიერ- მკვლევარის ნაშრომებში, მათ შორის: საინფორმაციო რევოლუცია [1]; ფირუზისფერი ორგანიზაციები [2]; ინოვაციური მენეჯმენტის პარადიგმა; ციფრული პლატფორმის კომპანიები [3]; ქსელური კომპანიები; სწრაფი ფილოსოფია; მდგრადი განვითარების კონცეფცია და ა.შ. ყველა ეს კონცეფცია იწვევს ცვლილებებს თანამედროვე მენეჯმენტის შინაარსში და ამით ხელს უწყობს

მის ადაპტაციას ციფრული ტრანსფორმაციის პირობებთან. რა თქმა უნდა, თანამშრომლების მიერ პროდუქტის ღირებულების გაცნობიერება; მართველთა კომპეტენციების გაფართოება კოორდინაციის მიმართულებით; ბიზნესის გახსნილობა ახალი ტექნოლოგიებისადმი, მისი გამჭვირვალობა, კონცენტრირება არა მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ ხარისხობრივზეც, ეს ყველაფერი ხელს უწყობს მენეჯმენტის მეცნიერებაში ახალი მიმართულების - ციფრული მენეჯმენტის ჩამოყალიბებას.

ამა თუ იმ ფორმით, კომპანიების უმეტესობამ უკვე მოახდინა პროცესის ნაწილის ავტომატიზირება. მაგალითად, დანერგეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ან CRM, ERP სისტემები ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფა და ამდენად, არსებული ციფრული ტექნოლოგიები გავლენას ახდენენ მხოლოდ გარკვეული ტიპის საქმიანობაზე (ფუნქციურ ზონაზე). ამ შემთხვევაში, ინფორმაციის არათანაბარი წარმოდგენის გამო, ხელმძღვანელებისათვის უფრო რთული ხდება გადაწყვეტილების მიღება - ბიზნეს ანალიზის ან დიდ მონაცემებზე დაყრდნობით ანდა ბაზრის მარკეტინგული გაანგარიშებების ხელით განხორციელების საფუძველზე - ბიზნეს პროცესების შესახებ ანგარიშგება შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს წარმოდგენილი. ერთიანი საინფორმაციო გარემოს არარსებობა ასევე უარყოფითად აისახება საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. სწორედ ამიტომ, თანამედროვე პირობებში ერთიანი ციფრული ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენს ციფრული მენეჯმენტის დანერგვის მიზანს.

1. ციფრული მენეჯმენტის მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ციფრული მენეჯმენტის კონცეფციის თეორიული გაგება ეფუძნება შემდეგ შემადგენლებს (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. ციფრული მენეჯმენტის მეთოდოლოგია

განვიხილოთ ცალ-ცალკე ყოველი შემადგენელი:

ციფრული მენეჯმენტის წყაროები - ციფრული ტრანსფორმაციის მმართველობითი პროცესის წინაპირობები, ანუ ის ფაქტორები, რომლებიც კომპანიის მართვაში ცვლილებების საწყის საფუძველს წარმოადგენდნენ.

ციფრული მენეჯმენტის წყაროდ, პირველ რიგში, განიხილავენ ბაზრის მოთხოვნებს: მომხმარებელთა მოთხოვნილებები და კონკურენტების მიერ ბიზნესის წარმართვის ფორმები. ორგანიზაციის ფუნქციონირების პირობები, ე.ი. გარე გარემო, შეიძლება მოგვევლინოს ერთგვარ ბიძგად ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყებად და უმაღლესი მენეჯმენტის განხილვის საგნად.

მნიშვნელოვანია, რომ არ იქნეს გამორჩენილი ბაზარზე ახალი პროდუქტის მასობრივი გავრცელების მომენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოძველებული პროდუქციის მქონე კომპანიას გაკოტრება ემუქრება (Nokia, Kodak, Polaroid, General Motors და ა.შ.). ზოგჯერ ინოვაციის დანერგვა და ციფრული ტრანსფორმაცია წარმოადგენს სასიცოცხლოდ აუცილებელ ეტაპს ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისა და წინსვლის გზაზე.

ციფრული მენეჯმენტის დანერგვის პროცესის სასიცოცხლო ციკლი - წარმოადგენს ორგანიზაციის მართვის სისტემაში ცვლილებების დანერგვის ეტაპებს. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ციკლი არ ატარებს საპროექტო ხასიათს, არამედ იგი საპროცესო ხასიათისა. ციკლი მეორდება, თუ საჭიროა ციფრული პლატფორმის განახლება (გაუმჯობესება). გთავაზობთ ციფრული მენეჯმენტის ეტაპების შემდეგ ვერსიას:

<u>პირველი ფაზა. მოსამზადებელი.</u> მოიცავს, ციფრული მენეჯმენტის მოდელის ძირითადი შაბლონის მიხედვით, ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ციფრული მართვის მოდელის შემადგენლების ეფექტურობის გაუმჯობესების ღონისძიებების ფორმირება და რეალიზება.

<u>ფაზა მეორე. კვლევა (ანალიტიკური).</u> არსებული ციფრული ტექნოლოგიების, გადაწყვეტილებების, პლატფორმების ანალიზი, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მოთხოვნას, ბაზრის ლიდერების ციფრული ტრანსფორმაციის გამოცდილების შესწავლა. პროგრამული უზრუნველყოფის, პროგრამული პროდუქტების ან საინფორმაციო სისტემების შერჩევა. მომსახურების მომწოდებლების შერჩევა.


<u>ფაზა მესამე. გამოთვლების.</u> ციფრული გადაწყვეტილებების დანერგვის ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება ცნობილი მეთოდების გამოყენებით. ტრადიციული (ფინანსური და ეკონომიკური) მეთოდები – NVP, EVA, ABC, TCO, REJ, ROI და სხვა; ხარისხობრივი მეთოდები – IE, Balance Scorecard, ექსპერტული მეთოდები; ალბათობის მეთოდები – ROV, AIE და ა.შ.

<u>მეოთხე ფაზა. სტრატეგიული.</u> ციფრული მენეჯმენტის დანერგვის სტრატეგიის განსაზღვრა. ამ მიმართებით ღონისძიებების რეალიზაციის დეტალური გეგმის შემუშავება, საგზაო რუკის და პასუხისმგებელი პირთაგან სამუშაო ჯგუფის ფორმირება.

<u>ფაზა მეხუთე. შექმნა.</u> დაგეგმილი ღონისძიებების და პრაქტიკის რეალიზება სტრატეგიისა და შემუშავებული ციფრული მენეჯმენტის დანერგვის გეგმის შესაბამისად.

<u>მეექვსე ფაზა. შეფასება და კონტროლი.</u> შეფასების ჰორიზონტის შესაბამისად, დანერგვის დონის ანალიზიდან (რამდენი ადამიანი და რამდენად წარმატებით იყენებენ ციფრულ ინსტრუმენტებს) ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენა ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე.

ციფრული მართვის მეთოდოლოგიის შემდეგი შემადგენელია **ციფრული მენეჯმენტის დანერგვის სტრატეგია.** ციფრული მენეჯმენტის სტრატეგიები ეს არის სამოქმედო გეგმა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია კომპანიის დიგიტალიზაციის დონის ამაღლებაზე საწარმოს ბიზნეს პროცესებში ცვლილებების გზით. ამასთან, ცვლილებები ეხება არა მხოლოდ ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას, არამედ ყველა ბიზნეს პროცესის რესტრუქტურიზაციის და პერსონალის მუშაობის ახალ მეთოდებთან ადაპტაციის პროცესს. გამოვყოთ სტრატეგიების ძირითადი სახეები, რომლებიც დაფუძნებულია ორგანიზაციის რესურსებზე და მისი დიგიტალიზაციის დონეზე (იხ. ნახ. 2).



ნახ. 2. სტრატეგიის ძირითადი სახეები

განვიხილოთ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე:

1. პრიორიტეტებზე დაფუძნებული სტრატეგია. პრიორიტეტი არის ორგანიზაციის კონკურენტული უპირატესობა, რომელიც დადებითად აისახება ციფრული სიმწიფის დონის ამაღლებაზე. პირველ რიგში, პრიორიტეტი შეიძლება იყოს კომპანიის რესურსები - ადმინისტრაციული, ფინანსური, ტექნოლოგიური, ადამიანური და ციფრული.

პრიორიტეტებზე დაფუძნებული სტრატეგია მოქმედებს კონკურენტების დასწრებაზე, ქმნის ახალ ბიზნეს პროცესებს, ახალ პროდუქტს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ სტრატეგიის მიხედვით, კომპანია გეგმავს გახდეს ინდუსტრიის ლიდერი ბაზრის მაღალი წილით და დაიკავოს წამყვანი პოზიცია ყველა მონაწილეთა შორის. ასეთი ორგანიზაციების ქმედებები მოითხოვს მაღალ ინვესტიციებს, ამიტომ ამ სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია კაპიტალის მოზიდვა (ინვესტორების ძებნა, ნასესხები სახსრები, საკუთარი სახსრების დაგროვება და ა.შ.).

გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი სტრატეგიის მქონე კომპანია მოქმედებს ძალის პოზიციიდან, ფინანსური რესურსების გარდა, მას სჭირდება ძლიერი ადამიანური რესურსები: საუკეთესო სპეციალისტები, პროფესიონალური გუნდი, მაღალი კომპეტენციის მქონე ციფრული გადაწყვეტილებების სფეროში.

ამ გზის კიდევ ერთი გამორჩეული მახასიათებელია რისკის მაღალი დონე. „პიონერი“ კომპანია ყოველთვის რისკავს, ამიტომ ციფრული გადაწყვეტილებების კომპეტენტური შეფასება (დანერგილი ციფრული ინოვაციები) ძალიან მნიშვნელოვანია. შეფასება არ არის მხოლოდ რაოდენობრივი - ეკონომიკური ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია - რეპუტაციის შეფასება, თუ რამდენად აიმაღლებს კომპანია თავის სტატუსს ინვესტორების, პარტნიორებისა და მომხმარებლების თვალში. დიგიტალიზაციის მნიშვნელობა შეიძლება აისახოს მომხმარებელთა ლოიალობის დონეზე და კომპანიის იმიჯზე, როგორც ტრენდული, თანამედროვე და დროის შესაბამისი.

2. სტრატეგია მოწყვლადობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში საუბარია უკვე ცნობილი ტექნოლოგიების დანერგვაზე და ციფრულ განვითარებაზე, რომლებიც აქტიურად გამოიყენება კონკურენტების მიერ. ანუ კომპანია "მიმდევრის" პოზიციაზეა. ამ სტრატეგიას, მიუხედავად მისი აშკარა არაპოპულარობისა, აქვს თავისი უპირატესობები - დაბალი რისკები (ტექნოლოგიები და პროცესები უკვე გამოცდილია სხვების მიერ) და ციფრული გადაწყვეტილებების ვარიანტულობა (მათი ეფექტის შეფასების შესაძლებლობა კონკურენტების მაგალითის გამოყენებით, შედარება "უკეთესი ან უარესი").

ციფრული მენეჯმენტის წყარო ამ შემთხვევაში იქნება ცვლილებები ბაზარზე, კონკურენტების ქცევაში (განახლებული ბიზნეს პროცესები ან თავად პროდუქტი). ამიტომ, სტრატეგიის ჩამოყალიბების მთავარი ინსტრუმენტი იქნება ბენჩმარკინგი - ბაზრის ლიდერების საქმიანობასა და მათ პროდუქციასთან საკუთარის შედარება. საკუთარი ბიზნეს პროცესებისა და პროდუქტების პორტფელის შეფასებით, ტოპ მენეჯმენტს შეეძლება გამოავლინოს მოძველებული ტექნოლოგიური პროცესები და არაპოპულარული პროდუქტები, რომელთა „დიგიტალიზაცია“ შეუძლებელია და უნდა ამოღებულ იქნეს წარმოების ციკლიდან. ყოველივე ამის შემდეგ, მოწყვლადობაზე დაფუძნებული სტრატეგიის მქონე კომპანიამ უნდა გამოათავისუფლოს კაპიტალი რაც შეიძლება სწრაფად, რათა განახორციელოს ღონისძიებები ციფრული მენეჯმენტის დასანერგავად..

მოწყვლადობა აქ განიხილება, როგორც ხელიდან გაშვებული სარგებელი - ბაზრის წილის დაკარგვა ან პოტენციური დაკარგვა ახალი ციფრული ტექნოლოგიების ადრე დანერგვის განუხორციელებლობის გამო. მოწყვლადობის უკიდურესი ვარიანტია გაკოტრება, იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელობა უარს იტყვის ცვლილებებზე.

3. **უპირატესობის შენარჩუნების სტრატეგია (სტაბილიზაციის).** ეს სტრატეგია მიზნად ისახავს ორგანიზაციის პოზიციის შენარჩუნებას ბაზარზე და ციფრული სიმწიფის დონის შენარჩუნებას. ტოპ მენეჯმენტს და მფლობელებს აკმაყოფილებს კომპანიის პოზიცია ბაზარზე, საქმიანობაში დაინერგა საჭირო ციფრული ტექნოლოგიები, დაიხვეწა ბიზნეს პროცესები და ადაპტირებულია პერსონალი. არსებითად, ეს არის კომპანიის ციფრული ტრანსფორმაციის შედეგი. ციფრული მართვის ობიექტმა დიგიტალიზაციის ფარგლებში ყველა ცვლილებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შემდეგ უნდა დაიცვას უპირატესობების შენარჩუნების სტრატეგია. ის მოიცავს გაზრდილ მუდმივ კონტროლს ცვლილებებზე, როგორც თქვენს ინდუსტრიაში, ასევე ახალი ტექნოლოგიების სამყაროში. კონკურენტების და მათი პროდუქტების ქცევაზე დაკვირვება განვითარების ამ ეტაპის განუყოფელი ნაწილია. თუ ბაზარზე ახალი, ნოვაციური ციფრული ტექნოლოგიები გამოჩნდება, მოხდება ტექნოლოგიური სიახლეების სწრაფი გავრცელება ან ახალ ბიზნეს პროცესებს დანერგავენ კონკურენტები, კომპანია უნდა დაუბრუნდეს ციფრული მენეჯმენტის დანერგვის სასიცოცხლო ციკლს და განახორციელოს სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება პრიორიტეტებზე ან მოწყვლადობაზე.

ამრიგად, ციფრული მართვის მოდელი არის განზოგადებული წარმოდგენა ორგანიზაციის გარე და შიდა პროცესების, დარგობრივი პრინციპებისა და უნივერსალური ცოდნის შესახებ მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და მართვის ობიექტზე მისი გავლენის შესახებ, რათა შეფასდეს ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობა და ციფრული სიმწიფის დონის გაზრდა, ციფრული გადაწყვეტილებების ოპტიმალური არჩევანი კომპანიის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

დასკვნა

ციფრული ტრანსფორმაციის თემა აქტუალურია ეკონომიკის ყველა სექტორში, საჯარო სექტორში და კერძო ბიზნესში. წარმატების სხვადასხვა ხარისხით, თანამედროვე ორგანიზაციები თავიანთ საქმიანობაში ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს და გარდაქმნიან ბიზნეს პროცესებს. თუმცა, ციფრული გაუმჯობესების გზაზე სერიოზული პრობლემებია, მაგალითად, არსებული წარმოების სტრუქტურისა და ახალი პროგრამული პროდუქტების დისჰარმონიზაცია და ა.შ. ციფრული ტრანსფორმაციისადმი მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური, რომელიც გაითვალისწინებს კონკრეტული კომპანიის კონტექსტს: მის

რესურსებს, ბაზრის პოზიციას, სტრატეგიულ მიზნებსა და მრავალი სხვას. ერთ-ერთი გამოსავალი, ჩვენი აზრით, ციფრული მენეჯმენტის დანერგვაა.

ამრიგად, ციფრული მენეჯმენტის სფეროში სამეცნიერო ინტერესის ვექტორი მიზნად ისახავს სტრატეგიებისა და მოდელების ახალი კონცეფციების შემუშავებას სხვადასხვა ტიპის და დარგის ორგანიზაციების ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის ფარგლებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Drucker P. the Next Information Revolution. http://www.s-jtech.com/Peter%20Drucker%20-%20the%20Next%20Information%20Revolution.pdf
2. Laloux F. Reinventing Organizations: A Guide to Creating Organizations Inspired by the Next Stage of Human Consciousness. 2014. https://www.amazon.sg/Reinventing-Organizations-Creating-Inspired-Consciousness/dp/2960133501
3. Babkin A., Tashenova L., Mamrayeva D., Shkarupeta Y., Karimov D. Digital Platforms for Network Innovation-Intensive Industrial Clusters: Essence and Characteristics. International Journal of Technology (IJTech). Vol 13, No 7 (2022). https://doi.org/10.14716/ijtech.v13i7.5538
4. Where and How to Target Your Digital Business Transformation?. Gartner.com. https://www.gartner.com/en/information-technology/topics/digital-transformation

16. What is digital transformation? 14.07.2023. https://www.mckinsey.com/featured-insights/mckinsey-explainers/what-is-digital-transformation#/

სადაზღვევო ბაზარზე და მისი განვითარების პერსპექტივები
The insurance market and its development prospects

ნიკოლოზ დარჩიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
Nikoloz Darchiashvili - Doctor of Business Administration

აბსტრაქტი. სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის, როგორც სადაზღვევო კომპანიებს შორის მეტოქეობის, ტრადიციულად მიღებული განსაზღვრება არ იძლევა საშუალებას სრულად იქნეს აღწერილი ეკონომიკის აღნიშნულ სეგმენტში კლიენტებისთვის კონკურენტული ბრძოლის მრავალფეროვნება. კონკურენტული ბრძოლის ფაქტორების გაუთვალისწინებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს სადაზღვევო კომპანიის გაკოტრება. ამიტომ აუცილებელია უფრო დაწვრილებით განხილულ იქნას კონკურენციის მდგომარეობა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე და შემუშავდეს ქართული სადაზღვევო ბაზრის განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი, კონკურენცია, დაზღვევის ლიცენზია.

Abstract. The traditionally accepted definition of competition in the insurance market as a rivalry between insurance companies does not allow us to fully describe the diversity of the competitive struggle for clients in this segment of the economy. Ignoring the factors of the competitive struggle may lead to the bankruptcy of the insurance company. Therefore, it is necessary to discuss in more detail the state of competition in the Georgian insurance market and develop prospects for the development of the Georgian insurance market.

Keywords: insurance market, competition, insurance license.

შესავალი. დაზღვევა გვევლინება სახელმწიფოს ფინანსური სისტემის შემადგენელ მნიშვნელოვან ნაწილად და უზრუნველყოფს ქვეყნისა და მისი მოქალაქეების ქონებრივი ინტერესების დაცვას. თანამედროვე ეტაპზე ქართული სადაზღვევო ბაზარი, თუ შევადარებთ მას განვითარებული ქვეყნების სადაზღვევო ბაზარს, გამოიყურება საკმაოდ მოკრძალებულად. ასე მაგალითად, მთელი ქართული სადაზღვევო ბაზრის სადაზღვევო ანარიცხები მოცულობით უტოლდება განვითარებული ქვეყნების საშუალო დონის სადაზღვევო სააგენტოს მოსაკრებელს.

სადაზღვევო სააგენტოების კონკურენტუნარიანობის შეფასების საკითხის კვლევას ეძღვნება, როგორც ქართველი ეკონომისტების, ასევე უცხოელი მეცნიერების ნაშრომები. ამასთან ერთად მთელი რიგი აქტუალური პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული სადაზღვევო სააგენტოების კონკურენტუნარიანობასთან, ჯერ კიდევ რჩება არასაკმარის დონეზე გამოკვლეულად. ასევე აუცილებელია დაზუსტდეს სადაზღვევო სფეროს ადგილი და მნიშვნელობა ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში და განხორციელდეს სადაზღვევო სფეროს კონკურენტუნარიანობის ამაღლების ანალიზი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ბაზაზე.

ამჟამად, ქართულ სადაზღვევო ბაზარზე მიმდინარეობს საკმაოდ მკაცრი კონკურენცია, მაგრამ ამის მიუხედავად კომპანიათა უმრავლესობა ახდენს რა დროულ რეაგირებას მომხმარებელთა მოთხოვნებზე, ასევე დროულად ახორციელებს იმ ფაქტორების აღმოფხვრას, რომელიც ხელსა უშლიან კომპანიის შემდგომ განვითარებას ზრდის თავის კონკურენტუნარიანობას და უკავია წამყვანი პოზიციები ქართულ სადაზღვევო ბაზარზე.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში სამართლიანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და უზრუნველყოფისათვის შექმნილია დამოუკიდებელი ორგანი საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, ხოლო საკანონმდებლო დონეზე ქვეყანაში კონკურენციის რეგულირება ხდება კონკურენციის შესახებ კანონით. კანონის მთავარ მიზანს წარმოადგენს დაიცვას ბიზნესი არაკანონიერი შეზღუდვებისაგან, რაც წარმოადგენს ქვეყანაში თავისუფალი და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობის საწინდარს.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში კონკურენციის მარეგულირებელმა სააგენტომ კონკურენციის შეზღუდვის ფაქტებზე 25 მოკვლევა ჩაატარა, რომელთაგან 14-ში დაფიქსირდა დარღვევები, რაზეც გაკეთდა სათანადო რეაგირება შესაბამისი ორგანოების მხრიდან. კვლევებს საფუძვლად, როგორც წესი ბიზნესიდან შესული განცხადებები უდევს. ასევე სააგენტოს შეუძლია დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, თავისუფალი კონკურენციის გარემოს დარღვევის შემთხვევაში, თავისი ინიციატივით ჩაატაროს ფაქტზე მოკვლევა. ბოლო წლების განმავლობაში სააგენტომ ასეთი 5 მოკვლევა განახორციელა. ასევე აწარმოებს ქართული ბაზრის მონიტორინგს.[11]

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს ქვეყანას კონკურენციის სფეროში ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს, რომლებშიც სააგენტოსთან ერთად ჩართულნი არიან პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი, ეროვნული ბანკი და ევროკავშირის ექსპერტები. ამ მუშაობის შედეგი იყო კონკურენციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტის მომზადება, რომელიც 2019

[11] საერთაშორისო გამჭირვალეობა საქართველო. კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა 2014-2020 წლებში: უფლებამოსილებები და განხილული საქმეები. თბ. 3 აპრილი 2020. https://transparency.ge/ge/blog/konkurenciis-saagentos-sakmianoba-2014-2019-clebshi-uplebamosilebebi-da-ganxiluli-sakmeebi

წელს იქნა ინიცირებული და 2020 წლის 16 სექტემბერს მიღებული საქართველოს პარლამენტში მიერ.

სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის კლასიფიცირება ხდება, ორი დიდი ჯგუფის მიხედვით, ესენია:

- შიდა საბაზრო კონკურენცია, როდესაც ბრძოლა კლიენტებისათვის მიდის სადაზღვევო კომპანიებს შორის.
- ბაზრებს შორისი კონკურენცია, როდესაც მეტოქეობა ხორციელდება სადაზღვევო კომპანიებსა და სხვა საფინანსო სტრუქტურებს შორის.

თუ მხედველობაში მივიღებთ კონკურენციის ტრადიციულ მნიშვნელობას, რომელიც სადაზღვევო ბაზრის ჩარჩოებში შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც მეტოქეობა სადაზღვევო კომპანიებს შორის ან სადაზღვევო კომპანიებსა და სხვა ორგანიზაციებს (საფინანსო, არასაფინანსო) შორის, ანდა ერთი სადაზღვევო კომპანიის ქვეგანყოფილებებს შორის. ხოლო სადაზღვევო ბაზარზე კონკურენციის ახალ სახეებს მიეკუთვნება ბაზრებს შორისი კონკურენცია და ასევე შიდა საბაზრო კონკურენციაში შემავალი - სახეებს და არხებს შორის კონკურენცია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან იარაღს ყოველთვის წარმოადგენდა რეკლამა, ხოლო დღევანდელ დღეს მისი როლი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ვინაიდან რეკლამის საშუალებით სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ უზრუნველყონ თავისი კომპანიის პრესტიჟული იმიჯი კლიენტების თვალში.

აღნიშნული პოლიტიკა ტრადიციულად გულისხმობს ფართო მასშტაბიანი პრეზენტაციებისა და საჯარო განხილვების მოწყობას. რომლის დროსაც სადაზღვევო კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი ურთიერთობს პოტენციურ კლიენტებთან.

შედეგად, ყურადღებას პირველ რიგში უთმობენ კორპორაციულ და ინსტიტუციონალურ კლიენტებს. მათ უყვებიან მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ისეთების როგორებიცაა:

- სტრატეგიული გეგმები;
- მომსახურების ახალი სახეები;
- სადაზღვევო კომპანიის მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში.

შეხვედრების პროცესში კლიენტებთან არკვევენ მათ აზრს სადაზღვევო კომპანიის იმიჯის და მიწოდებული სადაზღვევო პროდუქტების ხარისხისა და ასორტიმენტის შესახებ. ამ მიზნებს ემსახურება ასევე რეგულარულად ჩატარებული კონფერენციები, სადაც მონაწილეობენ სადაზღვევო კომპანიის წამყვანი მენეჯერები და მზღვეველთა ცალკეული ჯგუფები.

შედეგად სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ასეთი თანამედროვე მიდგომის საფუძველზე ხდება დაზღვევო ბაზარზე პროდუქტების წინ წაწევის ინოვაციური მეთოდების შემუშავება.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში ქართული სადაზღვევო ბაზარი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ნაკლებად შემოდიან ამ ბაზარზე ახალი მოთამაშეები. ექსპერტების აზრით, თანამედროვე ეტაპზე სადაზღვევო დარგში წინა პლანზე დაყენებულია შემდეგი ფაქტორები:

- სადაზღვევო შუამავლების საკომისიოების (ანაზღაურების) ზრდა;
- საფასე კონკურენცია იმყოფება დემპინგის ზღვარზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საკმაოდ მკაცრი კონკურენტული გარემო განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა მოთამაშეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და მათ მიერ გამოყენებული ბიზნეს-მოდელები. აქედან გამომდინარე, კონკურენცია სადაზღვევო ბაზარზე წარმოადგენს ბრძოლას ორგანიზაციებს შორის, რომლებიც მოსახლეობას

სთავაზობენ სადაზღვევო მომსახურებას, დაზღვეულთა რაოდენობის გასაზრდელად, ასევე არსებული სადაზღვევო ფონდების სახსრების მაქსიმალურად ხელსაყრელად დასაბანდებლად. შედეგად ამ ბრძოლის საბოლოო მიზანს წარმოადგენს მოგების მაქსიმიზაცია.

დღეს სადაზღვევო ბაზარი წარმოუდგენელია კონკურენციის გარეშე, ამიტომ იგი სადაზღვევო ბაზარზე იძლევა ბიძგს ამ სეგმენტის განვითარებისათვის, რაც მდგომარეობს: ახალი სადაზღვევო ორგანიზაციების გახსნაში, მიწოდებული სერვისების რაოდენობის გაზრდაში და მათი ხარისხის ამაღლებაში.


სადაზღვევო ბიზნესი საქართველოში სულ რაღაც სამ ათეულ წელიწადს ითვლის. თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში სულ რეგისტრირებულია 18 კომპანია, რომელთაგან 17 აქვს სისოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია, ხოლო ერთს კი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია. საქართველოში სადაზღვევო ბაზარი ყოველწლიურად სულ უფრო მიმზიდველი ხდება, ამასთან მწვავდება მოცემულ ბაზარზე კონკურენცია, რაც აიძულებს კომპანიებს გააფართოვონ სადაზღვევო მომსახურების პაკეტები.

2020 წელს სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 667.3 მილიონი ლარი, ხოლო მოგებამ ამავე პერიოდში კი 172.5 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 48 მილიონი ლარი. ყოველწლიურად იზრდება სადაზღვევო კომპანიები აქტივების მოცულობები თუ 2019 წელს იგი ტოლი იყო 799 მილ. ლარის 2020 წელს ბოლოსათვის მან შეადგინა 915.8 მილ. ლარი. ასევე მზარდია მათი კაპიტალის მოცულობები, თუ 2019 წელს იგი შეადგენდა 235 მილ. ლარს, 2020 წლისათვის მან შეადგინა 279 მილ ლარი.[12]

მნიშვნელოვნად განსხვავდება სადაზღვევო პრემიის მოცულობები დაზღვევის სახეობების მიხედვით (იხ. დიაგრამა 1.1).

როგორც დიაგრამიდან ჩანს თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტის მიხედვით ქვეყანაში გაიზარდა მოზიდული სადაზღვევო პრემია. ყველაზე დიდ სექტორს სადაზღვევო ბაზარზე წარმოადგენს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა, რომლშიც მოზიდული სადაზღვევო პრემიამ 2020 წელს შეადგინა 267.56 მილ. ლარი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლის მაჩვენებელს 234.05 მილ. ლარს, შემდეგ მოდის ავტოსატრანსპორტო დაზღვევა, სადაც მოზიდულმა პრემიამ დროის იგივე პერიოდში შეადგინა 116.69 მილ. ლარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს (112.01 მილ. ლარი), ასევე მცირედით აღემატება. მესამე მსხვილ სექტორს წარმოადგენს ქონების დაზღვევა ამ სექტორში 2020 წელს წინა წელთან შედარებით არის მნიშვნელოვანი მატება, თუ 2019 წელს ამ სექტორში მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 88.39 მილ. ლარი, 2020 წელს იგი გაიზარდა 108.26 მილიონ ლარამდე. სწორედ ძირითადად ამ სამ სექტორში მიმდინარეობს მძაფრი კონკურენცია სადაზღვევო კომპანიებს შორის. იმის მიხედვით თუ რომელი სადაზღვევო კომპანია შესთავაზებს უკეთეს პაკეტს მომხმარებელს მისი მოზიდული პრემიის მოცულობა გაიზრდება.

[12] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფოს ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა. 2019 წელი http://insurance.gov.ge/ka/Statistics



წყარო: სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფოს ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 1. დაზღვევის სექტორების მიხედვით მოზიდული სადაზღვევო პრემია 2019-2020 წლებში 10 წამყვანი სადაზღვევო პროდუქტის მიხედვით (მილ. ლარი)

მსოფლიოში განვითარებულმა COVID 19-ის პანდემიამ თავისი გავლენა ასვე მოახდინა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზეც. წონა წელთან შედარებით ზოგიერთ სექტორში შემცირებულია მოზიდული სადაზღვევო პრემიის მოცულობა. მაგალითად, 2019 წელს სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის სფეროში მოზიდული იყო 55.46 მილ. ლარი, ხოლო 2020 წელს მისი მოცულობა საგრძნობლად შემცირდა და შეადგინა 38.73 მილ. ლარი. ასევე ტვირთების გადაზიდვის სფეროში 2019 წელს მოზიდული პრემია შეადგენდა 9.96 მილ. ლარს, ხოლო 2020 წელს იგი შემცირდა 8.72 მილიონ ლარამდე.[13]

დღევანდელი ეკონომიკური კრიზისის პირობებში სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ აამაღლონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა, ამ მიმართებით ყოველი მათგანი ყოველ ძალას ხმარობს რათა გაზარდოს კორპორაციული და ინსტიტუციონალური კლიენტების რაოდენობა, ამ მიზნით ისინი ქმნიან ახალ სადაზღვევო შეღავათიან პაკეტებს, რომლებიც მორგებულია მათ მოთხოვნილებებზე, რისთვისაც ატარებენ მრავალჯერად შეხვედრებს ორგანიზაციების და კომპანიების თანამშრომლებთან, რათა გაარკვიონ მათი მოთხოვნილებები ამის შემდეგ მათზე დაყრდნობით შემოიტანონ ახალი პროდუქტები ან განახორციელონ კორექტირება არსებულ სადაზღვევო პაკეტებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ოპერირებს 18 სადაზღვევო კომპანია, მაგრამ მათ შორის 7 წარმოადგენს ძირითად მოთამაშეს (იხ. დიაგრამა 2).


[13] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევების შედეგები. თბ. 2020. გვ. 2-3.

როგორც დიაგრამიდან ჩანს ქართულ სადაზღვევო ბაზარს მზარდი ტენდენცია ახასიათებს. 2020 წელს გაზრდილია თითქმის ყველა წამყვანი სადაზღვევო კომპანიის მოზიდული პრემია წინა წელთან შედარებით. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ იმედი L ბენეფიტი და ალფა, რომელთა მოზიდული პრემია წინა წელთან შედარებით მცირედით შემცირდა. წამყვანი პოზიცია მოზიდული სადაზღვევო პრემიის მიხედვით უკავია სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგს რომელმაც 2020 წელს მოიზიდა 22.02 მილ. ლარით მეტი ვიდრე 2019 წელს და მთლიანობაში შეადგინა 128.95 მილ. ლარი, მეორე ადგილი უკავია კომპანია ალდაგს 2020 წელს მისმა მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 106.92 მილ. ლარი, მას მოყვება თიბისი და იმედი L შესაბამისად 89.3 და 71.67 მილ. ლარით. ფაქტიურად ამ ოთხი კომპანიის ჯამური მოზიდული პრემია შეადგენს მთელი ბაზრის მოზიდული პრემიის 59.5%.

მნიშვნელოვანია ის ბაზრის წილი რომლებიც უკავიათ წამყვან სადაზღვევო კომპანიებს დაზღვევის სხვადასხვა მნიშვნელოვანი სახეების მიხედვით. თუ განვიხილავთ 2020 წელს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობის მიხედვით წამყვანი კომპანიების ბაზრის წილს დავინახავთ, რომ აქ ლიდერობს ჯიპიაი ჰოლდინგი, მას უკავია ამ მომსახურების ბაზრის 28%, მას მოყვება იმედი L 23%-ით და არდი 15%-ით. სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის სახეში ლიდერობს თიბისი 23%-ით, მას მოყვება ალდაგი 20%-ით და ჯიპიაი ჰოლდინგი 17%-თ. ქონების დაზღვევის სფეროში ლიდერობს ალდაგი 37%-ით, მას მოყვება თიბისი 16%-ით და ჯიპიაი ჰოლდინგი 15.76%.[14]

ქართულ სადაზღვევო ბაზარზე კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების საკითხი განვიხილოთ კომპანია ირაოს მაგალითზე. საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ლიდერებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია ირაოს. იგი ქართულ ბაზარზე სწრაფად განვითარებადი და მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე კომპანიას წარმოადგენს. კომპანიის მენეჯმენტის აქვს ამ სფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი და მდიდარი გამოცდილება. მის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობის მოთხოვნილებების მაღალ დონეზე დაკმაყოფილება, კომპანიაში ბიზნესის განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე აქვთ ხანგრძლივვადიანი ხედვა.

[14] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. თბ. 2021. http://insurance.gov.ge/Statistics.aspx/Statistics



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

დიაგრამა 2. სადაზღვევო კომპანიები სადაზღვეო პრემიის მოცულობის მიხედვით 2019-2020 წლებში (მილ. ლარებში)

დასკვნა

კონკურენცია გვევლინება განვითარებული სადაზღვევო ბაზრის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო ეკონომიკა წარმოუდგენელია კონკურენციის გარეშე. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა კონკურენციის, მისი დონისა და აქტიურობის, ძალებისა და ძლიერი კონკურენტების საბაზრო შესაძლებლობების, ასევე დაზღვევის პრიორიტეტულ ბაზრებზე კონკურენციის პერსპექტივების შესწავლის აუცილებლობა.

დაზღვევის ბაზარზე კონკურენციის შეფასების ძირითად სტადიას წარმოადგენს კონკურენტული პროცესების ბაზარზე ზემოქმედების ანალიზი, ძირითადი კრიტერიუმების შესწავლის საფუძველზე, რომლებიც განაპირობებენ კონკურენციის ინტენსივობას.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაგვანახა საქართველოს სადაზღვევო ბაზარი წარმოადგენს ქართული ეკონომიკის სწრაფად მზარდ სექტორს. ყოველწლიურად იხვეწება სადაზღვევო პაკეტები, რომლებიც ეფუძნება კორპორაციული და ინსტიტუციონალურ კლიენტებთან გამართულ შეხვედრებზე გამოთქმულ მოსაზრებებს. თანამედროვე პირობებში სადაზღვევო ბაზარი წარმოუდგენელია კონკურენციის გარეშე, ვინაიდან იგი იძლევა ბიძგს ეკონომიკის ამ სეგმენტის განვითარებისათვის.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში COVID პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში, სულ უფრო მძაფრდება კონკურენცია ქართულ სადაზღვევო ბაზარზე და იმისათვის, რომ კომპანიებმა შესძლონ მათ წინაშე წარმოშობილი გამოწვევების დაძლევა

საჭიროა მოახდინონ დროული და სწრაფი რეაგირება ბაზრის ცვლილებებზე, გათვალონ მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ფინანსური რისკები, დასახონ ამ რისკების შემცირების გზები და მაქსიმალურად გაითვალისწინონ პოტენციური კლიენტების მოთხოვნილებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Anthony Taylor, „Using a SWOT Analysis in Business Strategy“. August 07, 2013. https://www.smestrategy.net/blog/using-a-swot-analysis-in-business-strategy
2. საერთაშორისო გამჭირვალეობა საქართველო. კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა 2014-2020 წლებში: უფლებამოსილებები და განხილული საქმეები. თბ. 3 აპრილი 2020. https://transparency.ge/ge/blog/konkurenciis-saagentos-sakmianoba-2014-2019-clebshi-uplebamosilebebi-da-ganxiluli-sakmeebi
3. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფოს ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის მიმოხილვა. 2019 წელი http://insurance.gov.ge/ka/Statistics
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საფინანსო საქმიანობით დაკავებული საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევების შედეგები. თბ. 2020.
5. სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები. თბ. 2021. http://insurance.gov.ge/Statistics.aspx/Statistics
6. სს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“ ფინანსური ანგარიშგება. თბ. 2020. https://irao.ge/assets/files/15736d933ad1162c6392187eb6368291.pdf

კრიპტოვალუტა - ციფრული აქტივები საქართველოში
Cryptocurrency - digital assets in Georgia

ლია პიტიურიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი
Lia Pitiurishvili - Georgian National University SEU. Professor
ნელი სესაძე - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი
Neli Sesadze - Georgian National University SEU. Professor
ნინელი თევდორაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი
Nineli Tevdorashvili - Georgian National University SEU. Professor

ანოტაცია. სტატიაში განხილულია კრიპტოვალუტის განვითარების ტენდენციები საქართველოში. კრიპტოვალუტის თემა მსოფლიოშიც ერთ-ერთი აქტუალურია. კრიპტოვალუტა სხვადასხვა სახეობის ციფრული ფულია, რომლის არსი დევს ტექნოლოგია კრიპტოგრაფიაში; ის არსებობს მხოლოდ ელექტრონულად, და ახასიათებს ანონიმურობა, დეცენტრალიზება და დაცულობა.

კრიპტოვალუტის დახმარებით მილიონობით ადამიანს შეუძლიათ ფულის ეკონომია, პროცენტების გამომუშავება, დაგროვილი სახსრების ინვესტირება, კრედიტები აღება, ფულის გადაგზავნა და ბევრი სხვა სამეურნეო ოპერაცია. ეს არის ციფრული ვალუტა, რომლის ერთეულსაც მონეტები წარმოადგენს. ის დაცულია გაყალბებისგან, დაფარულია მის შესახებ ინფორმაციაა, შეუძლებელია მისი ასლის გადაღება. კრიპტოვალუტა არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება უბრალო ვალუტებს ან სახელმწიფო სისტემებს. კრიპტოვალუტას შეუძლია გადაჭრას ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა - ინფლაციის დარეგულირება.

ბაზარზე სხვადასხვა კრიპტოვალუტებს შევხვდებით, როგორიცაა მაგალითად, ბიტკოინი, ლაიტკოინი, ეფირიუმი, სატოში და ა.შ. მათგან ყველაზე პოპულარული ბიტკოინია.

კრიპტოვალუტები სულ ვითარდებიან, კიბერფულის რაოდენობა შეუფერხებლივ იზრდება. ბიტკოინის პოპულარობამ განაპირობა სხვა კრიპტოვალუტების შექმნა, რომლებიც ვითარდება

ბიტკოინის გვერდით, მაგრამ მათი პოპულარობა და პოტენციალი ჯერ კიდევ ცოტა შედარებით უმნიშვნელოა.

სტატიაში შევეცადეთ წარმოგვეჩინა კრიპტოვალუტის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები და გაგვეანალიზებინა, თუ რამდენად მზადაა საქართველოს მოსახლეობა ასეთი ინოვაციის მისაღებად.

საკვნძო სიტყვები: ინფლაცია, კრიპტოვლუტა, ბიტკოინი, ვირტუალური ვალუტა.

Annotation. In the article it has been discussed tendencies of crypto currency development in Georgia. This topic is one of the actual topics in the world. Crypto currency is different types of digital money. Its essence is in its technology-cryptography. It exists only in electronic version and is characterized with anonymity, decentralization and protection. By means of crypto currency millions of people can save money, get percents, invest earned money, take credits, transfer money and do other operations. It is digital currency with monetary units-coins. It is protected from falsification. Information about it is anonymous. It's impossible to copy it. Crypto currency is not connected with simple currency or state system. Crypto currency can solve one of the most important problems-regulation of inflation. On the market you can meet different crypto currency such as bitcoins, lite coins, satoshi,etc. Bitcoin is the most popular among them. Crypto currency is being constantly developed. Number of cyber money is being growing. Popularity of bitcoin has caused creation of other crypto currency but their popularity and potential is not so great as bitcoin. In the article we tried to introduce crypto currency with its positives and negatives. Besides we tried to analyze level of population's readiness for such innovation in Georgia.

Key words: inflacion, electronic money, bitcoin, virtual currency

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების ფონზე ელექტრონული კრიპტოვალუტის თემა ყველაზე აქტუალურია და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კრიპტოვალუტა ელექტრონული ფულია, იგი არ შეიძლება შევადაროთ ფულს ან სახსრებს, რომელიც არის საბანკო ანგარიშზე. კრიპტოვალუტას არ არეგულირებს ცენტრალური ბანკი, მისი კურსი არ არის დამოკიდებული რომელიმე ქვეყნის ეკონომიკაზე, იგი განსაკუთრებული ტიპის ფინანსური და საგადასახადო აქტივია, რომელიც არის წარმოდგენილი, როგორც ფინანსური სფეროს მარეგულირებელი.

ჩვენი აზრით, შეიძლება კრიპტოვალუტის განვითარების სამი გზა გამოვყოთ:

- კრიპტოვალუტის როგორც საგადასახადო რესურსის, გავრცელება.
- კრიპტოვალუტის ინსტუტიციური და სხვა მსხვილი ინვესტორების, აგრეთვე მოწინავე სახელმწიფოების მთავრობების მხრიდან აღიარება.
- კრიპტოვალუტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ყველა მსურველს შეუძლია დაიწყოს კრიპტოვალუტის გამომუშავება, თუ ხელთ აქვს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც პასუხისმგებელია ამოხსნას ალგორითმები, მოიზიდოს მონეტები, რაც ინახება მომხმარებლის კრიპტოსაფულეში. ყველა ტრანსაქცია ანონიმურია. კრიპტოვალუტას აქვს დეცენტრალიზებული ხასიათი - არ არის ერთიანი ბანკი, გამორიცხულია ყველა სახის კონტროლი. კრიპტოვალუტა დამოუკიდებლად გაჩნდა და ის არავითარ შემთხვევაში არ უკავშირდება უბრალო ვალუტებს ან სახელმწიფო სისტემებს. ყველა მსურველს შეუძლია დაიწყოს კრიპტოვალუტის გამომუშავება, თუ აქვს ხელთ სპეციალური მოწყობილობა. ეს გამომთვლელი მოწყობილობა პასუხსიმგებელია ამოხსნას ალგორითმები, მოიზიდოს მონეტები ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ- დაფარული ინფორმაცია. კრიპტოვალუტას აქვს დეცენტრალიზებული ხასიათი - არ არის ერთიანი ბანკი, გამორიცხულია ყველა სახის კონტროლი გადასახადებისა და განხორციელებული ტრანზაქციების. კრიპტოვალუტა არ ექვემდებარება ისეთ პროცესებს როგორიცაა ინფლაცია, მაღალია ასევე დაცვის დიდი დონე - ვალუტას არ შეიძლება ასლი გაუკეთო. მას აქვს მინიმალური საკომისიო.

თანამედროვე ბაზრის ყველაზე ცნობილი კრიპტოვალუტებია: ბიტკოინი, ლაიტკოინი, ეფირიუმი, სატოში, DASH, PRIMECOIN და ა.შ.

კრიპტოვალუტას შეუძლია გადაჭრას ერთ-ერთი დიდი პრობლემა, რომელიც განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის წინაშე დგას - ინფლაციის ზრდა. ინფლაციის დროს სახელმწიფოები ბეჭდავენ ძალიან დიდი ოდენობით ფულის მასას. მაგალითად, ასეთი სიტუაცია შეიქმნა ვენესუელაში, სადაც ჰიპერინფლაციამ მიაღწია 600%-ს. ათასობით ვენესუელმა გამოძებნა გამოსავალი ჰიპერინფლაციას გაგცეოდნენ მაინინგ ბიტკოინის ნულიდან დაწყებით. ისინი მოიხმარდნენ იაფიან ელექტრობას თავიანთ ქვეყნებში კრიპტოვალუტის გენერაციისთვის, შედეგად იღებენ ფულს, რომლის კურსი იზრდება ფასში, ეს იმ დროს, როცა ნაციონალური ვალუტა აგრძელებს დავარდნას, მაგრამ ყველაზე პოპულარულია ვენესუელაში ეთერიუმის ნადავლია, იმიტომ, რომ მისი მაინინგი უბრალოა და არ ითხოვს სპეციალურ მოწყობილობებს.

კრიპტოვალუტის გამოყენება იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი დონის ინფლაციაა - ეს დაგროვებას ნიშნავს. 37%-მდე მომხმარებელი Bitfinance ზიმბვაბეში იყენებს ბიტკოინს შემნახველი ანგარიშის სახით. ის ინფლაციისთვის ნაკლებად მისაწვდომია, ვიდრე ადგილობრივი ვალუტა, რომელიც გაუფასურდა ქვეყნის ფინანსური სისტემის კრახის შედეგად.

2022 წლის აპრილიდან მსოფლიოში ყველაზე დიდი საბრძოლო ხელოვნების კომპანია UFG მებრძოლებს საბრძოლო ბონუსებს ბიტკოინით უხდის. ბრაზილიის სენატმა განსახიველად მიიღო კრიპტოვალუტების მარეგულირებელი ახალი კანონი, BISON BANK გახდა პორტუგალიის პირველი ფინანსური ინსტიტუტი, რომელმაც ეროვნული ბანკისგან კრიპტოვალუტებით ოპერაციების წარმოების ლიცენზია მიიღო. NBA-ის რამოდენიმე მოთამაშემ შემოსავლების მიღება ბიტკოინით გადაწყვიტა. ამავე წელს BEANSTALK-ის კრიპტოვალუტების პროექტებზე თავდასხმის შედეგად $182 მლნ ღირებულების კრიპტოვალუტა დაიკარგა.

ადგილობრივი ფინანსისტები ნიგერიაში და ჩრდილოეთ აფრიკაში თვლიან, რომ კრიპტოვალუტებს შეუძლიათ ეკონომიკის დასტაბილურება და მომხმარებლის საშუალო ფენას მიაწოდონ ამ ქვეყნის საგადასახადო სახსრებთან წვდომა. დეცენტრალიზებული ქსელი ხსნის შესაძლებლობას სახელმწიფო კონტროლს გვერდი აუაროს, რაც აძნელებს სახელმწიფოს მიერ ზემოქმედებას ციფრულ აქტივებზე. მეორე საშუალება, რომლის დახმარებით კრიპტოვალუტა შეძლებს დაეხმაროს განვითარებად, ქვეყნებს ესაა ემიგრანტების მიერ ფულადი სახსრების გაგზავნა საკუთარ ქვეყნებში. განვითარებადი ქვეყნების მცხოვრებნი, ძირითადად მიგრანტები, თავიანთ ოჯახებს ყოველწლიურად მიახლოებით 26 მილიარდ დოლარს უგზავნიან. ძალიან დიდი ნაწილი ამ ფულის მიდის საერთაშორისო გადარიცხვების საშუალებით. ისეთი კომპანიები, როგორიცაა Coins.ph, ცდილობენ შეცვალონ ეს სიტუაცია იმ სისტემის შექმნით, რომლის დანიშნულებაა გაგზავნოს კრიპტოვალუტა მსოფლიოს ყველა წერტილში ბლოკჩეინით.

პირველად კრიპტოვალუტა, კერძოდ, ბიტკოინი გამოიყენებოდა მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ადამიანთა მიერ, რომლებიც მისი დააარსების წყაროსთან იდგნენ. შემდეგ, რამოდენიმე წელიწადში, ის გადაიქცა გიგანტურ მაშსტაბურ სისტემად მთელს მსოფლიოში. დღესდღეისობით ოპერაციებს კრიპტოვალუტით აწარმოებენ არა მარტო უმრავლეს ბირჟებსა და ინტერნეტში, არამედ ბევრ კომპანიაში, მაღაზიებში, სერვის ცენტრებსა და აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებში. მაგალითად, აშშ-ში ცნობილი ფაქტია, რომ ხელფასის გაცემა სახელმწიფო მოხელეებზე ხდება ბიტკოინებში, ბიტკოინს იღებენ

რესტორანში გადახდის მიზნით, ასევე მაღაზიებში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში ბიტკოინები საკმაოდ აქტიურად გამოიყენება, როგორც საბანკო გადასახადის და პლასტიკური ბარათების არტერნატივა, რადგანაც საბანკო მომსახურეობა ამ ქვეყნებში ძალიან ძვირია.

ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ ბიტკოინ ბანკომატები უკვე დააყენეს გერმანიაში, კანადაში, შვეიცარიაში, სლოვაკეთში, ჩეხეთში და უკრაინაში.

ევროკავშირის სასამართლომ ბიტკოინები და სხვა კრიპტოვალუტები ტრადიციულ ფულს გაუტოლა. ამის გარდა, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განაცხადა, რომ გარიგებები, რომლებიც ხორციელდება ტრადიციული ვალუტის გაცვლით ბიტკოინზე და სხვა კრიპტოვალუტაზე, არ უნდა დაიბეგროს დამატებული ღირებულებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროსასამართლო უმაღლესი ინსტანციაა სასამართლოსი და მისი გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გასაჩივრებული.

იურიდიულ დაბრკოლებებთან ერთად კრიპტოვალუტა არ შეიძლება მივაკუთვნოთ ფასიან ქაღალდებს, რადგან ფასიანი ქაღალდი, კრიპტოვალუტისგან განსხვავებით, არ შეიძლება დაუსრულებლად იყოფოდეს, როგორც არ უნდა იყოფოდეს ფასიანი ქაღალდის პაკეტი. ამის გარდა, კრიპტოვალუტა შეიძლება ფაქტიურად გაანადგურო, მაგრამ არადოკუმენტური ქაღალდის - არანაირი მდგომარეობით. არსებობს კიდევ ფორმალური მიზეზი, რომ შეუძლებელია კრიპტოვალუტა არადოკუმენტურ ფასიან ქაღალდს მიუერთო. ფასიანი ქაღალდად შეიძლება ვაღიაროთ მხოლოდ ის ობიექტი, რომელიც დასახელებულია ამ მიზეზით კანონში ან აღიარებულია ასეთად მიღებული კანონის საფუძველზე. შესაბამისად, სანამ არ იქნება საკანონმდებლო აქტი, რომელიც აღიარებდა კრიპტოვალუტას არადოკუმენტური ფასიანი ქაღალდის პოზიციაში, ასეთი კვალიფიკაცია შეუძლებელია.

იმ ქვეყნებში, სადაც კრიპტოვალუტა არის დაკანონებული ერთეული, იმით შეიძლება გადავიხადოთ ყველანაირი საქონლის ფასი და მომსახურეობის საფასური. ამის გარდა, ის შეიძლება გადავიტანოთ ბარათზე, ესე იგი, შეიძლება გავცვალოთ ჩვეულებრივ ფულზე ან გავყიდოთ ბირჟებზე ან გადასახურდავებელ პუნქტებში უფრო მაღალი კურსით და კურსთა შორის სხვაობა იქნება მოგება.

საქართველოში 2017 წელს პირველი ელექტრონული ბირჟა შეიქმნა coinmania.ge, სადაც ინტერნეტ მომხმარებლებს ბიტკოინით ვაჭრობის შესაძლებლობა აქვთ. საქართველოში დიდი ინტერესია კრიპტოვალუტასთან დაკავშირებით და დაინტერესებული პირები ბიტკოინის გამომმუშავებლების ე.წ. მაინინგის მფლობელებს უფასოდ, ავტომატურად ეხსნებათ ბიტკოინის ლარის შესანახი საფულეები, საიტზე რეგისტრაციაც უფასოა. განსაკუთრებით მაღალი ინტერესია ბიტკოინის მიმართ, თუმცა კონკრეტულ საიტზე მომხმარებლის აქტივობა დაბალია.

კრიპტოვალუტის საკანონმდებლო რეგულირება ცალკეულ სახელმწიფოში არაერთმნიშვნელოვანია. არსად მსოფლიოში კრიპტოვალუტები არ არის აღიარებული ნამდვილი ვალუტის თვისებით. თუმცა არიან ქვეყნები, რომლებშიც სამართლებრივად მას ანიჭებენ უპირატესობას და აღიარებენ გადახდის ერთ-ერთ საშუალებად, ტექნოლოგიის სიძნელე, განსაკუთრებით მისი კონტროლის ნაწილში, იძულებულს ხდის მთავრობას ან დახუჭოს თვალი ბიტკოინის ადა მის ანალოგის რსებობაზე ან მიანიჭოს მას შუალედური სტატუსი.

საქართველოში კრიპტოვალურის აპარატები რამდენიმე ადგილასაა განთავსებული. ბანკომატებით შეიძლევა, როგორც ბიტკოინის განაღდება, ასევე სხვა პოპულარული

კრიპტოვალუტების ფულზე გადაცვლა. ბიტკოინით შეიძლება ინტერნეტში ნივთების შეძენაც, თუ საიტს ექნება ბიტკოინით ანგარიშსწორების ფუნქცია.

რისკები რასაკვირველია აქაც არსებობს. ძნელია იმის განსაზღვრა, გაიზრდება თუ არა კონკრეტული კრიპტოვალუტის ღირებულება. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჩვენი კრიპტოვალუტის ყიდვა არავის უნდა. სწორად ვერ განვსაზღვრავთ ღირებულების ცვლილებებს ან გავყიდით თუ არა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ფული დაიკარგოს. იმის რისკიც არსებობს, ფასი იგივე დონეზე დარჩება ან დაეცეს.

კრიპტოვალუტის დაუცველობა მისი ერთ-ერთი უარყოფითი მხარეა. ჰაკერების თავდასხმით შეიძლება ფირმებმა დაკარგონ მომხმარებლებზე კუთვნილი კრიპტოვალუტა და მისი ღირებულებაც შეიძლება უგზო-უკვლოდ დაიკარგოს. ასევე ისეთი ორგანიზაციებიც არსებობენ, რომლებიც თაღლითური გზით ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები ინვესტიცია ჩადონ სხვადასხვა კრიპტოვალუტებში.

კრიპტოვალურის ყიდვა გრძელვადიანი ინვესტიციაა, დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება ვერ მივიღოთ მოგება. ვაჭრობა მოითხოვს დიდ ინვესტიციას და დროის დათმობას, რადგან ფასთა ცვლილების განსაზღვრა რთულია, კრიპტოვალუტით ვაჭრობა რისკიან ინვესტიციად მიიჩნევა.

საქართველოში ძირითადი მიზეზი, რამაც განაპირობა ბიტკოინის ღირებულების ზრდა, იყო მისი პოპულარობა, რაც მეტ ადამიანს ჰქონდა მისი შეძენის სურვილი, ის მით მეტად ძვირდებოდა. ფასმა როდესაც გარკვეულ ნიშნულს მიაღწია, ის აღარ იყო ბევრისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად მოთხოვნამ იკლო და ღირებულებაც შემცირდა. ასე რომ, კრიპტოვალუტის ბაზარი დამოკიდებულია ბიტკოინის ღირებულებაზე. თუ ბიტკოინის ფასი ეცემა, მას მთელი რიგი კრიპტოვალუტების ფასის დაცემა მიჰყვება.

ჩვენი აზრით, სახელმწიფომ საჭიროა:

- გააკონტროლოს კერძო და სმოქალაქო პირების მიერ ახალი კრიპტოვალუტების შექმნის საკითხი;
- თვალყური ადევნოს კრიპტოინდუსტრიის სისტემას, მაინინგის პროცესს. ქვეყანაში უნდა შეფასდეს მაინინგის პროცესის განვითარების თავისებურებები და დაისახოს მოსალოდნელი გამოწვევების გადაჭრის გზები (მაგ.:, ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის შესაბამისად);
- თითოეული ადამიანი უნიკალურია ნებისმიერი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას, მხოლოდ მისი კვალიფიკაცია და ეკონომიკური აზროვნება არის რაციონალური ფინანსური აქტივობის გარანტი, მათ შორის, ბიტკოინის ყიდვისას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს კრიპტოვალუტის უპირატესობები და ნაკლოვანებები, რისთვისაც სახელმწიფო ორგანიზაციებმა უნდა აწარმოოს მკაფიო ინფორმაციული პოლიტიკა;
- საქართველოს ციფრული გარემოს სამართლებრივი გარემო დასახვეწია, შესაქმნელია მარეგულირებელი ნორმატულ-სამართლებრივი ბაზა;
- საქართველოს კონსტიტუციით, ერთადერთ ორგანოს, რომელსაც კანონით ფულის ემისიის, სახელწოდებისა და ერთეულის განსაზღვრის უფლება აქვს, წარმოადგენს მხოლოდ ეროვნული ბანკი. შესაბამისად, მომავალში უკეთესია ეროვნული ბანკის მიერ ცენტრალიზებულად მოხდეს ციფრული ფულის ემისია და გამოყენება, კერძო სექტორის მიერ გამოშვებული ციფრული ფულის გამოყენების ნაცვლად;
- საჭირო მიგვაჩნია ინტერნეტ-წიგნიერების ზრდა და ციფრული პოლიტიკური ღონისძიებები, პროპაგანდის ღონისძიებების გატარება.

თუმცა, მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულება უფრო ოპტიმისტურია ბიტკოინისა და კრიპტოვალუტების ფასის ზრდის მიმართ, ვიდრე ქართული სა-ზოგადოების დამოკიდებულება ლარის კურსის გამყარების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ბიტკოინის ფასმა 1,5% მოიმატა და 17200$ მიაღწია. ეთერიუმი 3,8%-ით, 1300$-ით გაძვირდა. სოლანის ფასი 23% გაიზარდა, კარდანო - 18, ატომი 15, ლაითკოინი 8,5, მატიკა - 6,8%-ით გაძვირდა.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში კრიპტოვალუტის მაინინგით ჩინეთისა და ვესესუელას შემდეგ მესამე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ბიტკოინის ასეთი წარმოება ქვეყნის ელექტრიენერგიას ,,ანიავებს“. ,,BGDC GEORGIA” მოიხმარს 389,7 მლნ კვტ სთ-ს. ეს არის მთელი ქვეყნის მოხმარების 4%. ზუსტი ციფრი, რამდენი ბიტკოინმაინერია ქვეყანაში არაა ცნობილი, თუმცა ისინი უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ვიდრე დიდი ინდუსტრიები.

ჩენს ქვეყანაში კრიპტოვალუტის მიმართ ინტერესი მზარდია, რისკები იზრდება ფულის გათეთრების თუ ტერორიზმის დაფინანსებისაც. 2023 წლის 1 იანვარს გამჭირვალობისათვის კრიპტობაზრის რეგულირება დაიწყო. იგი ეხება მათ, ვინც პირებს სხვადასხვა სერვიზს სთავაზობენ. კანონი არ ვრცელდება მაინინგით დაკავებულ პირებზე და პირად გადარიცხვებზე, თუ იგი მესამე პირის სასარგებლოდ არ ხორციელდება.

საქართველოში არსებული კომპანიებიდან აღსანიშნავია ,,კრიპტალ საქართველო“. საერთაშორისო კრიპტო ბირჟა, რომელიც საქართველოში 2020 წელს დაარსდა.

2021 წელს ბაზარზე გამოვიდა ქართული სტარტაპი CityPay, რომელიც კრიპტოგადახდის პლატფორმაა. ქართული სტარტაპი ციფრული ვალუტით ტრანზაქციების შესაძლებლობას ქმნის და ბაზარზე ინოვაციურ გადახდებს ნერგავს.

საქართველო ცნობილია მსოფლიოში როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიპტომომპოვებელი ქვეყანა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის ციფრული განვითარება მიმდინარეობს და შეუმჩნეველი არ რჩება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. საქართველოში კრიპტოვალუტების გამოყენების ზრდა განპირობებულია საგადასახადო შეღავათებით და ელექტროენერგიის დაბალი ფასებით. ჩვენი ზარით, მნიშვნელოვანი იქნება მთავრობისთვის მიერ განხორციელდეს შესაბამსი ფინანსური ზედამხედველობა და ასევე მომხმარებელთა დაცვა.

მომავალში კრიპტოვალუტის განვითარების სამი გზა შეიძლება გამოვყოთ: კრიპტოვალუტის გავრცელება; კრიპტოვალუტის აღიარება; კრიპტოვალუტის ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს ციფრული ეკოსისტემა წარმოდგა მაინერებით, სტარტაპებით, ციფრული ინფრასტრუქტურული პროექტებით, ციფრული ჩართულობის ხელშემწყობი პროგრამებით, ეკონომიკური აქტივობის ამაღლებით, მრავალფეროვანი ციფრული პროდუქტებითა და მომსახურებით, ინტერნეტ-ბაზრის შემოსავლებისა და დასაქმების ზრდით; ქვეყანა კრიპტოინდუსტრიის ბიზნეს-მარათონს არ ჩამორჩება, რაც ქვეყნის ციფრული განვითარების გზაზე მნიშნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია.

გამოყენებული ლიტერატურა

1) აბულაძე რ., ციფრული ფული, თბ. 2018,
2) დუდიკოვა ე., ელექტრონული ფული, 2018

3) კრავჩენკო ი., კრიპტოვალუტის როლი მსოფლიოში,2018
4) საქართველოს ეროვნული ბანკი. ოფიციალური ვებგვერდი, www.nbg.gov.ge
5) https://cryptonews.ge/bbc-%e1%83%9b-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%98/
6) https://dspace.spbu.ru/bitstream/11701/13093/1/VKR_Z-M_G_Moller__Magistratura.pdf?fbclid=IwAR0HCaUiU-66qhTglaF2YVkHtAbIL7UUigDtfEEAmzRZ-9Qm4gICxo7vu3w
7) http://csef.ru/media/articles/7770/8861.pdf?fbclid=IwAR1pC_M9nt3MXZVkz_QRIRHkAL7DZi82HvAKIeDRqUVqtloyV_vBex0Mkw4
8) http://www.fa.ru/org/dep/findata/Documents/News/2017/11/Anastasya%20Alekhnovich.pdf?fbclid=IwAR33WObC1-O1tLR6RIXp-NGsb7zebktOOCivoLAWC4_NcsCwTVXxPZiBxCY

ეკონომიკური კეთილდღეობა და თანამედროვე გამოწვევები ბიზნესში
Economic prosperity and modern challenges in business

შორენა ცაავა – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
(აგრარული ეკონომიკის სპეციალობით)
Shorena Tsaava - Doctor of Social Sciences
(Specialty in Agricultural Economics)

აბსტრაქტი. ეკონომიკური უსაფრთხოება ღონისძიებათა სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემის დამოუკიდებლობას, თვითმყოფადობას, მის განვითარებას, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას და პროგნოზირებას; საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ნეიტრალიზაციას; სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების უსაფრთხოების ასპექტების შეფასებას და შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეროვნული უსაფრთხოების მიზნებთან და ამოცანებთან თავსებადობის უზრუნველყოფას; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და აშ. ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური უსაფრთხოება, სახელმწიფო კონტროლი.

Abstract:

Economic security is a system of measures to ensure the independence, identity and development of the country's national economic system, the protection of human rights and freedoms guaranteed by the Constitution of Georgia in the planning and implementation of national security policies; Identification, assessment and prediction of socio-economic threats, risks and challenges; Neutralization of economic and financial activities that threaten the state interests of Georgia; Assess the security aspects of the strategic importance of economic projects and develop appropriate security mechanisms; 105 Ensuring compliance with the national security objectives and objectives of foreign economic relations; Provision of food security and ect. Economic security is a necessary precondition for the stable development of the country. Economic growth, high productivity, effective economic satisfaction, state control over the movement and use of national resources and the protection of the economic interests of the country at international level.

Key Words: economic security, national economy, state control.

სოციალურ–ეკონომიკური უსაფრთხოების სფერო მოიცავს: ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას; სოციალურ-ეკონომიკური საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას და პროგნოზირებას; საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ნეიტრალიზაციას; სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების უსაფრთხოების ასპექტების შეფასებას და შესაბამისი უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ეროვნული უსაფრთხოების მიზნებთან და ამოცანებთან თავსებადობის უზრუნველყოფას; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას და აშ. ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ეკონომიკური ზრდა, მწარმოებლურობის მაღალი დონე, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა ეფექტიანი დაკმაყოფილება, სახელმწიფო კონტროლი ეროვნული რესურსების მოძრაობასა და გამოყენებაზე და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა საერთაშორისო დონეზე.

ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტია როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური სისტემა, ისე მისი შემადგენელი სექტორები და ელემენტები. ეკონომიკა თავის მხრივ არის საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი, საწარმოო ურთიერთობათა ერთობლიობა, 106 ქვეყნის ან მისი ნაწილის მეურნეობა, წარმოების დარგებისა და სახეობების ჩათვლით. თავისუფალი ეკონომიკა ემყარება შემდეგ პრინციპებს: თავისუფალ მეწარმეობას, წარმოების საშუალებებზე საკუთრების მრავალფეროვნებას, საბაზრო ფასწარმოქმნას, ბაზრის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს თავისუფალი ეკონომიკის განვითარებას, საქართველოში ბიზნესის წარმოება საკმაოდ მარტივი პროცედურაა, ამისთვის საჭიროა რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკის მონაცემებით უძრავი ქონების რეგისტრაცია 2010 2017 პირველადი რეგისტრაცია 98215 258433 არაპირველადი რეგისტრაცია 274728 609343 მთლიანად 372943 867776 ცხრილი N2 ბიზნეს სუბიექტები 2010 2017 ინდივიდუალური მეწარმე 34678 24259 სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმო 17 15 კოოპერატივი 18 251 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო 11213 25445 სააქციო საზოგადოება 27 106 კომანდიტური საზოგადოება 3 1 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი 58 152 არასამეწარმეო იურიდიული პირი 989 1552 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი 11 3 საჯარო სამართლის იურიდიული პირი 0 2 მთლიანად 47014 51786 107 აღნიშნული ინფორმაცია გვიჩვენებს რომ 2017 წელს 2010 წელთან შედარებით ქონების ბაზარზე ბაზრის სუბექტთა სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა 10 %-ით გაიზარდა, ხოლო, უძრავი ქონების რეგისტრაცია 2017 წელს 2010 წელთან შედარებით გაიზარდა 133 %-ით. მსოფლიო ბანკის "Doing Business 2019 " რეიტინგში საქართველო მე-6 ადგილზეა, ბიზნესის დაწყება - გაუმჯობესდა 2 პოზიციით და მე-4 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა; ქონების რეგისტრაცია - საქართველო მე-4 ადგილზეა; აღსანიშნავია, რომ რეიტინგის მიხედვით 2019 წელსაც საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში (24 ქვეყანას შორის) კვლავ ლიდერ პოზიციაზე იმყოფება. რეიტინგის მიხედვით, საქართველო ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში 10-დან 7 ინდიკატორში ტოპ სამეულში შედის. აქედან, საქართველო პირველ პოზიციაზე იმყოფება ბიზნესის დაწყების, ქონების რეგისტრაციის, გადასახადების გადახდის და კრედიტის მიღების ინდიკატორებში, მე-2

ადგილი უკავია მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვის და კონტრაქტების აღსრულების ინდიკატორებში (წყარო: www.mof.ge).

ეკონომიკური ფაქტორს წარმოადგენს საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის ხარისხობრივ ერთ-ერთ ინდიკატორს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის წილი მშპ–ში და მისი დინამიკა; საქართველოს სურსათის ექსპორტის იმპორტთან შესაბამისობის მაჩვენებელი და ა.შ. 108 ეროვნული ეკონომიკის ერთადერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, საქართველო ოდითგანვე იყო აგრარული ქვეყანა, საჭიროა ქვეყნის შიგნით ან/და მის საზღვრებს გარეთ მიგრაციის შეჩერება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სტიმულირება, რაც ერთი მხრივ, შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა კეთილდღეობისა და შემოსავლების ზრდას, ხელს შეუწყობს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას და სოციალურ სტაბილურობას. ამისთვის, უნდა განხორციელდეს გარკვეული დამცავი ღონისძიებები ეროვნულ პროდუქციასთან მიმართებაში. შესაძლებელია დაწესდეს საიმპორტო ქვოტები ან მაღალი ტარიფები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე.

მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც მოახდენდა სასოფლო-სამეურნეო წამროების სტიმულირებას, იქნებოდა წარმოებული პროდუქციის დაზღვევა. ნათესები ხშირად ნადგურდება გვალვის, სეტყვის თუ სხვა მიზეზთა გამო. სახელმწიფოს მიერ სადაზღვევო პრემიის გარკვეული ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში წახალისდება და ზარალის შიში აღარ ექნება ფერმერს, ასევე სადაზღვევო კომპანიებიც, ზარალის თავიდან ასაცილებლად, დახმარებას გაუწევენ და უზრუნველყოფენ თანამედროვე ტექნოლოგიებით მომარაგებას. სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2010 წლის მდგომარეობით შეადგენს 8,4 %-ს; ხოლო, 2017 წლის მდგომარეობით 8 %-ს (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური ინფორმაცია, http://www.geostat.ge/). ფორბს-ბლოგის მონაცემებით სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის გამოშვება, უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, მთლიან შიდა პროდუქტში სეზონურად 7.8%-დან 10.3%-მდე მერყეობს. ასევე, აღსანიშნავია, 2005 წლის მდგომარეობით საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილი წარმოდგენილი იყო 17% -ით.

ეკონომიკურ უსაფრთხოებას დიდწილად განაპირობებს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, შესაბამისად მნიშვნელოვანია 109 ეროვნულ წარმოება. სწორად უნდა განისაზღვროს ექპორტისა და იმპორტის ოდენობა, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით (http://www.geostat.ge) საქართველოს ექსპორტი (ათასი აშშ დოლარი) უცხო ქვეყნებიდან 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს 3,362,082.3 აშშ დოლარს. საქართველოს იმპორტი (ათასი აშშ დოლარი) უცხო ქვეყნებიდან 2018 წლის მდგომარეობით შეადგენს - 9,122,314.5 აშშ დოლარს. ამ ეტაპზე ძალიან დიდი სხვაობაა საქართველოდან ექსპორტირებულ და ქვეყანაში იმპორტირებულ პროდუქციის ღირებულებებს შორის. ამასთან, თვით ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოგვიდგება რთული შინაგანი სტრუქტურის სახით, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს წარმოადგენს: ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მისი ლოგიკური შედეგი - პოლიტიკური დამოუკიდებლობა; ეროვნული ეკონომიკის როგორც ერთიანის, მთლიანის სტაბილურობა და ეფექტიანობა - მისი შედეგით - რეგიონების და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მძლავრი, თანაბარი განვითარება; თვითგანვითარებისა და პროგრესისადმი სწრაფვის უნარი, რაც საბოლოო ჯამში აისახება საზოგადოებრივი წარმოების რაოდენობრივად და ხარისხობრივად მუდმივად ზრდაში.

არსებობს უამრავი ფაქტორი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნის ეკონომიკას. ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეიძლება საფრთხე შეუქმნას როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებმა.

შიდა ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ პოლიტიკური არასტაბილურობა, სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტი, კორუფცია, სტიქიური მოვლენები, კრიმინოგენული მდგომარეობა ქვეყანაში და ა.შ. პოლიტიკური არასტაბილურობა ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისთვის. მთავრობათა ხშირი ცვლა და რევოლუციები არამიმზიდველს ხდის ქვეყანას უცხოელი პარტნიორებისადმი, აფერხებს მის ინტეგრაციას საერთაშორისო სტრუქტურებში, ქმნის ბარიერებს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის, ვერ ხდება გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მუდმივად იცვლება ეკონომიკური პოლიტიკა და მისი ძირითადი პრიორიტეტები და 110 მიმართულებები, რაც, შესაბამისად, ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას. პოლიტიკური სტაბილურობა ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. სუსტი სახელმწიფო მენეჯმენტის პირობებში შეუძლებელი იქნება წინსვლაზე ფიქრი. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შექმნა და განხორციელება. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ეროვნული ეკონომიკის ძირითადი პრიორიტეტები, ეროვნული მეურნეობის ის დარგები, რომელთაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ეკონომიკური უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოების მთლიან სისტემასთან. მისი ცალკე გამოყოფა შეუძლებელია.

წარმოუდგენელია, ქვეყნის ძლიერი სამხედრო უსაფრთხოების არსებობა არაეფექტური და სუსტი ეკონომიკის პირობებში და პირიქით. ფუნქციური თვალსაზრისით ეკონომიკური უსაფრთხოება არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის უნარი უზრუნველყოს საზოგადოებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადობა შიდა და გარე საფრთხეების პირობებში, რესურსების ეფექტური გამოყენება და განაწილება, ასევე სახელმწიფოს ეროვნული პრიორიტეტების დაცვა და რეალიზება. სტრუქტურული თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობას, სტაბილურობას და მუდმივი განახლების უნარს. ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობა, ჩვენი შეფასებით, გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული რესურსების მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებისადმი კონტროლის მექანიზმების არსებობას, ამ მექანიზმების ქმედითუნარიანობის მუდმივად შენარჩუნებას, საზოგადოებრივი წარმოების, მისი ეფექტიანობისა და ხარისხის ისეთი დონის მიღწევას და შემდგომ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიო ბაზრებზე 111 პროდუქციისა და მომსახურების მაღალ კონკურენტუნარიანობას, საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში თანაბართა შორის თანაბარ მონაწილეობას.

ეროვნული ეკონომიკის როგორც ერთიანის, მთლიანის სტაბილურობა და ეფექტიანობა გულისხმობს საკუთრების ყველა ფორმის დაცულობას, სამეურნეო საქმიანობისათვის ისეთი პირობებისა და გარანტიების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას, მეწარმეობრივი უნარის გამოვლენის მოტივაციური ფაქტორების გაძლიერებას, „ეკონომიკური თამაშის“ ცივილური წესების დამკვიდრებას და შემოსავლების სამართლიან განაწილებას, რომელიც გამორიცხავს ეკონომიკის კრიმინალიზაციას, სოციალურ დაძაბულობას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს. თვითგანვითარებისა და პროგრესისადმი სწრაფვის უნარის

შენარჩუნება და მაღალ ხარისხში აყვანა საჭიროებს ინვესტიციურინოვაციური პროცესების განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, საწარმოო აპარატის მუდმივ განახლებას, მოდერნიზაციას, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების პროფესიულსაგანმანათლებლო და ზოგადკულტურული დონის ამაღლებას, მოსახლეობის ფართო ფენებში ეკონომიკური ცოდნის გავრცელებას („ერის ეკნომიკურ აღზრდას“ - ფ. ლისტი) და სხვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკური დემოკრატიის განვითარება. ძალაუფლების ხალხისადმი კუთვნილება, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ინდივიდები, სხვა ჩამოთვლილი სუბიექტები თანაბარი და თავისუფალი არიან თავიანთ მოქმედებაში, თვითონ განსაზღვრავენ საზოგადოებრივ მოწყობას, საზოგადოების განვითარების გზებს და საშუალებებს და თვითონვე განკარგავენ მათ ხელთ არსებული რესურსების გამოყენების ბედს. დემოკრატია გულისხმობს პიროვნების პატივისცემას, ანუ ადამიანის შეხედულებებისა და მიდრეკილების აბსოლუტური სუვერენიტეტის აღიარებას, თავისუფლებას, ყოველმა ადამიანმა განავითაროს 112 მისთვის დამახასიათებელი თვისებები, მასში არსებული ნიჭი, გონებრივი და ფიზიკური უნარი. ამრიგად, ჩვენი აზრით, ეკონომიკური დემოკრატია არის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმული სუბიექტების სამეურნეოეკონომიკური ცხოვრების და მისი მართვის ორგანიზაციის ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც შეზღუდული რესურსების პირობებში მიიღწევა პიროვნების, კოლექტივის, მთელი საზოგადოების, სახელმწიფო და სამეურნეო ინსტიტუტების მიერ ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება, თუ ეს არჩევანი არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და არ ემუქრება ქვეყნის უსაფრთხოებას. ამგვარად, ეროვნული უსაფრთხოების არსი შეიძლება განხილულ იქნას როგორც ეკონომიკისა და ხელისუფლების ძალაუფლების ერთიანი სისტემა, რომლის ფარგლებშიც დაცულია ეროვნული ინტერესები შიდა და გარე საფრთხეების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნატროშვილი გიორგი. ეროვნული უსაფრთხოების მიზნები, ფაქტები და მაჩვენებლები // ახალი აზრი, №8 (14),– დეკემბერი;
2. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში (ზაურ თეთრუაშვილი, მაია–თეთრუაშვილი–ქარდავა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თბილისი-2006 წელი);
3. საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ (04/03/2015);
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკური ინფორმაცია (www.napr.gov.ge).
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მსოფლიო ბანკის "Doing Business 2019 " რეიტინგი (2018 წლის 31 ოქტომერი);
6. სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკაში (13 თებერვალი, 2018, ნინო კვინტრაძე, http://forbes.ge/news/

აგროდაკრედიტების სრულყოფა, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი

Perfection of agro-credit as a prerequisite for sustainable economic development

თამარ მარგიანი - ბიზნესის აკადემიური დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი
Tamar Margiani, academic doctor of business,
Caucasus International University
Invited lecturer

აბსტრაქტი. აგროკრედიტის ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებელი პირობაა. საკრედიტო დაწესებულებებისათვის აგროდაკრედიტება დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელეებთან. არცერთი სექტორი ისე არ ექვემდებარება გაუთვალისწინებელ ფაქტორებს, (კლიმატურ ცვლილებებს, მავნე მწერების შემოსევას, და სხვა სტიქიურ უბედურებებს), როგორც აგრარული სექტორი. მოსავლის დაკარგვისა და ბაზარზე ფასების რყევების გარდა არსებობს საშიშროება შემცირდეს დაბანდებული ქონების ფასი, ვინაიდან ის დაზარალებულ რეგიონში მნიშვნელოვნად კარგავს ლიკვიდობას. მსესხებელი პირი სოფლიდან თავისი დისპერსიულობის და ლოკალური ცენტრებიდან დაშორებულობის გამო, როგორც წესი არ წარმოადგენს საბანკო სექტორის ინტერესთა სფეროს, რადგანაც კლიენტების მომსახურების ტრანსაქციური ხარჯები აჭარბებს ბანკის პოტენციურ მოგებას.

საკვანძო სიტყვები: აგროდაკრედიტება, სოფლის მეურნეობა, განვითარება.

Abstract. Availability of agro-credit is a necessary condition for the development of agriculture. Agrocrediting for credit institutions is associated with certain difficulties. No sector is more exposed to unforeseen factors (climatic changes, invasion of harmful insects, and other natural disasters) than the agricultural sector. In addition to crop loss and market price fluctuations, there is a risk that the value of the invested property will decrease as it loses liquidity significantly in the affected region. Borrowers from rural areas, due to their dispersion and distance from local centers, usually do not represent the field of interest of the banking sector, because the transaction costs of customer service exceed the potential profit of the bank.

Key words: agro-credit, agriculture, development.

ტერმინი ,,მდგრადი" უამრავ სხვადასხვა შინნარს ატარებს. ერთ შემთხვევაში, მას გამოიყენებენ, იმ შინაარსით, რომელიც მას მიანიჭა მდგრად სისტემათა მათემატიკურმა თეორიამ, ე.ი. მდგრადია ის სისტემა, რომელსაც ცალკეული ფლუქტიაციების შემდეგ აქვს უნარი აღიდგინოს სტრუქტურის შინაგანი პროპორცია. არსებობს, ამ ტერმინის მეორე, ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი საზრისი, რომლის მიხედვითაც, მდგრადი უკავშირდება განვითარების პროცესს. მდგრადობის შინაარსობრივი მახასიათებელი ხდება სისტემის ისეთი დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც მიმართულია მომავლისაკენ და საშუალებას იძლევა მომავლის უკეთესი ორგანიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით ტერმინი ,,მდგრადი განვითარება" არის განვითარების ისეთი წესი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ თაობათა მოსალოდნელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ანუ მომავლისაკენ მიმართული დღევანდელი ძალისხმევაა. ამგვარად, ტერმინი ,,მდგრადი განვითარება"გულისხმობს თაობათა შორის კულტურულ დიალოგს, თანაცხოვრების ისეთ წესს, სადაც ადამიანური ყოფის მრავალფეროვნება ქმნის ყველა მათგანის წინსვლის პირობებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მდგრადი განვითარება უკავშირდება როგორც ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების აუცილებლობას, ასევე დგება ადგილებზე, საქართველოს ისტორიულ კუთხეებში არსებული კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების და

ტურისტებისათვის გაცნობის ამოცანაც. გარდა ამისა რეგიონისათვის დამახასიათებელი სამზარეულო ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგრც ხალხური სიმღერა ან ხუროთმოძღვრული ძეგლები. აქ კი თავს იჩენს ის პრობლემები რაც დღევანდელ აგროსექტორს უკავშირდება.

საქართველოში მიმდინარე სასოფლო სამეურნეო კრიზისის დაძლევის მიზნით აუცილებელია, აგრარული პოლიტიკის რეფორმირების მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, შემუშავდეს, დარგის ფინანსირების მოქნილი და ეფექტური სისტემა. საკუთრივ ასეთი სისტემის ფორმირება განხორციელდეს ფინანსირების ყველა წყაროს გამოყენებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბიუჯეტო სახსრების გამოყენება საბანკო სისტემის მეშვეობით.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის ინდიკატორია მშპ. განვითარებული ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მერყეობს 1.41 დან - 4%მდე (გერმანია, ლიტვა შვედეთი). მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობას-45%, მეცხოველეობას-49% და სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას -7% უკავია, უკანასკნელ წლებში საქართველოში სოფლის მეურნეობის წილი მთლიანი მშპ-ში მკვეთრად შემცირდა (1999წ. 25%-დან 2011წ. 8.8% 2022წ) 6.09-მდე%. 2022 წელს საგარეო ვაჭრობის უარყოფითმა სალდომ -7 964.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

გამომდინარე აგრარული სექტორის განვითარების თავისებურებებიდან, ჩვენი საკვლევი ობიექტს საქართველოს ფინანსური სექტორი წარმოადგენს. აგროსამრეწველო სფეროს განვითარების ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორი და უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება აგრარულ სექტორის განვითარებას, სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მანკიერი სისტემაა. საქართველოს დღევენდელი საბანკო სექტორი არ არის ორიენტირებული სოფლის მეურნეობაზე ანუ აგრარული ქვეყნის ბანკებისათვის აგრარული სექტორი პრიორიტეტული. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე კრედიტების 2.24 პროცენტი მოდის. ამას ემეტება ის ფაქტიც, რომ კრედიტების ვადიანობა და საპროცენტო განაკვეთი არ შეესაბამება აგრარული სექტორის კვლავწარმოების თავისებურებებს (კრედიტების 90 პროცენტი მოკლევადიანი და მაღალი საპროცენტო განაკვეთი აქვთ). კომერციული ბანკები შეზღუდული რესურსების პირობებში თავს არიდებენ სოფლად საკრედიტო ურთიერთობებს მისი სპეციფკური თავისებურებები გამო, რაც გამოიხატება:

დაბრუნებადობა დაბანდებული კაპიტალისა აგრარულ სექტორში გაცილებით დაბალია (დაბალია სოფლის მეურნეობის დარგების რენტაბელობა მთლიანობაში), ვიდრე მატერიალური წარმოების სხვა დარგებში. რესურსში თანხების ჩადების და პროდუქციის მიღების დრო აგრარული ქვედარგების უმრავლესობისათვის გრძელდება არანაკლებ 6 თვისა, (წარმოების პროცესის ხანგრძლივობა მემცენარეობაში შეადგენს 1-დან 5-7 წელს (მრავალწლიანი ნარგავებისთვის) და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის 2 წელი, რომ არ ჩავთვალოთ სამუშაო პერიოდი.), ბიზნესის სხვა სფეროებში კი კვლავწარმოების ციკლის დასრულებამდე კაპიტალი ასწრებს რამდენჯერმე ბრუნვას.

საკრედიტო პორთფელის სტრუქტურის ღრმა ანალიზმა აჩვენა, რომ სესხების 30% ძირითადად მარტივ პროცენტზეა დაფუძნებული და შინაარსობლივად ატარებს იპოთეკურ და მატერიალური ფასეულობით გარანტირებულ სამომხმარებლო დაკრედიტების ხასიათს, არადა მათი დაფარვის წყარო არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა. Gსაქართველოში საბანკო კაპიტალი წარმოების ინდუსტრიული მეთოდების სტიმულირების ნაცვლად, სასესხო (სავახშო)

კაპიტალის ადრეული ფორმების მსგავსად წარმოების მუხრუჭად იქცა. ეს კი საქართველოს ბანკებში აგრარული სექტორის სპეციალიზებული ცოდნისა და გამოცდილების არცოდნითაა გამოწვეული.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლელთა ძლიერი დამოკიდებულება ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე დაბლა სწევს სესხის გარანტირებულობას. შედეგად კომერციული ბანკები მზად არიან გასცენ ასეთი კრედიტები მაღალი უზრუნველყოფის ქვეშ, გირაოს ჩათვლით.

ამ და სხვა მიზეზების გამო აგარაული სექტორი აღარ არის მიმზიდველი სფერო კერძო კაპიტალის ინვესტირებისათვის. შექმნილი მდგომარეობიდანთავის დაღწევის ერთადერთი გზა კი არის სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფო ფინანსური დახმარება. ილია ჭავჭავაძის აზრით: ,,მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰგრძნობდეს, და მეორეს გზით-მზად იყოს, ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა კერძო პირთა შეძლება ვერ გაწვდება".

საქართველოს აგრარულ სეტორში დღეისათვის შექმნილი ვითარების გამოსწორებას ქართველი ეკონომისტების ნაწილი სოფლად კოოპერატიული მოძრაობის განვითარებაში ხედავს. კოოპერატივი იქნება უაღრესად სასარგებლო – განმარტავდა ა. ჩაიანოვი, - თუ მას როგორც საწარმოს არ მოაქვს არავითარი წმინდა მოგება, სამაგიეროდ ხელს უწყობს მისი წევრების შემოსავლების გადიდებას. ამის საწინააღმდეგოდ კოოპერატივი იქნება საზიანო, თუ ვთქვათ იგი იძლევა 10 ათას რუბლ მოგებას, ხოლო მისი მოუქნელი მუშაობის გამო გლეხები ვერ ღებულობენ 40 ათას რუბლ შრომით შემოსავალს~. კოოპერატივი მისი წევრების ინტერესების დაკმაყოფილებაზეა ძირითადად ორიენტირებული და არა უპირატესად მოგების მიღებაზე.

სწორედ ეს სამართლებრივი ნორმა განასხვავებს კოოპერატივს სხვა ტიპის სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმებიდან, რომლებიც მოგების მიღებაზე არიან ორიენტირებულნი. მიუხედავად იმისა, რომ კოოპერირება საშუალებას აძლევს საოჯახო მეურნეობას გადაწყვიტონ მის წინაშე არსებული პრობლემები არა ინდივიდუალურად, არამედ, კოლექტიურად, სოფლის-მეურნეობაში ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორების ნეგატიური გავლენა ვრცელდება როგორც წესი არა ცალკეულ ფერმერზე, არამედ მთლიანად რეგიონებზე, ეს კი კრედიტის დაბრუნებადობის პრობლემას ვფიქრობ კიდევ უფრო გაამწვავებს (განსაკუთრებით თუ უძრავი ქონების რეალიზაციას ექნება ადგილი). ამას თან ერთვის რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები: (1) სახელმწიფოს მხრიდან სუსტია კოოპერატიული მოძრაობისადმი მხარდაჭერა. (2) ასევე სოფლის მეურნეობაში განხორციელებული დონორი ქვეყნების პროექტიდან, არც ერთი არ ყოფილა ორიენტირებული სოფლად კოოპერატივების დაფუძნების ხელშეწყობისთვის. მართალია მსოფლიო ბანკისა და IFAD-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა საკრედიტო კავშირების (საკრედიტო კოოპერატივების) დაარსების პროექტი, მაგრამ ის იმდენად არაგეგმაზომიერად წარიმართა, რომ დღეს მათი უდიდესი ნაწილი უბრალოდ აღარ არსებობს. (3) ძირითადი სუბიექტური ფაქტორი, რომელიც არ მუშაობს სოფლად კოპერირების სასარგებლოდ, არის საბჭოთა პერიოდიდან გამოყოლილი სტერეოტიპი, რომლის გავლენით თანამედროვე, დასავლური ტიპის კოოპერატივები დღესაც საბჭოურ კოლმეურნეობებთან ასოცირდება და მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მცდელობისა, 1990-იანი წლებიდან დაწყებული მათი დაფუძნება დღემდე ვერ ხერხდება.

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად მიგვაჩნია სოფლის-მეურნეობის დივერსიფიკაცია (მრავალპროფილიანობა), რადგანაც როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფასის და მარკეტინგის რისკი, ისევე, როგორც პროდუქციის და მოსავლის რისკი იზრდება იმ ფერმერთათვის, რომლებიც მუშაობენ ერთ კულტურზე ან პირუტყვთან. საკრედიტო ორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია მსესხებლის შემოსავლიანობა. მრავალფეროვანი სახის პროდუქცია კი იძლევა გასაღების ბაზრის გადიდების საშუალებას. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც რომ, დივერსიფიკაციას უნდა შევუთანაწყოთ სპეციალიზაციას, რაც საშუალებას მიცემს მაწარმოებლებსაც და საკრედიტო ორგანიზაციებსაც დაიცვან თავი იმ რისკისაგან, რომლებიც დაკავშირებულია ერთი სახის პროდუქციის წარმოებასთან.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში აგრარული სექტორის განვითარებისათვის კოოპერატივების ჩამოყალიბებაზე მეტად ბევრად ეფექტური და პრიორიტეტული იქნება აგროსამრეწველო კლასტერის ჩამოყალიბება. იგი ღირებულების შექმნის ყოველ ეტაპზე კარგი გარანტიაა ფინანსების მოსაზიდად და კლასტერებში გაერთიანებული საწარმოების საქმიანობის დასაფინანსებლად. პარტნიორობა პროდუქციის შექმნის მთელ ციკლს უფრო მიმზიდველს ხდის საფინანსო ორგანიზაციებისთვის. სწორედ აგროსამრეწველო კლასტერული თანამშრომლობა დაეხმარება საწარმოებს მდგრადობის გაძლიერებაში. გლობალურ მომწოდებლებს და გამყიდველებს ხშირ შემთხვევაში არ სურთ კავშირი მცირე ინდივიდუალურ მეწარმეებთან ცალცალკე დაამყარონ.

კლასტერული მიდგომა სოფლის მეურნეობის დაფინანსების მოდელში შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯგუფური სესხის სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის. ეს სტრატეგია მოიცავს სისტემაში ჩართულ სხვადასხვა მხარეებს _ პირველადი მიმწოდებლებიდან საბოლოო პროდუქტების რეალიზატორებამდე. სტრატეგიის ძირითადია იდეა ისაა, რომ თავდაპირველად შესწავლილი უნდა იქნეს ბიზნესსაქმიანობის მთლიანი ციკლი, გამოვლინდეს პრობლემები ან არაეფექტური რგოლები, რომლებიც უსარგებლოა კლასტერული საქმიანობისათვის, და შემდეგ, დადგინდეს ერთობლივი აგროსამრეწველო კლასტერის საქმიანობის დაფინანსების მიზანშეწონილობა. სერვისცენტრებისა და ასოციაციების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს კონტაქტი ღირებულების ზრდის ციკლის მონაწილეებთან, ასევე განისაზღვროს მათი მოთხოვნა კრედიტზე და შესაბამისი რისკები. ამან ხელმისაწვდომი უნდა გახადოს კრედიტები აგროსამრეწველო კლასტერის მონაწილეებისთვის, ღირებულების შექმნაში მათი განსხვავებული როლის შესაბამისად. ამ მიდგომის ძირითადი იდეა ბიზნესის ციკლში მონაწილე აგრომრეწველების რისკების შერბილებაა.

ფერმერების მიერ კრედიტის დაბრუნების რისკის შესამცირებლად პირობები ისე უნდა შემუშავდეს, რომ ფერმერებმა გამოიყენონ პარტნიორობა გამყიდველებთან (მაგ., საცალო ქსელთან), დადებული ხელშეკრულებები, ინვენტარი, კავშირი მსხვილ საწარმოებთან და მესამე პირთა კეთილინება, როგორც კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება. პარტნიორულ ურთიერთობებზე ორიენტირებული საკრედიტო რისკების სისტემის დანერგვა გააძლიერებს ფერმერების კონკურენტუნარიანობას და შესაძლებელს გახდის რისკების გადაცემის მექანიზმის ფორმირებას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს სპეციალური დანიშნულების სახსრები, რომელიც ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარანტიო ბანკის" საშუალებით ფერმერთა საჭიროებისათვის იქნება მიმართული.

მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რადგან ისინი თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაზრო პრინციპებისა და მუდმივი კონკურენციის პირობებში საქმიანობას აგებენ მაღალ მოგებაზე და რაც, მთავარია, შემცირებული რისკის პირობებზე.

არსებული საკრედიტო რესურსებით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა, მხოლოდ კომერციული დაწესებულებების გამოყენებით, პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან, კერძო სტრუქტურა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტების განაწილებისას ვერ შეძლებს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის დაცვას. ამდენად, საქართველოს მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისათვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ,,საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარანტიო ბანკის" მექნიზმის ჩამოყალიბება, რომელიც, ერთის მხრივ, დაეფუძნება მსოფლიო აგრო-საკრედიტო სისტემის პრაქტიკას და გამოცდილებას, ხოლო, მეორეს მხრივ, შეუჯერეული იქნება ქართული სოფლის სპეციფიკასთან..

,,საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარანტიო ბანკი"_ გამოვა გარანტორად კომერციული ბანკების მიერ გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კრედიტებზე. იგი გადაფარავს 70%-ზე მეტ გადაუხდელ კრედიტს სოფლის მეურნეობაში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების.

,,საქართველოს სოფლის მეურნეობის საგარანტიო ბანკს" კომერციული ბანკისაგან განსხვავებით, თავის სახსრების განთავსების მიმართულების არჩევისას იხელმძღვანელებს სახელმწიფო პრიორიტეტებით. კრედიტების ფასის განსაზღვრისას მხედველბაში მიღებენ არა მხოლოდ მოზიდული რესურსების ფასს (რომელიც ასევე არის იაფი კომერციული ბანკების ფასებთან შედარებით) ასევე შეღავათიანი დაკრედიტების აუცილებლობას და საბაზრო ფასზე დაბალი ფასების დაწესებას. უნდა განხორციელდეს ბანკებზე რბილი ძალდატანების მეთოდი, მათთვის მომგებიანი უნდა გახდეს აგრობიზნესის დაფინანსება. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია, საქართველოს რომელიმე ქსელურ (ფართო ფილიალებით წარმოდგენილ) ბანკს, მიეცეს ექსკლუზიური უფლებები სოფლად საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელებისათვის. ე.ი. სახელმწიფო რესურსის, ბანკების შუამავლობით, ფერმებისადმი გადაცემა, მოსახლეობის ფულად დანაზოგებს გახდის ხელმისაწვდომს სოფლის მეურნეობის საწარმოებისათვის. ეს იძლევა შესაძლებლობას, ბანკის კრედიტი გახდეს სამეწარმეო დანიშნულების, წარმოების მასტიმულირებელი, საშუალება და არა სავახშო პრინციპებზე ორგანიზებული, ბანკის მოგებაზე ორიენტირებული ფასეულობა.

აგროსექტორის განვითარება საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ ქვეყნის მდგრადი ეკონოიკა, რაც თავის მხრივ ქვეყნაში სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის წინსვლის საწინდარი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაკობიძე დ., გლობალური დინამიზმის ქართული სინამდვილე. თბილისი, 2011

2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: მემცენარეობის, მეცხოველეობის და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილები
https://www.statista.com/search/?q=Distribution+of+gross+domestic+product+%28GDP%29+across+economic+sectors+from+2012+to+2022&Search=&p=1
3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში, 2022
4. ჭითანავა ნ., საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები. თბილისი, 2012წ.
5. Distribution of gross domestic product (GDP) across economic sectors from 2012 to 2022; https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53717
6. Guarantees for farmers and agricultural entities. www.garfondas.lt

თანამედროვე ეტაპზე კომერციული ბანკის საქმიანობის არსი და რისკები
The essence and risks of commercial bank activities at a modern stage

გიორგი ცაავა
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Giorgi Tsaava
Doctor of Economics, Professor. Georgian Technical University
ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
Valeri Mosiashvili– Georgian National University SEU
Doctor of Economics. Professor
ანი ბიბილური
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი
ასისტენტ-პროფესორი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Ani Bibiluri
Assistant Professor, Georgian Technical University

აბსტრაქტი. საქართველომ ისტორიულად განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა, ევრაზიის კონტინენტზე მდებარე ეს პატარა სახელმწიფო მუდმივად ევროპასა და აზიას შორის არჩევანის წინაშე დგას, თუმცა ასეთი მდებარეობით დიდი შესაძლებლობები აქვს და მრავალი ბაზრის ათვისება შეუძლია, როგორიცაა: ევროინტეგრაცია უახლოეს პერსპექტივაში და აზიაში თანამშრომლობის ფართო არეალი. ქართული ეკონომიკის წამყვან ფიგურებად კი კომერციული ბანკები გვევლინებიან, ამიტომ მათი როლი უსაზღვროდ დიდია საფინანსო სექტორის განვითარების საქმეში, რადგან თავად ქმნიან ამ სისტემას და სხვადასხვა სტრუქტურებს შორის ცენტრალურ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ. ბანკების გამართული ფუნქციონირება, სწორი ხედვა და სიახლეები ეკონომიკაში გარდამტეხი ცვლილებების მომტანია, რის გამოც ფინანსური სფერო მათ საქმიანობაზეა აგებული და ორიენტირებული. შესაბამისად ბანკების მომსახურების სპექტრი მუდმივად ვითარდება და ახლდება, ეს ნებისმიერი ორგანიზაციის თანმდევი პროცესია, გაუმჯობესება და სწრაფვა სრულყოფილებისაკენ. ქართულმა კომერციულმა ბანკებმა კი ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლეს დაეძლიათ არაერთი დაბრკოლება ღირსეულად და მიეღწიათ იმ ნიშნულისათვის, სადაც დღეს იმყოფებიან.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკი, საბანკო-საფინანსო სექტორი, საქმიანობის რისკები.

Abstract. Georgia has historically gone through a long and difficult path of development, this small state located on the Eurasian continent is constantly faced with a choice between Europe and Asia, however, with such

a location, it has great opportunities and can take advantage of many markets, such as: European integration in the near future and a wide area of cooperation in Asia. Commercial banks are the leading figures of the Georgian economy, therefore their role is infinitely greater in the development of the financial sector, because they themselves create this system and represent the central connecting link between different structures. Proper functioning of banks, correct vision and innovations bring transformative changes in the economy, which is why the financial sphere is built and focused on their activities. Accordingly, the range of services of banks is constantly developing and updating, it is a process of any organization, improvement and striving for perfection. Georgian commercial banks, step by step, were able to overcome many obstacles with dignity and reach the benchmark where they are today.

Keywords: National Bank of Georgia, Commercial Bank, Banking-Financial Sector, Activity Risks.

შესავალი. თავისი არსით კომერციული ბანკი არასახელმწიფო საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც ახორციელებს უნივერსალურ საბანკო ოპერაციებს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის. როგორიცაა: ოპერაციები ანაბრებსა და სესხებზე, საანგარიშსწორებო ოპერაციები, გარიგებები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და საბროკერო ოპერაციები.

ტერმინი „კომერციული“ ბანკის მიმართ პირობითია და გულისხმობს რომ ორგანიზაციის საქმიანობის მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა, რომელსაც, როგორც წესი, იღებს საპროცენტო განაკვეთებიდან, საკომისიოებიდან და ა.შ. შესაბამისად საპროცენტო განაკვეთები გაცემულ კრედიტებზე ყოველთვის მაღალია, ვიდრე ანაბრების საპროცენტო განაკვეთები, რითაც მოცემული მაჩვენებლების სხვაობა გვაძლევს საბანკო მოგება-მარჟას.

თანამედროვე კომერციული ბანკები ძირითადად ორიენტირებულნი არიან შემდეგი ტიპის საბანკო მომსახურებებზე:

- ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტება და ოპერაციები ანაბრებზე;
- საფონდო ბირჟასა და ძვირფას მეტალებთან დაკავშირებული ოპერაციები;
- ეკონომიკური სუბიექტების საანგარიშსწორებო ანგარიშების მართვა;
- დაზიანებული ფულადი სახსრების გადაცვლა (დახეული, დამწვარი, გარეცხილი კუპიურები) ახალ ფულად ნიშნებზე;
- კონვერტაციები და ა.შ.

ძირითადი ნაწილი. ისტორიულად მსოფლიოში პირველი, ცნობილი, კომერციული ბანკი იტალიის ქალაქ გენუაში დაარსდა 1407 წელს. დღეისთვის მოქმედი უძველესი ბანკი, ასევე იტალიური ბანკი მონტე დეი პასკი დი სიენაა, რომელიც 1472 წლიდან არსებობს.

საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის ისტორია მე-19 საუკუნის პირველი ნახევარიდან იღებს სათავეს. თუმცა თანამედროვე საბანკო მოდელთან ყველაზე ახლოს მდგომი ილია ჭავჭავაძის მიერ 1875 წელს დაარსებული „თბილისის საადგილმამულო ბანკი“ იყო, რომლის მუშაობის პრინციპი გულისხმობდა დიდგვაროვნების მიერ მიწების დაგირავებას, ხოლო გლეხებს ამ მიწების გამოსყიდვაში დახმარებას, თუნდაც ამავე ბანკიდან აღებული სესხით. მოცემული ბანკი 1909 წლამდე არსებობდა. შემდგომ იყო საბჭოთა მმართველობის 70 წელი, სადაც არათუ ქართული ბანკები, არამედ ზოგადად კერძო საბანკო სისტემის არსებობაც კი დაუშვებელად მიაჩნდათ, ხოლო ცნება „კომერციული“ ამ პერიოდისთვის ყველასთვის უცხოს წარმოადგენდა, რადგან არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო ბანკები, რომელთა ძირითად როლს ფულის შემნახველი სალაროს ფუნქცია წარმოადგენდა. (Bibiluri, 2020)

თანამედროვე ქართული საბანკო სისტემის ჩამოყალიბება 90-იანი წლებიდან იწყება, როდესაც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა როგორც იქნა აიღო ბანკების რეგულირების ბერკეტები საკუთარ ხელში და 1995 წელს გამოიცა „ორგანული კანონი ეროვნული ბანკის შესახებ“, რომლის ახალი რედაქცია უკვე 2009 წლით თარიღდება. აღნიშნული ფაქტით სათავე დაედო გამართული ქართული საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას, რასაც შედეგად მოჰყვა 1996

წელს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. მოცემული ორი კანონი არის ის ფუნდამენტი, რომელზეც საბანკო-საფინანსო სისტემა ფუნქციონირებს.

კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი არის უმაღლესი მმართველობითი ორგანო, რომლის მთავარი ფუნქციაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. მისი მიზანია ქვეყნის ფინანსურ სტაბილურ განვითარებაზე ზრუნვა და ეფექტიანი ფუნქციონირება. მარტივად რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკი ზრუნავს საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის ხელშეწყობაზე, ასევე ეროვნული ვალუტის გაძლიერებასა და მისდამი ნდობის ამაღლებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკი თავისი დანიშნულების განხორციელების მიზნით გვევლინება საფინანსო სექტორის მთავარ მოთამაშედ ანუ არის ბანკთა ბანკი, რომელიც გამჭირვალობის პრინციპების დაცვით, პერიოდულად აქვეყნებს სტატისტიკურ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული ინფლაციის, რეფინანსირების განაკვეთებისა და სხვა მაჩვენებლების შესახებ. საჯაროა კომერციული ბანკების შესახებ მონაცემები და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გადახედოს 15 კომერციული ბანკების შესახებ ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ 1995 წელს საქართველოში მოქმედი 102 ბანკი მოცემული პერიოდისათვის ზედმეტად ბევრი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში მათი რიცხვი, რეგულაციების შემოღებისა და საბანკო კანონმდებლობის დახვეწვასთან ერთად, სწრაფად შემცირდა. თუმცა ამის ფონზე ეტაპობრივად გაიზარდა ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა, უამრავი მომხმარებელი ინტერნეტბანკს/მობაილბანკს, თვითმომსახურების ტერმინალებს და ბანკომატებს იყენებს, რის შედეგადაც ერთ დროს გადატვირთული ბანკის სალაროები ჩარიცხვის აპარატებმა ჩაანაცვლა. სწორედ ამიტომ, თანამედროვე ფულადი ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ბანკები, რომელთა საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული წარმოების საჭიროებებთან. ისინი ეკონომიკური ცხოვრების ცენტრში მდებარეობენ, ემსახურებიან მწარმოებელთა ინტერესებს, აკავშირებენ რა ფულადი ნაკადებით ინდუსტრიასა და ვაჭრობას, სოფლის მეურნეობასა და მოსახლეობას. (Mosiashvili & Bibiluri, 2023)

თანამედროვე საზოგადოებაში ბანკები დაკავებულები არიან ყველაზე განსხვავებული ოპერაციების ტიპებით. ისინი არამარტო ფულად ბრუნვასა და საკრედიტო ურთიერთობებს უწევენ ორგანიზებას, არამედ მათი მეშვეობით ხორციელდება ეროვნული ეკონომიკის დაფინანსება, სადაზღვევო ოპერაციები, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, ზოგიერთ შემთხვევაში კი საშუამავლო საქმიანობა და ქონების მართვა. საკრედიტო ორგანიზაციები გამოდიან კონსულტანტის რანგში, მონაწილეობენ ეროვნული ეკონომიკური პროგრამების განხილვაში, აწარმოებენ სტატისტიკას, აქვთ საკუთარი შვილობილი საწარმოები.

თანამედროვე კომერციული ბანკები პირდაპირ ემსახურებიან საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ასევე მოსახლეობას - თავიანთ კლიენტებს. კომერციული ბანკები გამოდიან საბანკო სისტემის ძირითად რგოლად. კომერციული ბანკები წარმოადგენენ ეკონომიკის დამოუკიდებელ სუბიექტებს, მაგრამ კანონმდებლობით განსაზღვრულია მათი შექმნის წესი, საქმიანობის პრინციპები და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - სააქციო საზოგადოება. მათი დამოკიდებულება კლიენტისადმი ატარებს კომერციულ ხასიათს, შესაბამისად კომერციული ბანკების ფუნქციონირების მიზანია - მაქსიმალური მოგების მიღება.

საბანკო კანონმდებლობის თანახმად, ბანკი - ეს არის საკრედიტო ორგანიზაცია, რომელსაც აქვს უფლება მოიზიდოს ფიზიკური და იურიდიული პირების ფულადი სახსრები, განათავსოს მათი სახელით და თავიანთ ანგარიშებზე დაბრუნებადობის პრინციპით, გადახდის აუცილებლობით და განახორციელოს გადახდის ოპერაციები კლიენტის დავალებით. ამრიგად, კომერციული ბანკები ახორციელებენ კლიენტების კომპლექსურ მომსახურებას, რაც

განასხვავებს მათ არასაბანკო ტიპის სპეციალური საკრედიტო ორგანიზაციებისგან, რომლებიც ასრულებენ ფინანსურ ოპერაციებსა და მომსახურების ვიწრო წრეს. (Tsaava & Bibiluri, 2023)

კომერციული ბანკი საქმიანობას აგებს მომგებიანობის პრინციპზე, იღებს რა შემოსავალს თითოეული ოპერაციიდან რისკის ფაქტორების მოქმედების გათვალისწინებით. კომერციული ბანკის დამფუძნებლები, აქციონერები (მონაწილეები) შეიძლება იყვნენ იურიდიული პირები და მოქალაქეები, გამონაკლისია ყველა დონის სახელმწიფო ორგანოს, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სპეციალიზებული საჯარო ფონდის წარმომადგენელი პირები. ბანკის ორგანოები უნდა იმართებოდეს კანონმდებლობის თანახმად, არსებული ეკონომიკური ნორმატივებითა და ფულად-საანგარიშსწორებო წესების განხორციელებით. როგორც აღვნიშნეთ, კომერციული ბანკების საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. კომერციული ბანკები მოქმედებენ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული საბანკო ოპერაციების ჩატარების ლიცენზიის საფუძველზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის სტატუსი კონსტიტუციის მიხედვითაა განსაზღვრული და მისი დამოუკიდებლობა გარანტირებული. ჩვენს ქვეყანაში პირველი ცენტრალური ბანკი 1919 წელს დაარსდა, დღევანდელი ფორმით კი 1991 წლიდან არსებობს.

საქართველოს ეროვნული ბანკი კანონის თანახმად არის დამოუკიდებელი და არავის აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმიანობაში, არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებს. იგი არის ცენტრალური ბანკი, რაც ნიშნავს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების არსებობას. კერძოდ, ეროვნული ბანკი ატარებს მონეტარულ პოლიტიკას, მის მართვაშია ქვეყანაში არსებული ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები. გვევლინება ჩვენი მთავრობის ბანკირად და ამავდროულად არის ფისკალური აგენტიც. ეროვნული ბანკი ერთადერთია ქვეყანაში ვისაც აქვს ფულის ემისიისა და მონეტების (მათ შორის, საკოლექციო) მოჭრის უფლება.

ქართული საბანკო სექტორის განვითარების შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე კარგი ინდიკატორი საბანკო აქტივების ცვლილების ტენდენციაა, ინფორმაციას 2004 წლიდან თუ გადავხედავთ, აღსანიშნავია რომ ფაქტიურად ბოლო 20 წლის განმავლობაში ძალიან დიდი პროგრესია მიღწეული, რაც გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ 2004 წელს ბანკების ჯამური აქტივები 1,7 მილიარდი იყო, ხოლო 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის 34,6 მილიარდ ლარს ანუ 13,35 მილიარდ დოლარს მიაღწია. 2023 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 72.1 მლრდ ლარს შეადგენს. საბანკო სექტორი 15 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი და მათ შორის 13-ის საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და ადგილობრივი კაპიტალით კი მხოლოდ 2 - „ბანკი ქართუ“ და ბაზარზე ახალი შემოსული ციფრული „პეისერა ბანკი საქართველო“. აღსანიშნავია, რომ „პიესერა“ პირველი ქართული ციფრული ბანკია საქართველოში, რომელიც უშუალოდ ეროვნული ბანკის გაცემული ლიცენზის საფუძველზე ფუნქციონირებს, მანამდე არსებული ციფრული ბანკების უმუალოდ არსებული კომერციული ბანკების ან უცხოური ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკის მთლიანი აქტივების რაოდენობით ყველაზე დიდი წილით „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“ გამოირჩევა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბანკების რაოდენობა იკლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა იზრდება მათი როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

ზოგადად, დღეისათვის საბანკო სექტორის კაპიტალი 11.2 მლრდ ლარია, რაც კომერციული ბანკების აქტივების 15.5%-ია. მსხვილაქტივებიანი ბანკების რეიტინგი ეროვნულ ვალუტაში კი შემდეგნაირად გამოიყურება:

კომერციული ბანკები	01.09.2023
საქართველოს ბანკი	27,640,993
თიბისი ბანკი	27,596,202
ლიბერთი ბანკი	3,771,232
ბაზისბანკი	3,155,910
კრედო ბანკი	2,333,742
ქართუ ბანკი	1,733,856
პროკრედიტ ბანკი	1,685,692
ტერაბანკი	1,636,414

საბანკო სექტორის განვითარების აუცილებელი პირობა დეპოზიტების ზრდაა. ამ მხრივ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. 1996 წელს ყველა ბანკში არსებული დეპოზიტი ერთად 56 მილიონი ლარი (მშპ-ის 1,5%) იყო, 2018 წლის თებერვლის მდგომარეობით კი 20 მილიარდი ლარი შეადგინა, ხოლო 2023 წლის ბოლო პერიოდის მდგომარეობით დაახლოებით 43,64 მლრდ ლარია. აღსანიშნავია, რომ პირველად ისტორიაში 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით დაინერგა დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევა, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია.

ფაქტია, დეპოზიტების ზრდით იზრდება გაცემული სესხების რაოდენობაც. 2003 წელს 746 მილიონი ლარის სესხი იყო გაცემული, 2018 წლის თებერვლისათვის საკრედიტო დაბანდების მოცულობამ 22 მილიარდ ლარს მიაღწია, გაიზარდა ლარში დაკრედიტების მოცულობა გალარების პროგრამის ფარგლებში და შესაბამისად შემცირდა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების წილი, ხოლო 2023 წლის მონაცემებით კი ჯამურად 50,12 მლრდ ლარია. დეპოზიტების და საკრედიტო პორტფელის მსგავსად ჯამური აქტივების ყველაზე მეტი წილი 2 კომერციულ ბანკზე მოდის. (Mosiashvili & Bibiluri, 2022)

საბანკო აქტივების, დეპოზიტებისა და სესხების ზრდასთან ერთად იკლებს სესხის სარგებლის განაკვეთი. 1996 წელს კომერციული ბანკების სესხებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 61% იყო, 2018 წელს კი ეს მაჩვენებელი 9%-მდეა ჩამოვიდა, თუმცა 2019 წლის ბოლოს 11%-ს გაუტოლდა. საპროცენტო განაკვეთი განსაკუთრებით სწრაფად 2006 წლამდე იკლებდა, 2007 წელს შეაფერხა მაღალმა ინფლაციამ, ხოლო 2008-2009 წლებში - მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. 2012 წლიდან განაკვეთები ისევ კლების ტენდენციას დაუბრუნდა, რაც 2015 წლიდან ლარის საგრძნობი გაუფასურებით წარმოქმნილმა ფინანსური არასტაბილურობის რისკმა შეაჩერა. 2015 წლიდან მონეტარული პოლიტიკა მნიშნელოვნად გამკაცრდა, რაც პირდაპირ აისახა ლარში გაცემულ-გასაცემ სესხების საპროცენტო განაკვეთებზე. ბანკებს საკრედიტო რესურსი ძირითადად უცხოურ ვალუტაში აქვთ, რადგან უცხოური ვალუტა უფრო მყარია და ბევრად ურჩევნიათ დიდი მოცულობის სესხები ხუთი და მეტი წლის ვადით გასცენ. თუმცა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯი გადადგა, როდესაც დარეგულირდა სესხების მიხედვით გაცემის ვადა, ვალუტა და ლიმიტები. მაგალითად: 2024 წლიდან დაგეგმილია იპოთეკურ სესხებთან მიმართებაში 300 000 ლარიანი ზღვრის დაწესება უცხოურ ვალუტაში გასაცემ თანხებთან დაკავშირებით, მათთვის ვისაც შემოსავალი მხოლოდ ლარში აქვს, მაგრამ ამავდროულად შეზღუდვების მოხსნა იმ მომხმარებლებისათვის ვისი შემოსავლებიც უცხოურ ვალუტაშია.

ბანკების რაოდენობის შემცირება, დეპოზიტებისა და სესხების ზრდა, რაც მთავარია საპროცენტო განაკვეთის შემცირება გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ბანკების განვითარების დონე და მომსახურების ხარისხი და არა მათი რაოდენობა კონკურენციის

პირობებში, რაც მეტი კომერციული ბანკი იქნება საქართველოში უკეთესია, მაგრამ უნდა შენარჩუნდეს ის დიდი მიღწევა, რასაც საბანკო სექტორის სტაბილურობა ჰქვია. ზოგიერთი ბანკი გაიყიდა, ზოგიერთი უფრო დიდ ბანკს შეუერთდა, ზოგის ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ ეს მოვლენები ისე განვითარდა არავინ დაზარალებულა, რითაც ბანკებისადმი ნდობა უფრო შენარჩუნდა.

ბოლო 20 წელზე მეტია აშკარა პროგრესი იკვეთება. გლობალიზაციის პირობებში ბანკებისადმი მრავალი მოთხოვნაა, საჭიროა მათი თანამედროვე მსოფლიო ტენდენციებთან მიახლოება, რასაც ქართული საბანკო სისტემა წარმატებით ახორციელებს, ამას მოწმობს ის ფაქტიც რომ საქართველო რეგიონში გამოირჩევა მომსახურების მაღალი დონის საბანკო სისტემით. გლობალიზაციის მნიშვნელოვანი მაგალითია ქართული ბანკების მსოფლიო ბირჟაზე გასვლა, როდესაც 2006 წელს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოჩნდა „საქართველოს ბანკი“, ხოლო 2012 წელს კი პრემიუმ ლისტინგში მოხვდა. 2014 წელს ლონდონის საფონდო ბირჟას შეემატა „თიბისი ბანკიც“. ამით კი საბანკო სექტორის ამჯერად ახალი უკვე მსოფლიო ისტორია დაიწყო.

ნებისმიერი ორგანიზაცია, განსაკუთრებით ბანკები არსებობისას აწყდებიან არაერთი ტიპის რისკებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ბანკის საქმიანობაზე. PWC და CSFI - ფინანსური ინოვაციების შემსწავლელი ორი ცენტრი რეგულარულად აწყობს სპეციალისტების გამოკითხვას, რათა გამოავლინონ და დაალაგონ მნიშვნელობისა და ზრდის ტემპით რისკები, რათა დაადგინონ თუ რა მიაჩნიათ საბანკო სფეროს ლიდერებს საქმიანობისას ყველაზე დიდ საფრთხედ და ხელისშემშლელ ფაქტორად. კვლევა ტარდება პერიოდულად და სტანდარტული, გავრცელებული ფინანსური, საბაზრო, საკრედიტო და სხვა რისკების გარდა გამოვლინდა სხვა მაჩვენებლებიც:

1. მაკროეკონომიკური გარემო და პოლიტიკური ჩარევის საფრთხე;
2. დანაშაულის დონე და რეგულაციები;
3. ტექნოლოგიური რისკი და რისკების მართვის ხარისხი;
4. სოციალური მედიის გავლენა;
5. კორპორატიული მმართველობა და რეპუტაცია;
6. ადამიანური რესურსები და მართვის წახალისება;
7. განვითარებადი ბაზრები და ჩრდილოვანი საბანკო საქმიანობა და ა.შ.

აღნიშნული კვლევა ჩატარდა მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში, 700-მდე ბანკირთან კომუნიკაციის საფუძველზე. კვლევაში მონაწილეობას იღებდა დიდი ბრიტანეთი, აშშ, კანადა, რუსეთი და ა.შ. კვლევისას რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ პოლიტიკურ ჩარევასა და შეზღუდვების დაწესებას შეუძლია საბანკო სექტორში ხარჯების ზრდა გამოიწვიოს.

ბანკის სანდოობა კი მისი სტაბილურობით განისაზღვრება, სარეიტინგო სააგენტო **Fitch Ratings**-მა რომელიც, კომერციული ბანკებს გრძელვადიანი და საკრედიტო მდგრადობის რეიტინგით აფასებს, 2023 წელს საქართველოში არსებულ კომერციულ ბანკების უმეტესობას რეიტინგი „პოზიტიური“ მიანიჭა.

დასკვნა

ზოგადად ზემოთ აღნიშული საკითხებიდან შეგვიძლია შემდეგი დასკვნის გაკეთება: დღეის მდგომარეობით ქართული საბანკო სისტემა სწრაფ განვითარებას განიცდის და ბაზარი 15 კომერციული ბანკისგან შედგება, ამავდროულად შეინიშნება ტენდენცია მსხვილი ბანკების მიერ პატარა ბანკების შემოერთების. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე საბანკო სექტორმა განვითარების ხანგრძლივი და რთული გზა გაიარა, რა დროსაც თავისი ფუნქციები

და მოვალეობებიც არაერთგზის შეიცვალა, განვითარდა და მივიღეთ ბევრად გამართული საბანკო სექტორი, სადაც მომხმარებელი იღებს პროდუქტს და მომსახურებას შეუფერხებლად.

საქართველოს საფინანსო სექტორში კომერციული ბანკების როლი და მნიშვნელობა დიდია, რადგანაც ისინი გვევლინებიან აღიშნული სფეროს ცენტრალურ რგოლად. შეიქმნა კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და რეგულირების მოქნილი სისტემა, საქმიანობისას აწყდებიან სხვადასხვა ტიპის რისკებს, თუმცა ღირსეულად უმკლავდებიან.

References

Bibiluri, A. (2020). *Bank's credit policy and credit risk.* Tbilisi: Dani.

Mosiashvili, V., & Bibiluri, A. (2022). IMPACT OF REFINANCING RATE ON INTERNAL INVESTMENT VOLUME. *COMMUNICATION AND DEVELOPMENT OF INTERDISCIPLINARY COMPETENCES IN THE DIGITAL AGE*, 94.

Mosiashvili, V., & Bibiluri, A. (2023). DIGITAL BANK-A CHALLENGE OR NEW OPPORTUNITIES FOR THE GEORGIAN BANKING SYSTEM. *In Turiba University. International Scientific Conference (pp. 139-143). Turiba University.*

Mosiashvili, V., Chelidze, M., & Abutidze, G. (2020). *Banking.* Tbilisi: Dani.

Tsaava, G., & Bibiluri, A. (2023). Features of the Use of Logistics in the Field of Banking Services. *Proceedings of Tskhum-Abkhazian Academy of Sciences, 23*, 13-20.

Tsaava, G., Burdiashvili R., Mosiashvili, V. (2017). *Money Circulation and Credit.* Tbilisi: Dani.

Tsaava, G., Khantadze, G. (2014). *Banking.* Tbilisi: Dani.

Tsaava, G., Khantadze, G. (2015). *Bank management.* Tbilisi: Dani.

სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები უსდ-ში
Diverse methods of teaching and learning in higher education

ანთაძე ლია - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.
სოციალური მეცნიერებების დოქტორი
l.antadze@seu.edu.ge
Lia Antadze - National University of Georgia SEU.
Doctor of Social Sciences

ანოტაცია. სწავლების ეფექტურ მეთოდს შეუძლია გააძლიეროს სტუდენტის მოტივაცია და აკადემიურ მოსწრებაში სტუდენტის ჩართულობა. მსგავსი მეთოდები შეიძლება იყოს: ჯგუფური დისკუსია, პრობლემის გადაჭრის აქტივობები, პრაქტიკული ექსპერიმენტები და სხვა, რომლებიც ახალისებს სტუდენტებს აქტიურად მიიღონ მონაწილება სწავლება-სწავლის პროცესში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლებისა და სწავლების მიდგომებმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, მრავალფეროვანი მეთოდებითა და პლატფორმებით, რომლებიც გაჩნდა სტუდენტებისა და ლექტორების განვითარებადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

აღნიშნული იკვლევს სწავლების მეთოდებისა და პლატფორმების მრავალფეროვნებას უმაღლეს განათლებაში, ნათელს ჰფენს დინამიურ მიდგომებს, რომლებიც გახდა თანამედროვე საგანმანათლებლო

გამოცდილების განუყოფელი ნაწილი. ტრადიციული საკლასო ლექციებიდან ონლაინ კურსებამდე, გადაბრუნებულ საკლასო ოთახებამდე, თანამშრომლობით სწავლებასა და ტექნოლოგიების ინტეგრაციამდე, საგანმანათლებლო სფერო საჭიროებს მრავალმხრივ მიდგომას.

აღნიშნული სტატიის შესასრულებლად ჩატარებულ იქნა თვისებრივი კვლევა, მიზნობრივი შერჩევით, სტუდენტებთან და ლექტორებთან (ხუთი ლექტორი, ხუთი სტუდენტი) სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება დადებითი გავლენა ახდენს სტუდენტების აკადემიურ შედეგებზე და მეტიც, გარდაუვალია მრავალფეროვანი სტრატეგიების, მეთოდებისა და პლათფორმების გამოუყენებლობა სწავლების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტი, ლექტორი, მეთოდი, მრავალფეროვნება.

Annotation. An effective teaching method can enhance student motivation and student engagement in academic performance. Similar methods can be: group discussion, problem-solving activities, practical experiments and others, which encourage students to actively participate in the teaching-learning process.

Approaches to teaching and learning in higher education institutions have undergone a significant transformation, with a variety of methods and platforms emerging to meet the evolving needs of students and lecturers.

It explores the diversity of teaching methods and platforms in higher education, shedding light on the dynamic approaches that have become an integral part of the modern educational experience. From traditional classroom lectures to online courses, to flipped classrooms, to collaborative learning and technology integration, the field of education requires a multifaceted approach.

In order to write this article, a qualitative research was conducted, with targeted sampling, using in-depth interviews with students and lecturers (five lecturers, five students). The results of the study showed that the use of diverse teaching methods has a positive effect on the academic results of students, and moreover, it is inevitable not to use diverse strategies, methods and platforms in the teaching process.

Key words: student, lecturer, method, diversity.

სწავლების მეთოდები უსდ-ში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექციებზე დაფუძნებული ტრადიციული მოდელს თანდათანობით ცვლის ინოვაციური მიდგომები. ონლაინ სწავლის პლატფორმებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა, რაც მოქნილობას სთავაზობს როგორც სტუდენტებს, ასევე ლექტორებს. ონლაინ კურსების გამოჩენამ საშუალება მისცა მსმენელებს მთელს მსოფლიოში მიიღონ განათლება დისტანციურად, თუნდაც პრესტიჟული უნივერსიტეტებიდან, რაც აძლიერებს განათლებას გლობალური მასშტაბით.

თანამშრომლობითი სწავლის სტრატეგიები ხაზს უსვამს ჯგუფურ მუშაობას, გუნდურ მუშაობას და კომუნიკაციის უნარებს. შერეული სწავლება, რომელიც აერთიანებს ონლაინ და პირისპირ სწავლებას, უზრუნველყოფს დაბალანსებულ მიდგომას.

თუმცა, მეთოდების ეფექტურობა მოითხოვს მუდმივ შეფასებას და დახვეწას. ვინაიდან უნივერსიტეტები ცდილობენ შექმნან ინკლუზიური და დინამიური სასწავლო გარემო, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და პლატფორმების გამოყენებით.

სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების და საუნივერსიტეტო განათლებაში კვლევის შედეგების ინტეგრირების მნიშვნელობა არ შეიძლება გადაჭარბებული იყოს. ეს მიდგომა აძლიერებს სწავლის გამოცდილებას, ხელს უწყობს ინკლუზიურობას და ამზადებს სტუდენტებს იმ რთული გამოწვევებისთვის, რომლებსაც ისინი შეხვდებიან აკადემიურ და პროფესიულ ცხოვრებაში.

გარდნერის თეორიასაც თუ გავიხსენებთ, ზოგიერთი სტუდენტი გამოირჩევა ვიზუალური სწავლით, ზოგი კი უპირატესობას ანიჭებს აუდიტორულ ან კინესთეტიკურ მიდგომებს.

სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორიცაა ლექციები, დისკუსიები, პრაქტიკული აქტივობები და მულტიმედიური პრეზენტაციები, ლექტორს შეუძლიათ სწავლის სხვადასხვა სტილის მორგება, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა ფართო სპექტრს შეუძლია გაითავისოს და შეინახოს მასალა.

ზემოთ აღნიშნულ თეორიულ მასალაზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა თვისებრივი კვლევის სიღრმისეული კითხვარი ლექტორებისთვის და სტუდენტებისთვის, რის საფუძველზეც რესპოდენტები საუბრობდნენ თანამედროვე სწავლების გამოწვევებზე, სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების აუცილებლობაზე და მათი თქმით სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობისა და ინტერესის გაზრდას. დინამიური აუდიტორია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სასწავლო ტექნიკას, ეხმარება შეინარჩუნოს სუდენტთა ყურადღება და ენთუზიაზმი. ეს ჩართულობა გადამწყვეტია სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გასაძლიერებლად და სტუდენტების წახალისებისთვის, მიიღონ აქტიური როლი მათ განათლებაში.

სწავლების სხვადასხვა მეთოდი ასევე სტუდენტს უბიძგებს კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებაში. შემთხვევის შესწავლა, დებატები, ჯგუფური პროექტები და კვლევაზე დაფუძნებული დავალებები მოუწოდებს სტუდენტებს გამოიყენონ თეორიული ცოდნა რეალურ სიტუაციებში. ეს მიდგომა ამზადებს მათ იმ სირთულეებისთვის, რომლებსაც ისინი შეხვდებიან აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობაში, ხელს უწყობს მეტად ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. მასალებისა და მაგალითების ჩართვა სხვადასხვა კულტურული პერსპექტივიდან ეხმარება სტუდენტებს განავითარონ კულტურული კომპეტენცია და გლობალური აზროვნება. ეს აუცილებელია დღევანდელ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში, სადაც კურსდამთავრებულები, სავარაუდოდ, იმუშავებენ მრავალფეროვან და მულტიკულტურულ გარემოში. უახლესი კვლევის შედეგების სასწავლო პროგრამაში ინტეგრირება უზრუნველყოფს სტუდენტებს უახლესი ცოდნისა და მეთოდოლოგიების გაცნობას. აღნიშნული სტუდენტებს უბიძგებს გახდნენ დამოუკიდებელები, სხვადასხვა სასწავლო ტექნიკის ზემოქმედებით, რაც ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობას.

უნივერსიტეტები გადამწყვეტ როლს ასრულებენ კურსდამთავრებულების მომზადებაში, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები მნიშვნელოვანია შესაბამისობაში იყოს თანამდეროვე გამოწვევებთან და სამუშაო ბაზრის მრავალმხრივ მოთხოვნებთან.

შეჯამება.

თეორიულ მასალაზე და ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით თამამად შეიძლება ითქვას, საუნივერსიტეტო დონეზე სწავლების მრავალფეროვანი მეთოდებისა და კვლევის შედეგების ჩართვა აუცილებელია მდიდარი და ეფექტური საგანმანათლებლო გამოცდილების შესაქმნელად. ის ითვალისწინებს სტუდენტების მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, ხელს უწყობს ინკლუზიურობას და უზრუნველყოფს, კურსდამთავრებულები იყვნენ კარგად მომზადებული თანამედროვე სამყაროს გამოწვევების წინაშე. ეს მიდგომა არა მხოლოდ მომგებიანია ინდივიდუალური სტუდენტის წარმატებისთვის, არამედ ხელს უწყობს საზოგადოების საერთო წინსვლას ცოდნის გავრცელებისა და გამოცდილი და ადაპტირებადი პროფესიონალების გაზრდის გზით.

უმაღლესი განათლება გადის ტრანსფორმაციულ ფაზას, რომელიც გამოირჩევა სწავლება-სწავლის მეთოდებისა და პლატფორმების დივერსიფიკაციით. განათლების ტრადიციული მოდელი აღარ არის ერთადერთი ამოსავალი, ამის ნაცვლად, სხვადასხვა მიდგომა აყალიბებს

საგანმანათლებლო გამოცდილებას. ვინაიდან პედაგოგები და სასწავლებლები ამ ცვლილებას ატარებენ, აუცილებელია ურთიერთობის დამყარება ინოვაციებსა და პედაგოგიურ ეფექტურობას შორის. მრავალფეროვნების გათვალისწინება უზრუნველყოფს, რომ უმაღლესი განათლება დარჩეს ადაპტირებადი, აქტუალური და შეძლოს დააკმაყოფილოს დღევანდელი სტუდენტების მრავალფეროვანი საჭიროებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანთაძე ლ. მშობელთა ჩართულობა და სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა მოზარდის აკადემიურ მიღწევებზე“, მონოგრაფია . თბ; 2023.
2. ბოჭკუასელი ქ, ჭკუასელი ი. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები.თბ; 2012.
3. ჭკუჩავა ნ. დიმიტრი უზნაძის ზოგადპედაგოგიური კონცეფცია. თბ; 2017.
4. ჯინჯიხაძე ჯ. თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები. თბ; 2012.
5. ჰარაკჩიკა ც. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო.Erasmus, 2018
6. High impact teaching strategies in action: Differentiated teaching - https://education.vic.gov.au/school/teachers/classrooms/Pages/approacheshitsdifferentiation.aspx

პრაქტიკული გამოცდილება სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში
Practical experience in research activities

თამარი ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი
მედეა ჭელიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი პროფესორი
გუგული ყურაშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

პროფესორი
ლიკა ბერიძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პროფესორი
Tamari Beridze - Georgian Technical University
Professor
Medea Chelidze - Georgian Technical University
Professor
Guguli Kurashvili - Georgian Technical University
Professor
Lika Beridze - Georgian Technical University
Professor

აბსტრაქტი. სამეცნიერო ნაშრომების ხარისხს ძირითადად განაპირობებს კვლევითი კომპონენტის სრულყოფილად აგება ორიგინალური და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ემპირიული კვლევებით, რაც უზრუნველყოფილია სწორი ალგორითმის და კვლევის მეთოდის შერჩევით, ასევე უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკული გამოცდილებით მიღებული უნარ-ჩვევები, რაც ხელს უწყობს იმ ეტაპების კომპლექსურად წარმართვას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია ახალგაზრდა მეცნიერისათვის.

შესაბამისად, სტატიაში დასაბუთებულია, რომ შედეგი უფრო ნაყოფიერი და ეფექტიანია, თუ მკვლევარს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: კვლევის კომპონენტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, ახალი ცოდნა, პრაქტიკული კვლევა.

Abstract. The quality of scientific work is largely determined by the perfection of the construction of the research component with original empirical studies that meet modern requirements, which is ensured by the choice of the right algorithm and research method, as well as the use of the latest computer technologies. However, no less important are the skills acquired through practical experience, which help to comprehensively manage those stages that are often problematic for a young scientist.Accordingly, the article argues that the result will be more fruitful and effective if the researcher, along with theoretical knowledge, has practical experience.


The quality of scientific work is largely determined by the perfection of the construction of the research component with original empirical studies that meet modern requirements, which is ensured by the choice of the correct algorithm and research method, as well as the use of the latest computer technologies. However, no less important are the skills acquired on the basis of practical experience, which help to comprehensively carry out those stages that are often problematic for a young scientist.

Keywords: modern technologies, new knowledge, practical research, research component.

შესავალი. კვლევით კომპონენტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურზე. კვლევითი საქმიანობით დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალება აქვთ კვლევითი უნარები გამოიმუშაონ ეტაპობრივად და სრულყოფილებას მიაღწიონ დოქტორანტურის საფეხურზე.

ბოლო პერიოდში, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით სულ უფრო მეტად საპასუხისმგებლო პოზიციებზე დასაქმებული პირები ინტერესდებიან, რომლებსაც დაკავებული პოზიციებიდან მიღებული გამოცდილება სურთ განამტკიცონ თეორიული ცოდნით.

ძირითადი ტექსტი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო 6 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დოქტორანტების კონტიგენტი შემდეგი ტენდენციით ხასიათდებოდა:



ნახაზი 1. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დოქტორანტების კონტიგენტი[15]

ამასთან, 2022 წლის მონაცემებით, სტუდენტების გადანაწილებამ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით გვიჩვენა, რომ ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის მიმართულებით:

- სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი - 47,6%
- ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება - 15,9%
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 11,7%
- მეცნიერება - 11,5%
- სხვა დანარჩენი - 13,3%

ასევე, საინტერესოა იმავე წლის დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

- სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი - 41,5%
- საინჟინრო, გადამამუშავებელი და სამშენებლო დარგები - 11,4%
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 11,7%
- მეცნიერება - 11,5%
- სხვა დანარჩენი - 17,5%

საქსტატის მონაცემებით, 2022 წელს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების რიცხოვნობაც საკმაოდ შთამბეჭდავია: პროფესორი - 47,5%, ასოცირებული პროფესორი - 36%, სხვა დანარჩენი - 16,5%.

უნდა აღინიშნოს ასაკობრივი ჭრილის მიხედვით დოქტორანტების კონტიგენტიც: 24 წელზე ნაკლები ასაკის პირები - 3,1%, 25-29 წლის - 26,1%, 30-34 წლის - 30,4%, 35-ზე მეტი წლის - 38,4%.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, შესაბამისია აკადემიური რესურსიც, თუმცა სამწუხაროდ, ხარვეზებიც იკვეთება.

2014 წლის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშიდან ჩანს, რომ საქართველოში დოქტორანტურის საფეხურის ხარისხის საკითხი მნიშვნელოვანი კრიტიკის საგანს წარმოადგენდა და სათანადო სიღრმით არ იყო შესწავლილი სწავლა-სწავლების რეალური პრაქტიკა აღნიშნულ საფეხურზე.

[15] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წარმოდგენილი კვლევის ანგარიში ეყრდნობოდა ბოლო 5 წლის განმავლობაში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების მოსაზრებებს.

მკვლევარების მიერ გამოყენებულ იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები - სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფები: პროფესორები, დოქტორანტები და კურსდამთავრებულები. დისკუსიაში მონაწილეობდა ასამდე რესპოდენტი. კვლევაში ჩართული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სადოქტორო ნაშრომების ხარისხის სიღრმისეული შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა კონტენტ-ანალიზი.

აღნიშნული კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ სადოქტორო ნაშრომების ხარისხი უმატესად დაბალი იყო, ასევე ნაკლებად კონსტრუქციულად მიმდინარეობდა კოლეგიალური შეფასება.

რეცენზენტების მიერ შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით ხორციელდებოდა: დისერტაციის ორგანიზაციული მხარე, მიზნები და თეორიული ჩარჩო, კვლევის მეთოდოლოგია, ანალიზი და შედეგები, კვლევის ეთიკა.

შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი ნაკლოვანებები: დისერტაციების უმეტესობას ჰქონდა სტრუქტურული პრობლემები; ტექსტის ხარისხი შეფასებული იყო დამაკმაყოფილებლად; ნაშრომებში ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი რეზიუმეები გაუგებარ ტექსტებს შეიცავდა; ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ წყაროების ჩამონათვალს შეიცავდა; ნაშრომებს აკლდა მკაფიოდ გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომებში ნახსენები იყო ემპირიული კვლევები, ისინი ძირითადად თეორიულ კვლევაზე იყო აგებული. შესაბამისად, კვლევის კომპონენტიც არასწორად იყო წარმოდგენილი. ნაშრომების უმეტესობას აკლდა შეჯამება დასკვნით ნაწილში და ემპირიული მტკიცებულებები. ანალიზის ნაცვლად, უმრავლეს შემთხვევაში, წარმოდგენილი იყო მხოლოდ გრაფიკული გამოსახულებები. ასევე, ნაშრომებში არ იყო სათანადოდ გამოყენებული ციტირებები, თუმცა რიგ შემთხვევებში ციტირებების პრობლემები ტექნიკურ ხასიათს ატარებდა.

გამოკვეთილი პრობლემების აღმოსაფხვრელად და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობაში მოსაყვანად განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, ძირითად სასწავლო კურსებში სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ დამატება. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა კონკურსანტების მიერ მომავალი საკვლევი თემის კონცეფციის წარდგენა, რაც პრაქტიკოსი აპლიკანტისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა. ასევე, უცხოურ ბიბლიოგრაფიაზე წვდომის გაუმჯობესების მიზნით, წინაპირობას დაემატა უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, ან მისი არ ქონის შემთხვევაში - გამოცდის ჩაბარება (უმეტეს შემთხვევაში, ინგლისური ენის).

სადოქტორო ნაშრომებში უფრო მეტი ყურადღება მიექცა კვლევითი ალგორითმის და კვლევითი პროცესის სრულყოფას. ასევე, შესაბამისი მეთოდოლოგიის, მეთოდების და მონაცემების დამუშავების სათანადო ანალიზის ხერხების და შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას (SPSS, Nvivo, Google Forms).

ნაშრომების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, შემოღებულ იქნა მსგავსების კოეფიციენტის დასადგენად დასრულებული ნაშრომის შესაბამის პროგრამაზე გატარება.

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას, კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა შერეული ფორმატი: თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის სინთეზი და შესაბამისი კვლევის მეთოდები: თვისებრივი კვლევისთვის - კონტენტ-ანალიზი და ექსპერტული კვლევა, რაოდენობრივი კვლევისთვის - გამოკითხვა. მონაცემების შეგროვების ინსტრუმენტად სპეციალურად შემუშავებულ იქნა სტრუქტურირებული და ნახევრად სტრუქტურირებული ანკეტა-კითხვარები (თითოეული მიზნობრივი ჯგუფისთვის ცალ-ცალკე).

კვლევაში ჩართული იყვნენ: დამსაქმებლები დარგების მიხედვით (32), აკადემიური პერსონალი (118), ადმინისტრაციული პერსონალი (54), კურსდამთავრებულები (224) და დოქტორანტები (152).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით და ჩვენს მიერ შრომის ბაზრის დეტალურად შესწავლის შემდგომ განისაზღვრა ახალი რეალობა:

მნიშვნელოვანია პრაქტიკის საფუძველზე გამომუშავებული უნარები, აკუმულირებული საქმიანობით მიღებული გამოცდილება, რითაც შესაძლებელია იმ ეტაპების უზრუნველყოფა, რომელიც კვლევის პროცესში ხშირ შემთხვევაში პრობლემატურია და გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვს: კვლევის მეთოდების და ინსტრუმენტების შერჩევა, კვლევის დიზაინის აგება, ჰიპოთეზის ფორმულირება, შესაბამისი გენერალური ერთობლიობის და სამიზნე აუდიტორიის შერჩევა, ანალიზის შესაბამისი მეთოდების ცოდნა-გამოყენება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და უკუკავშირი.

მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კომპონენტები ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სათანადო ხარისხით განხორციელებას ტრანსფერული უნარების განვითარების გზით, სფეროს აქტუალურ საკითხებზე ცოდნის გაღრმავებას და ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

მიუხედავად ამისა, მეცნიერულ შრომებში ჯერ კიდევ იკვეთება კვლევითი კომპონენტების სრულყოფის პრობლემები - რიგ შემთხვევებში თეორიული და პრაქტიკული უნარების ნაწილობრივი შეუსაბამობა.

დასკვნა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მიმართულია განათლებისა და მეცნიერების ინტეგრირების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განვითარების, მეცნიერული კვლევების კონკურენტურიანობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი კომპონენტის სრულად ასათვისებლად ყველა პირობაა გათვალისწინებული, მაინც მიგვაჩნია, რომ ერთგვარი პრაქტიკა, პრაქტიკული გამოცდილებიდან მიღებული უნარები კვლევით ელემენტებთან ინტეგრირებით - აბსოლუტურად განსხვავებულ ხედვას გამოუმუშავებს კვლევით საქმიანობაში ჩართულ პირს.

გამოყენებული ლიტერატურა

Beridze, T., Chelidze, M., Kurashvili, G., & etc. (09/2019). *The Human Capital and its Formation in Georgia (Values, Priorities). Collective Monograph.* Riga, Latvia: LAP LAMBERT Academic Publishing, 128 p.

Zhosan, H., Bedianashvili, G., Eliava, L., Hranovska, V., Beridze, T., Chelidze, M., & etc. (2020). *Strategies of Socio-Economic Development and Mechanisms of their Implementation in the Conditions*

of Economic Uncertainty and Globalization Changes. International Collective Monograph. Kherson, Tbilisi: 286 p.

ჩიკვილაძე, ნ., ბერიძე, თ., & დევიძე, თ. (2022). საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი. სტუ, სამეცნიერო ნაშრომების კრებული, N2.

გურჩიანი, კ. (2014). საქართველოში სადოქტორო სწავლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ვანიშვილი, მ., მოსიაშვილი, ვ., ჭელიძე, მ., & ხიდირბეგიშვილი, ნ. (2021). *ბიზნესის კვლევის მეთოდები. სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო.* თბილისი: გამომცემლობა „დანი“, 654 გვ.

ყურაშვილი, გ., ბერიძე, თ., & ჭელიძე, მ. (2019). ინოვაციური ტექნოლოგიები – განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ თბილისი, გვ. 429-432.

ყურაშვილი, გ., ჩიკვილაძე, ნ., & ბერიძე, თ. (2021). სტუდენტების კვლევითი პოტენციალის განვითარების ტენდენციები. I საერთაშორისო კონფერენცია „განათლება, ტექნოლოგია და ინოვაცია“.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

საქართველო ევროინტეგრაციის გზაზე
Georgia on the path to European integration

გოჩა აბუთიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ასისტენტ-პროფესორი
Gocha Abutidze, Georgian Technical University
Assistant Professor
სოფიო ბერიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი

Sophio Beridze, Georgian Technical University
PhD student
გოგა გელიტაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Goga Gelitashvili, Georgian Technical University
PhD student
საბა ბურჯალიანი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დოქტორანტი
Saba Burjaliani
Georgian Technical University PhD

აბსტრაქტი. განვითარების ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, თვითგამორკვევისთვის ბრძოლაში, ქართულმა საზოგადოებამ მარადიული ღირებულებები განავითარა. მრავალი საუკუნის განმავლობაში ქვეყანა იბრძოდა ფიზიკური და სულიერი გადარჩენისთვის. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, საქართველოს განვითარების სწორი გზა არის ეროვნული, ტრადიციული ღირებულებების განმტკიცება და, ასევე, აუცილებელია გარე ფაქტორების გათვალისწინება, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ისეთი ფორმების განვითარება, როგორიცაა სოლიდარობა, შემწყნარებლობა, ნდობა, თანამშრომლობა და აქტიური დიალოგის ასპარეზის შექმნა.

საქართველო ევროატლანტიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული ქვეყანაა, მან მტკიცედ აიღო გეზი ევროკავშირში გაერთიანებისკენ. ქვეყნის მოსახლეობა თითქმის ერთხმად ეთანხმება ქვეყნის დასავლურ კურსს.

წინამდებარე სტატიაში განხილული და გაანალიზებულია საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები და გამოკვეთილია სამომავლო პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები. ევროატლანტიკური ღირებულებები, ქართული მენტალიტეტი, გლობალური ფაქტორები, ინტეგრაცია.

Abstract. Over the long history of development, in the struggle for self-determination, Georgian society has developed eternal values. For many centuries the country struggled for physical and spiritual survival. As experience shows, the right path for Georgia's development is to strengthen national, traditional values, and it is also necessary to take into account external factors, develop such forms of relations between society and government as solidarity, tolerance, trust, cooperation and the creation of an arena for active dialogue.

Georgia is a country oriented towards Euro-Atlantic values; it has firmly taken the path of European integration. It is noteworthy that the country's population almost unanimously agrees with the country's Western course.

This article discusses and analyzes the important steps taken by Georgia towards European integration and outlines prospects for the future.

Keywords. Euro-Atlantic values, Georgian mentality, global factors, integration.

შესავალი. საქართველო არის პატარა ქვეყანა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე. იგი წარმოადგენს უძველესი კულტურის, მრავალფეროვანი ლანდშაფტისა და სტრატეგიული მდებარეობის უნიკალურ ნაზავს, რომელიც მსოფლიო ინტერესს იწვევს.

ქვეყანა ბუნებრივი ხიდია ევროპასა და აზიას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის. მისმა მდებარეობამ ის სავაჭრო, სატრანზიტო და ენერგეტიკული მარშრუტების სტრატეგიულ ცენტრად აქცია, რაც მნიშვნელოვან მოთამაშედ აქცევს რეგიონულ და საერთაშორისო არენაზე.

საქართველო გამოირჩევა მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, მათ შორის შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურით, ტრადიციებითა და სამზარეულოთი, რომლებიც

შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში. მან ბოლო წლებში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თავისი ინსტიტუციების რეფორმირებაში, მაგრამ პოლიტიკური პოლარიზაცია მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად დამოკიდებულია ტურიზმსა და სოფლის მეურნეობაზე, რომლებიც კვლავ მოწყვლადია გლობალური ეკონომიკური ტენდენციების მიმართ.

საქართველოს სამომავლო პერსპექტივები დამოკიდებულია მის უნარზე, შეინარჩუნოს სტაბილურობა, გააგრძელოს რეფორმები და გააღრმავოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მას აქვს უნიკალური შესაძლებლობა, გახდეს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და დემოკრატიის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შუქურა რეგიონში.

მიუხედავად გამოწვევებისა, საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით და იმსახურებს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას დარჩენილი დაბრკოლებების დასაძლევად.

ძირითადი ტექსტი. ქვეყნის პირველი გრძელვადიანი პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტია 2022 წელს დამტკიცებული „ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც მოიცავს რეფორმების სრულ კომპლექტს და ეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა ეკონომიკა, სოციალური პროგრესი, საჯარო მმართველობა, მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებების დაცვა. საქართველო ყოვლისმომცველი, მრავალმხრივი პროგრესისკენ ისწრაფვის და მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს განათლებასა და სოციალურ კეთილდღეობაზე.

პროექტის „World Justice“ 2022 წლის კანონის უზენაესობის ინდექსით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში პირველ ადგილს იკავებს. „Fraser Institute“-ის 2022 წლის ანგარიშის – „მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლება“ – მიხედვით, საქართველო ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა 15 სახელმწიფოს შორის, ხოლო „Heritage Foundation“-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით საქართველო 21-ე ადგილს იკავებს ევროპაში 2023 წლის მდგომარეობით და ევროკავშირის 11 წევრ სახელმწიფოს უსწრებს. „Crime Index“ საქართველოს 2023 წელს ასახელებს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად, შესაბამისად ამ მაჩვენებლით იგი გლობალურ ჭრილში მე-18 ადგილზე, ხოლო ევროპის მასშტაბით მე-8 ადგილზეა.

2012 წლიდან საქართველოს მნიშვნელოვანი მიღწევები, მათ შორის ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება და უვიზო რეჟიმი, ადასტურებს ქვეყნის გეოპოლიტიკურ პრიორიტეტს, გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი სახელმწიფო.

საქართველო არის საერთაშორისო თანამეგობრობის პასუხისმგებლიანი წევრი, რომელიც აქტიურად უწყობს ხელს მშვიდობის უზრუნველყოფას მსოფლიოში. იგი ისწრაფვის მშვიდობის, კეთილდღეობის, პროგრესისა და მდგრადობისთვის და ყალიბდება მრავალგანზომილებიან რეგიონულ ჰაბად, ვითარდება სტრატეგიული სატრანსპორტო დერეფანი აზიასა და ევროპას შორის.

საქართველოში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, მათ შორისაა რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტი, ევროკავშირის ფლაგმანური შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის მშენებლობის პროექტი, რომელიც საქართველოს მიერ არის ინიცირებული. ეს პროექტი გულისხმობს მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადამცემი ხაზის მშენებლობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასთან სამხრეთ კავკასიის რეგიონის დასაკავშირებლად. აღმოსავლეთის დასავლეთთან კავშირის გაძლიერების მიზნით,

საქართველომ 2015 წელს დააარსა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პლატფორმა „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“. ეს ტრანსფორმაციული პროექტები ახალ სამუშაო ადგილებს, ეკონომიკურ ზრდას და კეთილდღეობას მოუტანს ქვეყნის მოსახლეობას და რეგიონს.

გლობალურ საზოგადოებაში საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. გაძლიერდა საერთაშორისო პარტნიორობა და თანამშრომლობა უფრო მშვიდობიანი, მდგრადი მომავლის უზრუნველსაყოფად.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის მადრიდის სამიტზე მოკავშირეებმა მხარი დაუჭირეს საქართველოსთვის მორგებული მხარდაჭერის ღონისძიებების კომპლექსს, როგორც ნატოს ერთ-ერთ პარტნიორს, რომელიც ყველაზე პირდაპირ გავლენას ახდენდა გარე საფრთხეებითა და უსაფრთხოების არსებულ გარემოში ჩარევით. მიღებული ზომები აძლიერებს საქართველოს როგორც პოლიტიკურ, ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას. პოლიტიკური ღონისძიებები მიზნად ისახავს საქართველოსა და ნატოს შორის დიალოგის გააქტიურებას.

ნატოს მხარდაჭერის ნაწილი ეყრდნობა არსებულ ინიციატივებს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის მეშვეობით, მაგრამ შეიძლება ასევე შევიდეს ახალი ინიციატივები, მაგალითად, გაზარდოს საქართველოს შესაძლებლობები ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული (CBRN) დაცვის სფეროში.

საქართველო 1994 წლიდან აქტიურად არის ჩართული პროგრამაში „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის“. საქართველოს მიერ განხორციელებული აქტივობები ეხება გამოწვევების ფართო სპექტრს, განსაკუთრებით გარემოსდაცვითი და ენერგეტიკული უსაფრთხოების, ტერორიზმის, კიბერუსაფრთხოების, ქიმიური და ბიოლოგიური თავდაცვის სფეროებში, რადიოლოგიური და ბირთვული დაცვის ზომების შესახებ და სხვა.

2023 წლის ივლისში ვილნიუსის ნატოს სამიტზე განხილული იყო რეგიონალური და გლობალური უსაფრთხოების საკითხები. სამიტზე მიღებული იქნა დასკვნითი დეკლარაცია, სადაც ასახულია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესი და პერსპექტივები. სამიტზე ასევე დადასტურებული იყო ალიანსის უპირობო მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

საქართველოს მონაწილეობამ აღნიშნულ სამიტზე ხაზი გაუსვა ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი ალიანსის მტკიცე მხარდაჭერასა და ნატოს დღის წესრიგში საქართველოს საკითხის მაღალ პრიორიტეტულობას.

საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, რომელიც ორგანიზაციის დაარსების 74-ე წლისთავს მიეძღვნა, ყურადღება გამახვილდა ნატოს გაფართოების პოლიტიკაზე და აღინიშნა, რომ ამ პროცესმა ხელი შეუწყო როგორც თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და ინდივიდუალური თავისუფლების განმტკიცებას, ისე ახალი წევრი ქვეყნების გაძლიერებას.

2023 წლის ივნისის დასაწყისში, ნიუ-იორკში, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ, 77-ე სესიის ფარგლებში, მიიღო საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის 63 ქვეყნის მიერ ინიცირებული რეზოლუცია - „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. რეზოლუციას 100-მა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი. საქართველო აღნიშნულ რეზოლუციას გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე 2008 წლიდან წარადგენს. რეზოლუცია გმობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს,

ადასტურებს დევნილთა უფლებას ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ და ხაზს უსვამს მათი საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას.

რეზოლუცია ასევე მოუწოდებს ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს, გააქტიურონ ძალისხმევა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების პროცესს.

ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე ხაზი გაესვა მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე აღნიშნული მინისტერიალის გამართვის მნიშვნელობას და აღინიშნა, რომ მშვიდობა და უსაფრთხოება არის ადამიანის უფლებების წინსვლისა და მდგრადი განვითარების მიღწევის წინაპირობა. მსოფლიოში არსებული კონფლიქტების ფონზე მომავლის სამიტი ხელს შეუწყობს გლობალურ მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

საქართველოს მხარემ ყურადღება გაამახვილა გაეროს ფუნდამენტური ღირებულებების დაცვის აუცილებლობაზე და აღნიშნა მომავლის სამიტის დეკლარაციის მიღების აუცილებლობა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნებს შორის კონსენსუსის მიღწევასა და გააძლიეროს მულტილატერალიზმი. ასევე, მომავლის სამიტის დეკლარაციამ უნდა დაგმოს საერთაშორისო სამართლის, ასევე, გაეროს წესდების სერიოზული დარღვევები და მასში ხაზგასმულ იქნას აღნიშნულ დარღვევებზე პასუხისმგებლობის დაცვისა და გაძლიერების მნიშვნელობა.

2030 წლის დღის წესრიგის განხორციელებისადმი საქართველომ დააფიქსირა სრული მზაობა და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დეკლარაციაში მდგრადი განვითარების სამივე განზომილების (სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი) თანაბრად ჩართვის მნიშვნელობას და კლიმატის ცვლილების გადაჭრის აუცილებლობას.

საქართველო პატივს სცემს თავის მდიდარ მემკვიდრეობას, ისწრაფვის თავისუფლებისა და პროგრესისკენ მუდმივად ცვალებად გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ქვეყანა დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე, სახეზეა ქვეყნის პრაგმატული საგარეო პოლიტიკის შედეგები, ბოლო ათწლეულის განმავლობაში შენარჩუნებულია ეკონომიკური ზრდა, ხორციელდება მნიშვნელოვანი ინვესტიციები, იკვეთება მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) პოზიტიური ზრდის ტენდენცია, დაფიქსირებულია საერთაშორისო სავალუტო რეზერვების ისტორიული მაქსიმუმი და უმუშევრობისა და სიღარიბის ისტორიული მინიმუმის მაჩვენებლები.

30-წლიანი დამოუკიდებლობის და დასავლური პოლიტიკური, ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერის მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველომ ჯერ ვერ მოახერხა, რომ საკუთარი გეოსტრატეგიული მდებარეობა გეოპოლიტიკურ უპირატესობად გარდაექმნა. საქართველო უსაფრთხო და სანდო ჰაბს წარმოადგენს იმ პერსპექტივების ჭრილში, რომელსაც მსოფლიო სტრატეგიული ენერგოუსაფრთხოების, ჩინეთსა და დასავლეთს შორის ახალი სატრანზიტო დერეფნის თაობაზე გეგმებს აწყობს.

ევროინტეგრაციის გზაზე უდიდეს წინსვლას და გამარჯვებას წარმოადგენს ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება 2023 წლის 14 დეკემბერს. ევროინტეგრაციის გზაზე უდიდესი ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

დასკვნა. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ევროპასა და აზიას შორის სტრატეგიული პოზიცია უკავია, იგი ევროატლანტიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს.

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ყველა უპირატესობის გამოყენება, რათა იგი გახდეს სხვადასხვა მსოფლიო ძალების ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ცენტრი. ვთვლით, რომ ამ მიდგომით ქვეყანა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროატლანტიკური პოლიტიკის გატარებაში როგორც კავკასიაში, ასევე მთლიანად რეგიონში.

საქართველოს ევროკავშირში წევრობა უკვე რეალობაა – ეს არის შეუქცევადი პროცესი და საქართველო, როგორც ევროპული ქვეყანა, აუცილებლად გახდება ევროკავშირის წევრი.

გამოყენებული ლიტერატურა

ბუჯიაშვილი დ. რატომ უნდა გაწევრიანდეს საქართველო ევროკავშირში, https://infocenter.gov.ge/blog/rith-daekhmara-evrokavshiri-saqarthvelos-da-ratom-unda-gatsevriandes-saqarthvelo-evrokavshirshi/

ბერიძე ს. რა განსაზღვრავს ჩვენთვის მისაღებ ევროპულ ფასეულობებს - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია, ბაკურიანი. 2016

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/en

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ https://infocenter.gov.ge/blog/rith-daekhmara-evrokavshiri saqarthvelos-da-ratom-unda-gatsevriandes-saqarthvelo-evrokavshirshi/?fbclid=IwAR1o6hGMCkQGszNd3-dRva-1g6RCvHsKHng7TRBwKjiZjGF9PQ_Wuu4wbg0

მდგრადი განვითარების მიზნები https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%8383%1%83%91%E1%83%98

კორპორაციული პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება https://csrgeorgia.com/ka/overview/csr-and-Sustainable-development